# ლელო

№045 (12 115) **24** თებერვალი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი **50 თეთრი**


# განახლებულია!



გუშინ მიხეილ მესხზე. ლოკომოტივი-ზესტაფონი 1:4

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ლამის სამთვიანი შესვენება სავსებით საკმარისი კი არა და მეტი იყო, საქართველოს ჩემპიონატის განახლება მოენატრებოდა კაცს. ამ სურვილს თან ინტერესიც სდევდა. აქამდე ხომ არ ყოფილა პირველი წრის მერე ჩემპიონობის ერთბაშად ხუთი, შეიძლება ექვსიც, კანდიდატი გვყოლოდა. თანაც ზამთრის პაუზისას რამდენიმე კლუბში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. უცხოელებითა თუ სამშობლოში დაბრუნებული ფეხბურთელებით გაძლიერებული გუნდები, ჩემპიონატის ძალიან საინტერესო მეორე ნახევარს გვპირდება. რაც მთავარია, დაიწყო, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს და იმედია, განზილებულებს არ დაგვტოვებს, თორემ ცუდად სალაპარაკო უკვე მეორე წრის პირველივე ტურის წინ გაჩნდა.

## 2-4

საქართველოს ჩემპიონატი.
მეორე წრე. XIV ტური

| | |
|---|---|
| ოლიმპი-სიონი | 3:0 |
| ბორჯომი-დინამო | 0:2 |
| ბათუმი-დილა | 2:1 |
| მერანი-კახეთი | 3:1 |
| ლოკომოტივი-ზესტაფონი | 1:4 |
| ჩიხურა-ამერი | 0:2 |
| ვიტ ჯორჯია-ტორპედო | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 14 | 11 | 2 | 1 | 35-5 | 35 |
| 2. ამერი | 14 | 10 | 3 | 1 | 30-8 | 33 |
| 3. ზესტაფონი | 14 | 10 | 3 | 1 | 26-4 | 33 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 14 | 9 | 4 | 1 | 30-16 | 31 |
| 5. დინამო | 14 | 10 | 0 | 4 | 26-11 | 30 |
| 6. ტორპედო | 14 | 7 | 4 | 3 | 16-8 | 25 |
| 7. სიონი | 14 | 7 | 2 | 5 | 19-13 | 23 |
| 8. ლოკომოტივი | 14 | 4 | 2 | 8 | 11-21 | 14 |
| 9. მერანი | 14 | 4 | 2 | 8 | 12-27 | 14 |
| 10. ბათუმი | 14 | 3 | 3 | 8 | 12-15 | 12 |
| 11. ბორჯომი | 14 | 3 | 3 | 8 | 15-27 | 12 |
| 12. ჩიხურა | 14 | 2 | 4 | 8 | 10-24 | 10 |
| 13. დილა | 14 | 0 | 3 | 11 | 7-40 | 3 |
| 14. კახეთი | 14 | 0 | 1 | 13 | 10-40 | 1 |

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საქართველოს ჩემპიონატი. II წრე

# ოლიმპის დღე

## სიონის ძალას მომდევნო ტურიდან ნახავთო

**ოლიმპი-სიონი**

**3:0**

23.02. რუსთავი. ფოლადი. 1000 მაყურებელი

1:0 დვალიშვილი (2. გოცირიძის პასით), 2:0 დვალიშვილი (45. ნავალოვსკის პასით), 3:0 სეთურიძე (83)

ოლიმპი: მერლანი – სეთურიძე, ძამსაშვილი, გ. ონიანი, მახვილაძე – გენაძე (74. არზიანი), აფციაური (84. ბერუაშვილი), ქებაძე, დვალიშვილი, ნავალოვსკი (65. ხუბუა) - გოცირიძე

*სათადარიგოები: მ. ალავიძე, ჩხარტიშვილი*

სიონი: ბობლიაშვილი (46. მამალაძე) - ექონია, ბოიომო, ლ. ჭელიძე, კობაური – სანიკიძე, კორღალიძე, ბაბუნაშვილი, ა. ალავიძე (46. ოქროპირიძე) – ევოჩე (63. ცხადაძე), ჩასემი

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

აუცილებელი არაა თავგადაკლული გულშემატკივარი იყო და უმაღლეს ლიგის ყველა თამაშს ესწრებოდე, რუსთავის "ოლიმპისა" და ბოლნისის "სიონის" დაპირისპირებამ რომ დაგაინტერესოს. პირველი წრის შეხვედრა გახსოვთ? ეს ერთი მიზეზი. მეორე – ახალწვეულთა საქმეში ხილვა. ზამთრის პაუზისას "სიონმა" ისეთი ფეხბურთელები დაიმატა, ვისი ხილვაც რბილად რომ ვთქვათ საინტერესოა, ისინი ხომ ჩვენს ჩემპიონატს დაამშვენებენ. საინტერესო იყო განახლებული "ოლიმპის" საქმეში ხილვაც. მატჩის წინა დღეს განვითარებული მოვლენებიც ხომ გასათვალისწინებელია, სტადიონზე მისულმა არაერთისგან დასმული შეკითხვა გავიგონე, **კახა ცხადაძემ** გაიყვანა გუნდი? ვერც გავრცელებულ ჭორს გავექცევით, ბოლნისელებს ვალი აქვთ დასაბრუნებელი რუსთაველებისთვის, თანამეგობრობის თასზე ფეხბურთელები რომ ინათხოვრესო. მოკლედ მიზეზი არაერთი იყო, ამ თამაშით რომ დაინტერესებულიყავი კაცი.

შეხვედრის დაწყებისთანავე ბოლნისელებმა შეუტიეს, მაგრამ ორ წუთში საკუთარ კარში მიიღეს გოლი – პირველი ბურთისთვის ბრძოლა **გოცირიძემ** მოიგო. მისგან ბურთი **დვალიშვილს** მიუვიდა, რომელმაც თავზე გადაუგდო წინ გამოსულ **ბობლიაშვილს**.

ამის მერე მეტ-ნაკლებად თანაბარი თამაში წავიდა. ბოლნისელები მეტოქეზე არანაკლებს ფლობდნენ ბურთს, მაგრამ სახიფათო მომენტის შექმნამდე საქმე არ მიდოდა. სტუმარი ნახევარმცველები ვერ უქმნიდნენ ფორვარდებს ხელსაყრელ მდგომარეობას კარში დასარტყმელად და მასპინძელი მცველები კარგად ახერხებდნენ **ევოჩესა** და **ჩასემის** განეიტრალებას. თავად განსაჯეთ,



ნუგზარ სუარიძის ფოტო

მთელი შეხვედრის განმავლობაში **მერლანს** ერთხელაც არ მოუწია თამაშიდან ბოლნისელთა დარტყმულის მოგერიება. სტუმრებმა კარში მხოლოდ ერთხელ დაარტყეს. ეს **კორღალიძემ** გააკეთა და ისიც ჯარიმიდან. საწყის წუთებში ის ყველაზე მეტს აქტიურობდა, ცდილობდა ბურთის დაჭერას, სახიფათო მომენტის შექმნას, მაგრამ ამყოლი არავინ ჰყავდა. **ლევან სილაგაძისა** და **ვიტალი დარასელიას** მოედანზე ყოფნა ბევრ რამეს შეცვლიდა. პასიურობდნენ ფლანგები, განსაკუთრებით მარცხენა.

ამის საპასუხოდ მასპინძლები გაცილებით პროდუქტიულები იყვნენ. "ოლიმპის" უპირატესობა განსაკუთრებით პირველი ტაიმის მეორე ნახევარში გამოიხატა – ლამის ყოველ შეტევას ხიფათი მოსდევდა "სიონის" კართან. რუსთაველი ნახევარმცველები მთლიანად გაბატონდნენ მოედანზე. შესვენებამდე გოლის გატანის შანსი **გენაძეს**, იმავე დვალიშვილს, **აფციაურსა** და **მახვილაძეს** მიეცათ. ერთხელ მეკარესთან პირისპირ გასულ გენაძეს ბობლიაშვილმა აუღო. დანარჩენ შემთხვევებში კი რუსთაველებს სიზუსტე აკლდათ. სტუმართა კართან უარესი ვითარებაც შეიძლებოდა შექმნილიყო, რამდენიმე ეპიზოდში **ბოიომოს** რომ არ ეთამაშა დამაჯერებლად. საერთოდაც კამერუნელი მცველი, ერთი-ორ ეპიზოდს თუ არ ჩავთვლით, თანაგუნდელებისგან გამოირჩა საიმედო თამაშით. ტაიმის ბოლოს მეორე გოლისგან უკვე ვერავინ იხსნა "სიონი". გენაძის მიერ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ჯერ სეთურიძეს მიუვიდა, მერე **ნავალოვსკის** და ბოლოს მეკარესთან ახლო მდგომ დვალიშვილს და 2:0.

მეორე ტაიმში ბოლნისელები ერთი შეხედვით, მეტოქეზე უკეთ ათამაშდნენ, გამოცოცხლდნენ, მაგრამ არა იმდენად, რომ საქმე საგოლე მომენტის შექმნამდე მიეყვანათ. ცხადაძე შეცვლებით შეეცადა ვითარების გამოსწორებას. არადამაჯერებელი ბობლიაშვილი **მამალაძით** შეცვალა, მარცხენა ფლანგზე პასიური **ალავიძის** ნაცვლად კორღალიძე გადაიყვანა, ცენტრში კი შეცვლაზე შემოსული **ოქროპირიძე** დადგა. მერე მწვრთნელმა ფორვარდიც შეცვალა, ევოჩეს ნაცვლად **ბაჩანა ცხადაძე** შეუშვა, მაგრამ საერთო სურათი ვერც ამან შეცვალა. დაცვაშიც შედარებით გამოასწორეს მდგომარეობა (ისევ ბოიომოს წყალობით). ბურთის ფლობის მხრივაც დიდად არ ჩამოუვარდებოდნენ მეტოქეს, მაგრამ მარტო ეს არ კმარა თამაშის გადასარჩენად.

დროის იმ პერიოდში, რა პერიოდშიც რუსთაველები ფლობდნენ ბურთს, სტუმართა კართან არაერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა. მათგან ერთ-ერთი სეთურიძის გოლით დასრულდა. მანამდეც და ამის მერეც მამალაძემ კი სამჯერ აუღო მეტოქეს სახიფათო დარტყმული.

ერთი სიტყვით მასპინძლებმა აჯობეს მეტოქეს. დვალიშვილს, გენაძეს, აფციაურს ეტყობათ, რომ ჩინებულ ფორმაში არიან. მათ არც სხვა თანაგუნდელები ჩამორჩებიან და საერთო ჯამში ვილებთ კარგ გუნდს არა მარტო ქართული საზომებით. წესით კარგი გუნდი გახდეს "სიონიც". დროა ამისთვის საჭირო. სილაგაძე და დარასელია ნებისმიერ გუნდს გააძლიერებენ, მათ კი ვინც გუშინ ითამაშა დრო სჭირდებათ ფორმაში შესასვლელად. ახალწვეულებს ეტყობოდათ, რომ ჯერ არ არიან ოპტიმალურ ფორმაში, ეპიზოდებში ფიზიკურ მომზადებაში უთმობდნენ მეტოქეს. ცხადაძეს საკმარისი დრო აქვს ვითარების გამოსასწორებლად და ალბათ შეძლებს კიდეც ამის გაკეთებას.

### მატჩის შემდეგ

კახა ცხადაძე (სიონის მთავარი მწვრთნელი):

- პირველ რიგში მოწინაალმდეგეს გამარჯვებას მივულოცავ, რუსთაველებმა კარგად ითამაშეს და ღირსეულად გაიმარჯვეს.

რაც შეეხება ჩვენს გუნდს, მინდა ვთქვა, რომ ის რაც ჩაფიქრებული აქვთ მავანთ, არ გამოუვათ. სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, რომ ერთჯერადად სანადელს მაინც მიაღწიეს, მაგრამ მხოლოდ ერთჯერადად. გუნდი გარკვეულწილად დემორალიზებული იყო, ეს განსაკუთრებით პირველ ტაიმის დასაწყისში შეიმჩნეოდა. მეორე ტაიმში ვითარება გამოვასწორეთ, ბურთის ფლობის მხრივ არ ჩამოვუვარდით მეტოქეს, მაგრამ ჩვენს ფეხბურთელებს საშემსრულებლო ოსტატობა არ ეყოთ. მომდევნო მატჩებში დარასელია და სილაგაძე დაგვემატებიან და მნიშვნელოვნად გავძლიერდებით.

**- გუშინ მომხდარზე გკითხავთ. ვის უნდა აწყობდეს ასეთი რამ?**

- კარგად ვიცი ვისაც უნდა აწყობდეს, მაგრამ ეს აქ სალაპარაკო არაა.

**- ეს ყველაფერი "სიონის" წინააღმდეგაა მიმართული?**

- ეს მიმართულია ჩემი დისკრედიტაციისკენ.

**- გუნდში რაიმე განხეთქილება ხომ არ არის?**

- არანაირი. პირიქით ძალიან შეკრული გუნდია. ეს კიდევ უფრო გვაერთიანებს. ვითარება გარედან იმღვრევა, მაგრამ მე არ ვაპირებ თავის დახრას! წინ კიდევ არაერთი მატჩი გველის და ჩვენ პროგრამა-მინიმუმს შევასრულებთ – ევროთასებზე ვითამაშებთ!

რევაზ ძოძუაშვილი (ოლიმპის მთავარი მწვრთნელი):

- არსებობს ფეხბურთში ასეთი გამოთქმა "შენი დღე" და ეს დღე ჩვენი იყო. დამსახურებულად გავიმარჯვეთ. დღეს ჩვენ მაღალი დონის ფეხბურთი ვაჩვენეთ, ევროპული დონისა.

**პაატა თოთაძე**
**ავთო ცეცხლაძე**

# დინამო გამარჯვებით იწყებს

**ბორჯომი-დინამო**

**0:2**

23.02. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი. 1000 მაყურებელი

0:1 კობახიძე (53. ხუციშვილის პასით), 0:2 სპასოევიჩი (65. ფეიქრიშვილის პასით)

ბორჯომი: კოდალაევი - მერებაშვილი, ქარქუზაშვილი, ნადირაშვილი, მემარნიშვილი - ლონღაძე, ავალიანი, გოგიჩაიშვილი (81. თედიაშვილი), კოშკაძე (66. ლომიძე), კვერნაძე (79. ლაზარაშვილი), - ჯიქია

*სათადარიგოები: შეყრილაძე, ტალახაძე, მძინარიშვილი*

დინამო: ლორია - კაშია, კრშკო, ზელიჩი, შაშიაშვილი - დილმელაშვილი, ხმალაძე (76. ნოზაძე), ხუციშვილი (68. ოდიკაძე), ფეიქრიშვილი, კობახიძე - სპასოევიჩი (81. ჯანაშია)

*სათადარიგოები: გრიშიკაშვილი, თომაშვილი, კაშია, ჩირიკაშვილი*

გაფრთხილება: ხმალაძე (48)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

ზამთრის პაუზისას მშვენივრად მომზადებული და ამბიციამომატებული "დინამოსგან" მეორე წრის საწყის მატჩში, ყველა გამარჯვებას ელოდა და ბორჯომში მართლაც ასე მოხდა. თუმცა, საამისოდ, ჩვენი ფეხბურთის ფლაგმანს საკმაო შრომა და გარჯა დასჭირდა. მასპინძლებმა მეორე წრისთვის კარგი შემადგენლობა შეკრიბეს და უბრძოლველად არაფრის დათმობას არ აპირებდნენ, მით უმეტეს, ფეხბურთელისთვის თავის გამოჩენის უკეთეს საშუალებას, ვიდრე "დინამოსთან" წარმოჩინებაა, ვერც ინატრებ კაცი. ერთი სიტყვით მატჩის წინ ბევრი ინტრიგა და ფაქტორი არსებობდა რის გამოც ამ შეხვედრას უნდა გაემართლებინა და სიცივის მიუხედავად სტადიონზე მრავლად მოსულ მაყურებელს საინტერესო და დაძაბული თამაში ეხილა.

**უპრინმა** გაფრთხილების გამო **იაშვილი** მოისაკლისა, მის მაგივრად თავდასხმაში ახალწვეული **სპასოევიჩი** დააყენა და თავისიანები 4-5-1 სქემით განალაგა. რაც შეეხება "ბორჯომს", წამყვანი როლი **კოშკაძე-ავალიანი-ჯიქიას** ტრიოს მიანდეს. "დინამო" თავიდან ოდნავ ინერტულად გამოიყურებოდა, რაც, ვფიქრობთ ხელოვნურსაფარიანი მოედნის ბრალი იყო. სტუმრები თანდათან გააქტიურდნენ, სახიფათო მომეტების შექმნაც დაიწყეს. პირველი ასეთი მომენტი კი მე-10 წუთზე მოხდა, როცა სპასოევიჩის თავური მცირედით ასცდა კარს, მალე ხუთიოდ წუთში დინამოელთა დებიუტანტმა ლეგიონერმა "მიზანი უფრო გაასწორა" და სულ ოდნავ ააცილა კარს. ამას **ხუციშვილის** შორეული დარტყმა მოჰყვა, რომელიც ბორჯომელთა დებიუტანტი მეკარის **კოდალაევის** ნადავლი გახდა. მასპინძლებმა ამის შემდეგლა ააწყვეს თამაში და კოშკაძემ რამდენჯერმე სახიფათოდ ჩააწოდა დინამოელთა საჯარიმოში. ერთ-ერთის დროს **კვერნაძე** იყო ახლოს მიზანთან, მაგრამ მისი თავური ახლო მანძილიდან ოდნავ ასცდა კარს. პირველის ტაიმის ბოლო აკორდი კი სტუმართაგან ამ დღეს ყველაზე აქტიურის **კობახიძის** ფლანგური გარღვევა გახლდათ, რომელსაც ძლიერი დარტყმაც მოყვა, მაგრამ დინამოელთათვის სამწუხაროდ იგი მიზანს ასცდა.

მეორე ტაიმი მწვრთნელისგან შეგულიანებულმა დინამოელებმა აქტიურად და მონდომებულად დაიწყეს. ნათელი იყო, რომ თბილისელები მოგებაზე და სამ ქულაზე იყვნენ დაგეშილნი. მალე მათ შედეგიც მოიმკეს. 53-ე წუთზე ხუციშვილმა გამოზომილი გადაცემა გაუკეთა კობახიძეს, რომელმაც დაბალ კუთხეში ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში - 1:0. დინამოელებმა გატანილი გოლის შემდეგაც არ დათმეს ინიციატივა, კიდევ რამდენჯერმე დაემუქრნენ მასპინძელთა კარს.

ერთ-ერთმა შეტევამ 65-ე წუთზე კვლავ მოიტანა შედეგი - კობახიძემ ჯერ მარცხნიდან შეუტია, შემდეგ კი ბურთი მარჯვნივ გადაიტანა, რომელიც **ფეიქრიშვილს** მიუვიდა, ამ უკანასკნელმა კი იგი ზუსტი პასით თავზე დაასვა მეკარის ბაქნის წინ მდგომ სპასოევიჩს, რომელმაც მაღალ კუთხეში გაუტანა კოდალაევს. 2:0 და ნათელი გახდა, რომ "დინამო" გამარჯვებას არ გაუშვებდა ხელიდან. მასპინძლებმა ბოლოსკენ გაიბრძოლეს, მაგრამ კვერნაძისა და ავალიანის დარტყმებიც ასცდა სტუმართა კარს.

### მატჩის შემდეგ

დუშან უპრინი (დინამოს მთავარი მწვრთნელი): *"თავიდან ცოტა გაგვიჭირდა, რადგან ხელოვნურ საფარზე ვთამაშობდით, თუმცა ინიციატივა პირველ ტაიმშიც არ დაგვითმია. შესვენების შემდეგ კი სწორი თამაშით წარვმართეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. "ბორჯომი" კარგი გუნდია და აქ გამარჯვება იოლი ნამდვილად არ გახლავთ. როგორც მითხრეს, "ამერის" წარმომადგენლები ჩვენს თამაშს ფირზე იღებდნენ. იმედია, მათ სათასო იმედებსაც გავაწბილებთ. კარგი დასაწყისი ხომ საქმის ნახევარია".*

ვლადიმერ ხაჩიძე (ბორჯომის მთავარი მწვრთნელი): *"სულ ერთი თვეა ამ ახალი გუნდით ვვარჯიშობთ, კიდევ ოთხი კაცი გვყავს განაცხადში შესაყვანი. იმედია, კიდევ უფრო გავძლიერდებით და ვეცდებით, ყველას ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიოთ. ეს ორი თამაში თასზე - "ზესტაფონთან" და დღეს "დინამოსთან" წინასაჩემპიონატო რეპეტიციად გამოვიყენეთ".*

**მერაბ ბრძელიძე**
**ბორჯომიდან**

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge





ნუგზარ სუარიძის ფოტო

# ნულოვანი, მაგრამ სანახაობრივი

**ვიტ ჯორჯია-ტორპედო 0:0**

23.02. მცხეთა. არმაზი. 150 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი – პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე – გ. დათუნაიშვილი (84. ბერიაშვილი), რაზმაძე, კვალინიძე – სახოკია (53. კიკნაძე), გელაშვილი, მელქაძე (60. ლუჭაშვილი)

*სათადარიგოები: მიქაბერიძე, ადამაძე, კლიმიაშვილი, ბეჭვაია*

ტორპედო: ქვილითაია – კილასონია, რ. ბარაბაძე, ფარულავა, გურული – ჭედია (87. მ. ღონღაძე), ზივზივაძე, ლალაძე, კირკიტაძე, ნადირაძე (46. კვეტენაძე) – იმედაძე (65. წიქარიშვილი)

*სათადარიგოები: ოდიშარია, ხურცილავა, იობაშვილი, ქუთათელაძე*

გაფრთხილება: ჯაფარიძე (52), კვალინიძე (57), ზივზივაძე (72)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

იმ გულშემატკივრებმა, რომლებიც "ვიტ ჯორჯია"-"ტორპედოს" არ დასწრებიან, შეიძლება იფიქრონ, რომ გუშინ მცხეთაში გამართული შეხვედრა უსახური და მოსაწყენი იყო. არადა, მატჩი უაღრესად ლაღი და სანახაობრივი გამოვიდა და მეტოქეებს შექმნილი საგოლე მომენტებიდან მცირედი მაინც რომ გამოეყენებინათ, "არმაზზე" შეკრებილი მცირერიცხოვანი მაყურებელი გოლების წვიმას იხილავდა.

მიმდინარე სეზონში ქუთათურებმა ვეტერინარები ერთხელ უკვე გაამწარეს – მცხეთაში თასის ჯგუფური ეტაპის მატჩი მოიგეს და "ვიტ ჯორჯია" მეოთხედფინალსმიღმა დატოვეს. **ნესტორ მუმლაძის** შეგირდებს მოტივაცია ისედაც არასდროს აკლიათ და ბუნებრივია, ამ ფაქტორს მათ განწყობაზე კიდევ უფრო დადებითად უნდა ემოქმედა.

თამაში ისე დაიწყო, როგორც ჯორჯიელები გეგმავდნენ. მასპინძლებმა სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა საწყისი წუთებიდანვე იგდეს ხელთ და ყოველგვარი დაზვერვის გარეშე, მეტოქის კართან ერთიმეორის მიყოლებით შექმნეს ხიფათი. თავიდანვე ვთქვათ, რომ სტუმრებს პირველ ტაიმში მოწინააღმდეგის ნახევარზე ღირებული არაფერი გაუკეთებიათ, შესვენებამდე ყველაფერი "ვიტ ჯორჯიას" კარნახით მიმდინარეობდა.

"ტორპედოს" კარის დალაშქვის პირველი შანსი მე-10 წუთზე **გიორგი დათუნაიშვილს** მიეცა. მის დარტყმულს მცველი გადაელობა. ორიოდე წუთში უმცროსი დათუნაიშვილის პასით უკვე **სახოკია** იყო მიზანთან ახლოს, გოლი თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ ამ უკანასკნელმა ბურთი კარს სამიოდე მეტრიდან ააცილა.

შეხვედრის პირველი ნახევრის მიწურულს საგოლე შანსი ისევ სახოკიას მიეცა, მან თავით კარგადაც დაარტყა, მაგრამ "ტორპედოს" ახალგაზრდა გოლკიპერმა **ქვილითაიამ** იშვიათი რეაქცია გამოავლინა და ანგარიში უცვლელი დარჩა. პირველ ტაიმში მიზანმა **მელქაძესა** და **გელაშვილსაც** უმტყუნა.

შესვენების შემდეგ "ტორპედო" მთლიანად გარდაისახა, რაც გუნდში დაბრუნებული ვეტერანის, **კახა კვეტენაძის** დიდი დამსახურება იყო. აქვე იმასაც გეტყვით, რომ მისგან განსხვავებით, არდამაჯერებლად გაისარჯა ასევე ძველ-ახალი ტორპედოელი **გრიგოლ იმედაძე**. ვნახოთ, ალბათ, იგი თანდათან შევა ფორმაში.

თუკი იმერლები პირველ ტაიმში მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ, მეორეში მოწინააღმდეგეს ტოლი არაფერში დაუდეს და თანაბარი ბრძოლა გაუმართეს.

მოვლენები იმგვარად განვითარდა, რომ გამარჯვება ორივეს შეეძლო. რაც უფრო ცოტა დრო რჩებოდა მსაჯის საფინალო სასტვენამდე, "ვიტ ჯორჯია" მით უფრო დიდი ძალებით მიიწევდა ქვილითაიას კარისკენ. შესაბამისად, მასპინძელთა ნახევარზე სისტემატურად ჩნდებოდა ხვრელები, რისი გამოყენებაც **გიორგი კიკნაძის** ფეხბურთელებს არაერთხელ შეეძლოთ. ორ ეპიზოდში სტუმრებს გოლამდე სანტიმეტრები დააკლდათ – **ჭედიასა** და **წიქარიშვილის** დარტყმები ძელს მოხვდა.

ბუნებრივია, უსაქმოდ არც ვეტერინარები ყოფილან. მათ იმდენი საგოლე შესაძლებლობა ჰქონდათ, სათვალავიც კი აგვერია. ჯორჯიელებს ხან სიზუსტე ღალატობდათ, ხანაც ელემენტარული ტექნიკური წუნი მოსდიოდათ. ამას მარტო ფეხბურთელებს ვერ დავაბრალებთ, "არმაზის" გაზონი არცთუ სახარბიელო მდგომარეობაშია.

ბოლო "ვეტერინარული" შანსი ხელიდან გელაშვილმა გაუშვა. დარჩენილ ხუთ წუთში "ვიტ ჯორჯიამ" რამდენიმე კუთხური მოაწოდა, ჯარიმებიც დაარტყა, მაგრამ ტორპედოელებმა თავგანწირვით და რაც მთავარია, უშეცდომოდ დაიცვეს კარი.

რა თქმა უნდა, სატურნირო თვალსაზრისით, თითო ქულა მეტოქეთათვის დიდი ვერაფერი შენაძენია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ კარგი სეზონური შედეგის ჩვენების პოტენციალი "ვიტ ჯორჯიასაც" აქვს და "ტორპედოსაც". კონკრეტულად ეს შედეგი კი ცხადია, ქუთათურთათვის უფრო მისაღებია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ვერის ბაღის ფეხბურთის გულშემატკივართა კლუბი და მისი წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართული ფეხბურთის დიდი ქომაგი და ამაგდარი, საქართველოს დამსახურებელი ინჟინერი

**გურამ გოგიჩაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

# გორი საჩხერეა?!

**ჩიხურა-ამერი 0:2**

23.02. გორი. ქართლი. 50 მაყურებელი

0:1 წინამძღვრიშვილი (23. ჯელაძის პასით), 0:2 ბოლქვაძე (89. პენალტით)

ჩიხურა: სტურუა - თავბერიძე, ქემოკლიძე, ბარამიძე, ქუხილავა - ბუცხრიკიძე, ვაშაკიძე, მახარაძე, ქუცურუა (63. სტეფანიშვილი) - გ. მიქაძე (68. მ. მიქაძე), დვალი

*სათადარიგო: დოლაძე, ირ. ზაზახიძე, ჩარგეიშვილი, ვლ. ზაზახიძე*

ამერი: ქვაჩახია - ელბაქიძე (70. კაკაშვილი), დავითნიძე, დიდავა - ჯელაძე, ბოლქვაძე, მესხი, დოლიძე (82. მჭედლიშვილი), ჩიკვაიძე - დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი (79. ჩიმაკაძე)

*სათადარიგო: ნადირაშვილი, გაბისკირია, ხვადაგიანი*

გაფრთხილება: მახარაძე (24), ბუცხრიკიძე (59), ქვაჩახია (75), წინამძღვრიშვილი (79), დოლიძე (79), ბოლქვაძე (80), მჭედლიშვილი (90)

გაძევება: მახარაძე (57)

არბიტრი: ო. ხეცაძე

გორში გათამაშების ერთერთი ლიდერისა და „ჩიხურას" დაპირისპირება საკმაოდ საინტერესო და დაძაბული გამოდგა. „ამერს" თუ საჩემპიონოდ სჭირდებოდა სამი ქულა, ზემო იმერლებს ქულების დაკარგვა უმაღლეს ლიგაში დარჩენაში შეუქმნიდა პრობლემებს.

მატჩის დებიუტმა და კერძოდ პირველმა ათმა წუთმა ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, კაცი სტუმართა გამარჯვებაში არ უნდა დაეჭვებულიყავი, თუმცა „ამერის" თავდაპირველი იერიშები ცოტა ხანში გაანეიტრალეს საჩხერელებმა და ხუთწუთიან ინტერვალში **ჯაბა დვალი** სამჯერ დაემუქრა სახიფათოდ **ქვაჩახიას** კარს. კარის მშრალად შესანახად განსაკუთრებით ბოლო მომენტში დაჭირდა გოლკიპერს ოსტატობის სრულად გამოვლენა. დვალი ამის შემდეგაც გამორჩეული იყო თავისი გუნდის რიგებში, კარგადაც იხსნებოდა შეტევებისას და უბურთოდ მოძრაობითაც გვარიანად აწუხებდა მეტოქის მცველებს. ხშირ შემთხვევაში არც „ჩიხურას" დაცვის ხაზი მოქმედებდა სუსტად, რის შედეგადაც **წინამძღვრიშვილს** და **დავითაშვილს** უჭირდათ **სტურუას** კართან ხიფათის შექმნა.

**ჩიხრაძის** შეგირდები მრავალფეროვნად უტევდნენ და ამ თვალსაზრისით კარგად იყენებდნენ ფლანგებს, სადაც **გიზო ჯელაძე** და **გრიგოლ დოლიძე** ირჯებოდნენ. სწორედ ჯელაძის ერთერთი ფლანგური ჩაწოდებისას შეცდნენ საჩხერელი მცველები, ბურთი გაატარეს და წინამძღვრიშვილმა თავური დარტყმით აიღო მეტოქის კარი - 0:1.

გაშვებული გოლმა „ამერს" კიდევ უფრო შემატა თავდაჯერებულობა და შეტევებსაც მოუხშირა. „ჩიხურას" ყველაზე მრისხანე თავდამსხმელი ჯაბა დვალი კი ტაიმის ბოლომდე ერთგვარად ჩრდილში მოექცა. თანაგუნდელთა ინერტულობისას **გიორგი მიქაძემ** გაიბრძოლა რამდენჯერმე, თუმცა ამაოდ. პირობითი მასპინძლები მოწინააღმდეგის იერიშების განეიტრალებისას ხელოვნური თამაშგარეს გამოყენებით ცდილობდნენ და აღსანიშნავია, რომ ეფექტურადაც გამოსდიოდათ.

მეორე ტაიმის პირველივე წუთზე ისევ დვალს შეეძლო გაეტანა, როცა **ბუცხრიკიძემ** საჯარიმოში მეკარესთან თითქმის პირისპირ დატოვა თანაგუნდელი, მაგრამ თავური დარტყმა გამოუვიდა ცუდი და მომენტი ქარს გაატანა. ამის შემდეგ თამაში კიდევ უფრო საინტერესო და ამავე დროს ხისტი გახდა. მობურთალთა „დასაწყნარებლად" **ხეცაძემ** ყვითელი ბარათებიც არიგა და არც **კახა მახარაძე** დაინდო, რომელიც გააძევა. კაცნაკლულად დარჩენილ „ჩიხურას" ცხადია კიდევ უფრო გაუჭირდებოდა ბრძოლა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მათ ქულის გადარჩენისთვის მაინც თავგანწირულად იბრძოლეს. ბოლოს კი იერიშებში გართულებმა ზურგიც მოაშიშვლეს და 89-ე წუთზე მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში შეჭრილი გიზო ჯელაძე უწესოდ შეაჩერეს. პენალტის რეალიზება **ბოლქვაძემ** ითავა და წარმატებითაც 0:2.

**ვასილ ბალახაძე**
*გორიდან*

# მერანმა სვლა იწყო

**მერანი-კახეთი 3:1**

23.02. თბილისი. შევარდენი. 200 მაყურებელი

0:1 კობაიძე (42. ამირანიძის პასით), 1:1 ა. ნოზაძე (48. კობერიძის პასით), 2:1 ფურცელაძე (59). 3:1 ა. ნოზაძე (60. დეისაძის პასით).

მერანი: სეფიაშვილი – თურქია, ლ. გრიგალაშვილი, ლ. ჯანგიძე, ოსიტაშვილი – ქემაშვილი, ბესარაშვილი, სახვაძე (46. კობერიძე), ოქრუაშვილი (42. ფურცელაძე) – დეისაძე, ა. ნოზაძე.

*სათადარიგოები: გლუნჩაძე, უსენაშვილი. გ. ჩივაძე, დათუნაშვილი, სიხარულიძე.*

კახეთი: გ. იაშვილი - კობაიძე, მურველაშვილი, ა. კვირკველია, გერგიშვილი (75. ძამუკაშვილი) – კუპრაშვილი, ჩუთლაშვილი (62. ტეტიაშვილი), მ. დავითაშვილი, ამირანიძე (60. ლ. ბურნაძე) – ბიძინაშვილი, გ. ხიდაშელი.

*სათადარიგოები: ჩახუტაშვილი, მ. ხიდაშელი, აბდულაევი, არუდაშვილი.*

გაფრთხილება: ა. ნოზაძე (5), ჯანგიძე (44), კუპრაშვილი (70), ლ. ბურნაძე (82).

არბიტრი: პ. დოგრაშვილი.

გუშინ "შევარდენზე" გამართული მატჩიდანაც კარგად ჩანს, რომ უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა "მერანმა" ზამთრის მოსამზადებელი პაუზა კარგად გამოიყენა. წრეებსშორისი პაუზისას არც "კახეთი" უნდა ყოფილიყო უქმად. თუმცა ფაქტია, რომ **ვასილ არუდაშვილის** მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს გამოცდილების გარდა საკუთარი ძალების რწმენაც აკლიათ. ეს ფაქტორი მატჩის შემდეგ კომენტარში თელაველთა მთავარმა მწვრთნელმაც აღნიშნა. კომენტარები ბოლოსთვის იყოს, მანამდე კი სჯობს თანმიმდევრულად მივყვეთ მოვლენების განვითარებას.

მატჩი ორი განსხვავებული ტაიმისგან შედგებოდა. პირველი უფერულად წარიმართა და მხოლოდ ერთი გოლი ვიხილეთ. შესვენების შემდეგ კი სამი გოლი გავიდა სტუმართა კარში. შესაბამისად, "კახეთმა" პირველ ტაიმში უკეთ ითამაშა, ვიდრე მეორე ნახევარში. "მერანმა" კი პირიქით.

ერთი სიტყვით, აუტსაიდერთა მატჩი საშუალო ტემპში დაიწყო. შეხვედრის სტარტზე ორივე გუნდს გაუჭირდა უპირატესობის მოპოვება. ტაიმის შუაწელს ნელ-ნელა კახელებმა იძალეს და მოპოვებული მცირედი უპირატესობა ტაიმის ბოლოს გოლითაც დააგვირგვინეს. გოლამდე კი თითქმის არაფერი იყო აღსანიშნი. მასპინძლებიდან **არჩილ სახვაძე, მიხეილ ბესარაშვილი** და **არჩილ ნოზაძე** აქტიურობდნენ. სტუმართაგან კი - **ხიდაშელი** და **ბიძინაშვილი**. თუმცა ყოველივეს მხოლოდ შესვენებამდე სამიოდე წუთით ადრე მოჰყვა შედეგი. 42-ე წუთზე **ამირანიძემ** კუთხური მოაწოდა, **კობაიძის** თავურისას კი დედაქალაქელთა მეკარე **სეფიაშვილი** უძლური აღმოჩნდა და ანგარიშიც გაიხსნა.

უფრო საინტერესო კი მეორე ნახევარი გამოდგა. როგორც ჩანს, შესვენებაზე **სერგო კუტივაძემ** გვარიანად შეაფუცხუნა შეგირდები და მათაც სწრაფი გოლით შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. სახვაძის ნაცვლად შესულმა **კობერიძემ** მარცხენა ფრთიდან აშკარად გაამწვავა თამაში და 48-ე წუთზე საგოლე პასიც მიითვალა. კობერიძის გადაცემა არჩილ ნოზაძემ გამოიყენა - 1:1. მიღებულმა გოლმა სტუმრები გამოაფხიზლა, მაგრამ "მერანიც" არ მოდუნდა და მატჩის სადავეები არ დათმო, რასაც მოგვიანებით კიდევ ორი გოლი მოჰყვა. 59-ე წუთზე **ფურცელაძემ** "მერანი" დააწინაურა, 2:1. თბილისელებმა თელაველებს გონზე მოსვლა არ აცალეს და რამდენიმე წამში **დეისაძის** პასით ნოზაძემ დუბლი მიითვალა, 3:1. ორბურთიანი ფორის მიუხედავად "კახეთმა" მაინც გაიბრძოლა, მაგრამ 71-ე წუთზე სეფიაშვილთან პირისპირ გასულმა **ტეტიაშვილმა** კარის აღების რეალური შანსი გაუშვა ხელიდან. ამის შემდეგ კახელებმა ხელი ჩაიქნიეს და "მერანს" კიდევ ორჯერ მიეცა ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, მაგრამ დეისაძემ ორივე შანსი ქარს გაატანა.

**მატჩის შემდეგ**

სერგო კუტივაძე (მერანი): *"მართალია, "კახეთი" ბოლო ადგილზეა, სტუმრებს ახალგაზრდული გუნდი ჰყავთ და დღეს ბრძოლაც შემოგვთავაზეს. მართალი გითხრათ სასტარტო შემადგენლობის დაყენებისას ცოტა არ იყოს შევცდით, თორემ თავიდანვე დავწინაურდებოდით. მოედნის საფარი ცუდ მდგომარეობაშია, დღეს კომბინაციური თამაშის ჩვენება არ გამოგვივიდა. თუმცა მომავალში ამასაც ვაჩვენებთ"*

ვასილ არუდაშვილი (კახეთი): *"პირველ ტაიმში ჩემმა ფეხბურთელებმა კარგად ითამაშეს, მაგრამ მეორე ნახევარში არ ვიცი რა დაემართათ. საერთოდ გუნდმა ორი განსხვავებული ტაიმი აჩვენა. ჩემი ფეხბურთელები არ დაღლილან, მაგრამ, როგორც ჩანს ფსიქოლოგიურ მომენტთან გვაქვს საქმე. მათ საკუთარი ძალების რწმენა აკლიათ. ჩვენ სწორედ ამ პრობლემის აღმოფხვრაზე უნდა ვიმუშავოთ. ერთსაც ვიტყოდი, ჩემი შეცდომა ის იყო, რომ ზოგიერთი არ უნდა შემეყვანა მინდორზე. ამპლუით თავდამსხმელი ჰქვია და ვიფიქრე, გუნდს გააძლიერებსთქო, მაგრამ როგორც აღმოჩნდა შევცდი.*

**დავით ცაბაძე**

# ათიანი – სამი წლის შემდეგ

ეს არაა ჩვეულებრივი ჟურნალი. დავით ყიფიანის სახელობის ფონდის გამოცემული ჟურნალ "ათიანის" პირველი ნომერი სამი წლის წინ გამოვიდა და მკითხველის მოწონება დაიმსახურა.

მიზეზთა გამო, მას შემდეგ ჟურნალის მხოლოდ რამდენიმე ნომერი გამოვიდა და გვარიანი პაუზაც გააკეთა. გუშინ კაფე "მსოფლიო სპორტში ჟურნალის ხელახალი დაბადება აღინიშნა. განახლებულმა "ათიანმა" დღის შუქი იხილა.

ჟურნალის რედაქტორმა გია გორგოძემ ხორხე ვალდანოს გენიალური სიტყვები მოიხმო: *"ფეხბურთი ემსგავსება იდიოტიზმს ორი საკვანძო სიტყვით: გამარჯვება და მარცხი. ვინც ფეხბურთში მარტო შედეგს ხედავს, ეურჩევ სტადიონზე 90-ე წუთზე მოვიდნენ ტაბლოს სანახავად".*

ვფიქრობთ, ეს სიტყვები "ათიანის" სულისკვეთებაზე მიუთითებს. მას რომანტიკული ფეხბურთის მოყვარულთა ჟურნალი შეიძლება ვუწოდოთ. ძველისა და ახლისადმი სითბო და სიყვარული "ათიანს" წითელ ზოლად გასდევს.

**მერაბ მამულაშვილი**

www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



**ლოკომოტივი-ზესტაფონი**

**1:4**

23.02. თბილისი. მიხეილ მესხი. 300 მაყურებელი

1:0 დ. ფოფხაძე (1. ყენიას პასით), 1:1 ჭელიძე (21. ჩხეტიანის პასით), 1:2 ვიეირა (60), 1:3 ფიფია (73), 1:4 ნოზაძე (83. ჭელიძის პასით)

ლოკომოტივი: გვარამაძე-თუთბერიძე (46. სოსელია), კვახაძე, გუშარაშვილი, ფოფხაძე-გულორდავა, მალიჩავა (75. კუპრეიშვილი), ჩომახიძე, ბარბაქაძე (63. ჟლენტი), ყენია, სამხარაძე.

*სათადარიგოები: მიგინეიშვილი, ებრალიძე, ჟლენტი, მ. კირკიტაძე.*

ზესტაფონი: ჭანტურია-თოდუა (85. ბენაშვილი), ლონლაძე, საჯაია, ჩხეტიანი-ჭელიძე, რ. ონიანი, სანტოსი, ვიეირა-იონანიძე (82. ბ. ნოზაძე), ფიფია (87. ჯანელიძე).

*სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, ნ. კვასხვაძე, ხიდეშელი, პარამონოვი.*

გაფრთხილება: გულორდავა (31), თოდუა (40), ფოფხაძე (65).

არბიტრი: მ. მაისურაძე

# იმერული ქარიშხალი ვაკეში



ზურაბ იონანიძის შეტევა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მატჩი ინტრიგას მოკლებული ნამდვილად არ იყო. მართალია, "ზესტაფონი" ჩემპიონობისთვის იბრძვის და გაძლიერდა, მაგრამ გულხელდაკრეფილი "ლოკომოტივის" ხელმძღვანელობაც არ ყოფილა. მათ მყვირალა ტრანსფერებით თავი არ გამოუჩენიათ, მაგრამ რაც მთავარია, ბირთვი შეინარჩუნეს და ოთხი მოთამაშე დაიმატეს. სტაბილური შემადგენლობა და პლუს გამოცდილი მოთამაშეები კი წინსვლას ნიშნავს.

ამიტომაც იყო, "ლოკომოტივი" საომრად ემზადებოდა. თამაში მათთვის სასურველადაც დაიწყო. საკმაოდ თანაბარი დასაწყისის შემდეგ, მასპინძლებმა ანგარიში გახსნეს. **ლევან ყენიამ** ბურთი კუთხურიდან მოაწოდა, "ზესტაფონის" დაცვა შეცდა და **დაჩი ფოფხაძემ** თავური დარტყმით ანგარიში გახსნა - 1:0. **გია ჭანტურიას** 9-მატჩიანი მშრალი სერია ამით დამთავრდა და რეკორდის გაუმჯობესებაზე ფიქრი სამომავლოდ მოუწევს.

სტუმრებმა ანგარიში სწრაფად გაათანაბრეს: **კახა ჩხეტიანმა** მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა, **დათო გვარამაძეს** ბურთი უნდა აელო, მაგრამ **გიორგი ჭელიძემ** წამით დაასწრო და 1:1.

პირველი ტაიმის დარჩენილი დრო დაძაბულ ბრძოლაში მიილია. შესამჩნევ უპირატესობას ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია. თუმცა ბოლოსკენ "ზესტაფონი" უფრო მონდომებით უტევდა.

მეორე ტაიმი "ლოკომოტივის" მწვრთნელმა **ამირან მინაშვილმა** გამბედავი ტაქტიკური განლაგებით ყველა გააოცა - მცველ **ჭიჭიკო თუთბერიძის** ნაცვლად მოედანზე ფლეიმეიქერი **მიხეილ სოსელია** შეიყვანა. მოკლედ, მასპინძლებს მხოლოდ ქულა არ აწყობდათ.

თუმცა მისმა რისკმა არ გაამართლა. "ზესტაფონმა" ტემპს მოუმატა და მოედანზე ქარიშხალი დაატრიალა. არც იმის დავიწყება გვარგებს, რომ თბილისელებმა ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვეს და "ზესტაფონს" ხელი შეუწყვეს. მე-60 წუთზე გვარამაძემ ბურთი ცუდად მოიგერია, საჯარიმოსთან **ვიეირამ** იმარჯვა და ზუსტად გაისროლა - 1:2. ბრაზილიელმა უზომოდ გაიხარა, ემოციები აფრქვია და ჯამბაზის სალტოებით დაგვამახსოვრა თავი.

მინაშვილი არ ნებდებოდა და კიდევ ერთხელ გარისკა. ნახევარმცველი **გიორგი ბარბაქაძე** თავდამსხმელ **მიხეილ ჟლენტით** შეცვალა. თუმცა "ლოკომოტივი" სტუმრებს უკვე ველარ აჩერებდა. 73-ე წუთზე **გოგი ფიფიამ** საჯარიმოში ბურთი ჩაკიდა. ხელოვნური თამაშგარის შექმნისას მცველები შეცდნენ, სტუმართა სამი ფორვარდი მეკარესთან მარტო დარჩა, მაგრამ ბურთს ვერც ერთი შეეხო, ბურთმა კი ბადე მაინც შეარხია - 1:3.

"ზესტაფონმა" სიჩქარეები კიდევ უფრო გაზარდა. 83-ე წუთზე სტუმრებმა სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყეს, საჯარიმოში ჭელიძე შეიჭრა და მოედანზე ერთი წუთით ადრე შემოსული **ბექა ნოზაძე** მონახა. მან კი ბურთთან პირველივე შეხება გოლით დაასრულა - 1:4.

მატჩის მიწურულს ყენიამ გაიბრწყინა, ოთხი მეტოქე დრიბლინგით ჩამოიტოვა და სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ჭანტურიას ვერ აჯობა.

## მატჩის შემდეგ

თემურ მახარაძე, ("ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი): *"საკმაოდ რთული პირველი ტაიმი იყო. ეს ახალგაზრდა ლოკომოტიველთა სასარგებლოდ მეტყველებს. გარკვეული სირთულეები შეგვიქმნეს. თუმცა გამოცდილებამ თავისი გაიტანა. ამის მიუხედავად, ისიც სათქმელია, რომ "ლოკომოტივი" ასეთი დიდი ანგარიშით წაგებას არ იმსახურებდა".*

ამირან მინაშვილი, ("ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი): *"პირველი ტაიმის შემდეგ მივხვდი, რომ ჩამჯდარი თამაშით ფონს ვერ გავიდოდით. თუმცა ჩემთვის მოულოდნელად სუსტად და შებოჭილად ითამაშეს ნახევარმცველებმა. საერთოდ, მე დასაკარგი არაფერი მქონდა, დაცვით კი შედეგს ვერ მივიღებდით".*

**მერაბ მამულაშვილი**

**ბათუმი-დილა**

**2:1**

23.02. ბათუმი. ადელი. 150 მაყურებელი

0:1 ვარდოსანიძე (86), 1:1 კვარაცხელია (87), 2:1 ბეჟანიძე (87)

ბათუმი: სომხიშვილი - დუმბაძე, თედორაძე, ლობჟანიძე - ხოხონიშვილი (63. ბეჟანიძე), შალამბერიძე, კუნჭულია (83. ფარტენაძე), თურმანიძე, ნერგაძე — კერესელიძე (46. დარჩიძე), კვარაცხელია.

*სათადარიგოები: ბექთაშევი, ბაჯელიძე, ცანავა, გალოგრე.*

დილა: თევდორაძე - კობახიძე, ლომაშვილი (19. სადალაშვილი) დ. ხანიშვილი, ბალაშვილი - ყველაშვილი, ნ. ნოზაძე, კ. ხანიშვილი, ვარდოსანიძე, ბურნაძე (68. კურტანიძე) — გონჩაროვი (78. სამადაშვილი)

*სათადარიგოები: კეჩხუაშვილი, ბალიაშვილი, აბრამიშვილი, თაყაძე.*

გაფრთხილება: კობახიძე (45), ხოხონიშვილი (63), ბეჟანიძე (91).

არბიტრი: კ. ჭაჭუა

# 60 წამში მოგებული მატჩი

გორელები ბათუმელთათვის ყოველთვის უხერხულ მეტოქედ ითვლებოდნენ. მოსაგებად ჩამოსულმა სტუმრებმა, მართალია, თამაში ჟინიანად დაიწყეს, მაგრამ პირველ წუთებზევე დათმეს ტერიტორიული უპირატესობა და ძირითადად დაცვით დაკავდნენ. ამან ზღვისპირელებს ხელ-ფეხი გაუხსნა, რომლებიც შეტევას შეტევაზე ახორციელებდნენ. თუმცა მათი იერიშები მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან სრულდებოდა. „დილის" მცველები კარგად თამაშობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მოედანზე მასპინძლები დომინირებდნენ, პირველი სახიფათო მომენტი მაინც სტუმრებმა შექმნეს. 29-ე წუთზე **ბალაშვილმა** მარჯვენა ფლანგიდან მეკარის მოედანზე ჩაკიდა ბურთი. იქ კი მცველებს **სადალაშვილი** გაეპარათ და ოდნავ ზუსტი რომ ყოფილიყო, ანგარიშსაც გახსნიდა.

პირველ ტაიმში გორელთა შესრულებით მეტი მომენტი ველარ ვიხილეთ, რასაც ვერ ვიტყვით მასპინძლებზე. ბათუმელთაგან მარჯვენა ფლანგზე აქტიურობდა **შალამბერიძე**, რომელიც ხშირად კარგად იხსნებოდა, მაგრამ რატომლაც პასს უგვიანებდნენ და შეტევის გაგრძელებას მოედნის შუაგულიდან ამჯობინებდნენ. 35-ე წუთზე კი ბათუმელთა გარემარბმა თავის თავზე აილო თამაში, შესანიშნავი სოლო რეიდით მცველებიც გაიარა და **კვარაცხელიასაც** კარგი პასი მისცა. ამ უკანასკნელმა კი დარტყმა დააგვიანა და მცველებმაც მისი განეიტრალება შეძლეს. ამის შემდეგ უკვე კვარაცხელია გაიპარა გარღვევაზე, მაგრამ ისევ უშედეგოდ. არადა, მარჯვენა ფლანგიდან შეტევაში კარგად ერთვებოდა შალამბერიძე, რომელსაც გოლის გასატანად ხელსაყრელი მომენტი ექმნებოდა, მაგრამ კვარაცხელიამ იგი ვერ შენიშნა.

მატჩის მეორე ნახევარში თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა. **კუნჭულია**, რომელიც ნახევარმცველად იყო გამწესებული, დაცვასაც ეხმარებოდა და შეტევებშიც კარგად ერთვებოდა. 55-ე წუთზე კი **თევდორაძეს** რომ არ ეყოჩაღა და ბათუმელთა მეშვიდე ნომრის ძლიერ დარტყმას გოლი აუცილებლად მოჰყვებოდა. 83-ე წუთამდე თამაში მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა და საინტერესო მომენტებიც ველარ ვიხილეთ. აღნიშნულ წუთზე კი ბათუმელებს კიდევ ერთხელ მიეცათ გოლის გატანის შანსი, მაგრამ ამჯერად **თურმანიძის** გამოზომილი პასი ვერ შეირგო კვარაცხელიამ. ვერ გაიტან, გაგიტანენ - მარტივი საფეხბურთო ჭეშმარიტება სამ წუთში კიდევ ერთხელ დადასტურდა. ბათუმელთა მორიგი შეტევა მოედნის ცენტრში **ვარდოსანიძემ** ჩაჭრა და კარისკენ დაიძრა. "დინამოს" მცველთაგან კი რატომლაც არავინ შეწინააღმდეგებია და სტუმარს დარტყმის საშუალება მისცეს. მანაც დაახლოებით 30 მეტრიდან **სომხიშვილს** შორეულ ცხრიანში "ჩაუჭედა" ბურთი. ეტყობა, ამ გოლმა გამოაფხიზლა ზღვისპირელები და მათ ფეხბურთისთვის მეტად იშვიათი რამ გააკეთეს, ერთ წუთში ორი გოლი გაიტანეს. 87-ე წუთზე **ბეჟანიძემ** მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა საჯარიმოში, ბურთი შალამბერიძემ მიილო, რომელმაც კვარაცხელიას გადააწოდა და მანაც ანგარიში გაათანაბრა. სტუმრებმა თამაში ცენტრიდან განაახლეს და... ბურთი ბათუმელთა შეტევის მარჯვენა ფლანგზე, შალამბერიძესთან აღმოჩნდა. მანაც არ დააგვიანა და საჯარიმოში ჩააწოდა. ბურთი ახლა უკვე **ბეჟანიძეს** მიუვიდა და მორიგი გოლი.



ბეგლარ თედორაძემ გონჩაროვს აჯობა

**ირაკლი დარცმელიძე**
*ბათუმიდან*

**გურამ ტურაშვილის** ფოტო

## ალავერდაშვილი ჟალგირისში

თბილისის "ლოკომოტივის" 18 წლის ფორვარდმა **გიორგი ალავერდაშვილმა** ზამთარში გუნდის შეცვლა რამდენჯერმე სცადა. თავდაპირველად კიევის "არსენალში" ჩარიცხვით დააიმედეს. ეს ვარიანტი გამოირიცხა და რუსთავის "ოლიმპში" დაიწყო ვარჯიში. თუმცა ახლა ლიტვის ყველაზე პოპულარულმა გუნდმა, ვილნიუსის "ჟალგირისმა" მიიწვია.

გიორგის ლიტვური გუნდის ხელმძღვანელობა კვიპროსში შეკრებაზე იწვევდა, მაგრამ იქ ჩასვლა და ვარჯიში ვერ მოახერხა. მიზეზი ვიზის დაგვიანება აღმოჩნდა. გიორგი "ჟალგირისს" მხოლოდ 4 მარტს შეუერთდება. ახლა იგი პირდაპირ ვილნიუსში ჩავა. როგორც გვითხრა, "ჟალგირისი" კონტრაქტს გაუსინჯავად სთავაზობს.

იმედია, ამ ნიჭიერი ბიჭის მოლოდინი ახლა მაინც გამართლდება. კლუბების იმედად ხომ გიორგის მთელი მოსამზადებელი პერიოდი გაუცდა. ლიტვაში გამგზავრებამდე ალავერდაშვილი რუსთავის "ოლიმპში" ივარჯიშებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა





მიხეილ აშვეთია

# აშვეთიას დუბლი

შესანიშნავ ტრადიციას ამკვიდრებს "კარლ ცაისის" ქართველი ფორვარდი **მიხეილ აშვეთია** - იენაში მატჩს უგოლოდ არ ტოვებს. წუხელ ფეხბურთელმა გეგმა გადამეტებითაც კი შეასრულა, მან "მიუნხენის" კარში ორი გოლი გაიტანა. დუბლი უსწრაფესად, სულ რალაც ორ წუთში შეასრულა. მეცხრე წუთზე ქართველმა ფორვარდმა ანგარიში 2:0 გახადა, მეთერთმეტე წუთზე მანვე ხუთი მეტრიდან გაიტანა. იენელთა კარში მეორე ბუნდესლიგის 23-ე ტურის ამ მატჩში **გიორგი ლომაია** იდგა, რომელმაც კინალამ კვლავ მშრალად შეინარჩუნა "კარლ ცაისის" კარის ბადე, თუმცა 76-ე წუთზე "მიუნხენელებმა" მაინც მოახერხეს პრესტიჟის გოლის გატანა.

მატჩის შემდეგ ათი ათასმა იენელმა ტაშით გააცილა მატჩის გმირი მიხეილ აშვეთია. "კარლ ცაისმა" მოგებით 25 ქულა დააგროვა და მეორე წრეში პირველად დაალწია თავი გასავარდნ ზონას. "მიუნხენს" 32 ქულა დარჩა. სტუმრებს არ ჰყავდათ **მათე ღვინიანიძე**, რადგან ამ უკანასკნელმა ოპერაცია გაიკეთა და დაახლოებით ერთ თვეს დაისვენებს. აშვეთიას ოთხ მატჩში 3 გოლი აქვს გატანილი. "შპორტალმა" მატჩის საუკეთესიო ფეხბურთელად მიხეილ აშვეთია აღიარა, ქართველმა ფორვარდმა 2 ბალი დაიმსახურა, გიორგი ლომაიამ კი - 3,5.

ნიკოლოზ ნეფარიძე

# ქანქავამ ბატეს გაუტანა

თურქეთში მყოფმა დნეპროპეტროვსკის "დნეპრმა" მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა. უკრაინელთა მეტოქე ამჯერად ბელარუსის ბატე იყო. ახალგაზრდა ქართველ ფორვარდ **რევაზ ბარაბაძეს** არ უთამაშია, სამაგიეროდ გამოჩდა **ჯაბა კანკავა**. სწორედ ჯაბამ გაათანაბრა ანგარიში 50-ე წუთზე. მას შემდეგ რაც პორტუგალიელმა **მარტინშმა** ორი მცველი მოატყუა და ქართველს გაუკეთა გადაცემა, ჯაბამ 8 მეტრიდან აუღებელი დარტყმით დალაშქრა ბატე-ს კარი. 15 წუთში კი **ნაზარენკომ** გამარჯვების გოლი გაიტანა - 2:1.



ჯაბა კანკავა

# დემეს საგოლემაც ვერ უშველათ

ჰოლანდიაში შეკრებაზე მყოფი **კოადრიაანსეს** დონეცკის "მეტალურგი" მოსკოვის "ლოკომოტივთან" ამხანაგურ მატჩში 1:4 შერცხვა. რუსთა შორის არცერთ ქართველს არ უთამაშია, **მალხაზ ასათიანი** ტრავმირებულია, ხოლო **გიორგი ჭელიძე** ძირითად გუნდში არაა. უკვე პირველ ტაიმში "ლოკომოტივი" 3:0-ს იგებდა. **გიორგი დემეტრაძე** მოედანზე **ზეზეს** ნაცვლად 74-ე წუთზე გამოჩნდა. ქართველმა ფორვარდმა ოდნავ გამოაცოცხლა უკრაინული გუნდი, თუმცა ერთადერთი რაც ამას მოჰყვა, ბოლო წუთზე დემეტრაძის ჩაწოდება და **ჩეჩერის** პრესტიჟის გოლია.

# სალუქვაძე შემოიყვანეს, რევიშვილი არა

პორტუგალიურ შეკრებაზე მყოფი ყაზანის "რუბინი" ადგილობრივ "უნიაო ლეირიას" გაეჯიბრა. პორტუგალიის ჩემპიონატში მეოთხეადგილოსან "ლეირიასთან" რუსული კლუბი 0:0 დაზავდა. კარში **ნუკრი რევიშვილის** ნაცვლად ლატვიელი **კოლინკო** იყო. "რუბინის" მეორე ქართველი **ლაშა სალუქვაძე** კი მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა. რამდენიმე დღის წინ "რუბინს" პორტუგალიურ "ნავალთან" სპარინგი კოკისპირულმა წვიმამ ჩაუშალა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

# ჭელიძეს უკრაინაში ელიან

მომავალი სეზონისათვის მოსამზადებლად მოსკოვის "ლოკომოტივმა" ახლახან ჰოლანდიას მიაშურა. ნიდერლანდებზე გუნდს თან გაჰყვა ტრავმის შემდეგ მომჯობინებული **მალხაზ ასათიანიც**. რაც შეეხება "ლოკომოტივის" მეორე ქართველს, თავდამსხმელ **გიორგი ჭელიძეს**, ის ამჯერადაც არაა **ანატოლი ბიშოცევის** კრებულში და კვლავაც დუბლებთან ერთად ვარჯიშობს. სხვათა შორის ჭელიძესთან დაკავშირებით საახალწლო პაუზის შემდეგაც ანალოგიური ვითარება იყო. ფორვარდს მაშინაც სურდა სხვა გუნდში გადასვლა და ახლაც იგივე მიზანი ამოძრავებს. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ვითარების მიხედვით ჭელიძე ამჯერად ჩანაფიქრს განახორციელებს.

*"რამდენიმე კვირის წინაც ანალოგიურ ვითარებაში ვიყავი. მითხრეს, დუბლებთან ერთად მოემზადეო. მაშინვე მინდოდა სხვა გუნდში დროებით მაინც გადავსულიყავი და სათამაშო პრაქტიკა მქონოდა. ახალგაზრდა ფეხბურთელი ვარ. ახლა უნდა ვითამაშო და ეს ოქროს წლები გამოვიყენო, მერე სანანებელი რომ არ მქონდეს.*

*მაშინ იური სიომინმა მითხრა, ნუ აჩქარდები. ცოტაც მოითმინე, დუბლებთან ერთად მოემზადეო. სიომინმა იცის ქართველი ფეხბურთელების შესაძლებლობა და ფასი და მეც დავუჯერე.*

*ახლახან გუნდი მოსამზადებელ შეკრებაზე ჰოლანდიას გაემგზავრა. რამდენადაც ვიცი, გუნდის მთავარი მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი ჩემით სათანადოდ არც კი დაინტერესებულა. იმავე ვითარებაში აღმოვჩნდი, კვლავაც დუბლებთან ერთად უნდა გამეგრძელებინა მომზადება. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ახალ სეზონშიც სარეზერვო გუნდში მომიწევდა თამაში. ბუნებრივია ეს არ მაკმაყოფილებს და ისევ იური სიომინს მივმართე"*, - გვითხრა გუშინ მოსკოვში დაკავშირებისას გიორგი ჭელიძემ.

სიომინი და ჭელიძე შეთანხმებულად და ქართველ ფორვარდს მალე ალბათ სხვა გუნდში ვიხილავთ.

*"სიომინმა მითხრა, სჯობს დროებით სხვა გუნდში წახვიდე განათხოვრებით. ისეთ გუნდში, სადაც თამაში სტაბილურად მოგიწევს... შენი საბოლოოდ დათმობა არ გვინდა. ჩვენ მერე უფრო გამოგვადგებიო"* – განუცხადა "ლელოს" ჭელიძემ.

ბუნებრივია, საინტერესოა თუ სად გააგრძელებს კარიერას ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი. რამდენადაც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ჭელიძით ერთი გერმანული კლუბი იყო დაინტერესებული. თუმცა ევროპაში სატრანსფერო პერიოდი მიმდინარე სეზონის ბოლომდე არ განახლდება და ეს ვარიანტი დროებით გადაიდო. ამჟამინდელი ვითარებით კი ჭელიძის გზა უკრაინისკენ მიდის. მისით ლუგანსკის "ზარია", მარიუპოლის "ილიჩევეცი" და კიევის "არსენალი" არიან დაინტერესებულნი. საუბარი იყო "დნეპრზეც", მაგრამ დნეპროპეტროვსკში თავის დროზე ქართველი ფორვარდი მოსკოვის "ლოკომოტივმა" არ გაუშვა.

*"ამ კვირის ბოლოსთვის უკრაინაში გავემგზავრები. დონეცკში, ჩემს ტრანსფერზე მომუშავე აგენტებს შევხვდები და სწორედ მაშინ გაირკვევა თუ რომელ გუნდში გავაგრძელებ კარიერას.*

*დღეს კი გადაჭრით მეტს ვერაფერს გეტყვით. თამაშს ისე ვარ მოწყურებული, რომ ტელევიზორში მატჩებს რომ ვუყურებ, ლამისაა გადავირიო. ერთი სული მაქვს, როდის მომეცემა შანსი, მაღალ დონეზე ვითამაშო და საკუთარი შესაძლებლობები გამოვავლინო".*

ფორვარდი რკინიგზელებს კიდევ სამი წლით ეკუთვნის, მოსკოვურ კლუბს კი სურს, რომ მხოლოდ 6 თვით გაანათხოვროს.

დაბოლოს, ჭელიძეს საუბრის ბოლოს თანაკლუბელ **მალხაზ ასათიანზეც** დავეკითხეთ.

*"მალხაზი გუნდს ჰოლანდიურ შეკრებაზე გაჰყვა. ჯერ კიდევ სარეაბილიტაციო კურსს გადის და ინდივიდუალური პროგრამით, უბურთოდ ივარჯიშებს. რამდენიმე კვირაში კი ბურთითაც მოუწევს... ძალიან უნდა შოტლანდიაში თამაში, მაგრამ ეს ძალზე საეჭვოა"* - აღნიშნა ჭელიძემ.

დავით ცაბაძე

# ადამიას მერვე გასროლა

ჩვენს სამეზობლოში საფეხბურთო პირველობის მე-16 ტური გაიმართა, რომლის გმირიც ბაქოს "ნეფთჩის" ნახევარმცველი **გიორგი ადამია** გახდა. მისმა ერთადერთმა გოლმა "ნეფთჩის" გაამარჯვებინა და პირველად წლევანდელ სეზონში ქულებით ლიდერს გაუტოლა.

ბაქოში "ინტერსა" და "ნეფთჩის" შორის დერბი გაიმართა. "შაფას" სტადიონზე 2 ათასი მაყურებელი შეიკრიბა. მატჩში ერთადერთი გოლი ასე გავიდა - "ინტერის" ნიგერიელმა მცველმა **ტონი ალეგბემ** ბურთის საჯარიმოდან გამოტანა განიზრახა, გზად კი ქართველის მოტყუება გადაწყვიტა. ადამიამ მეტოქეს ბურთი წაართვა და კარში აუღებლად დაარტყა - 0:1. ამ შეხვედრაში მან 90 წუთი ითამაშა და საუკეთესო იყო მოედანზე. გიორგის ჩემპიონატში 8 გოლი დაუგროვდა, ის მხოლოდ ორი გოლით ჩამორჩება ხაზარელ ბომბარდირ **ზაურ რამაზანოვს**. არადა გიორგი აზერბაიჯანში ნახევარდაცვის ფლანგზე დახიეს.

ამ ტურში დაკარგული ლიდერობა დაიბრუნა ლენქორანის "ხაზარმა", თუმცა ამით 3 ათასი გულშემატკივარი ვერ გაახარა, რადგან შინ ზაქათალის "სიმურგი" ვერ დაამარცხა - 1:1. **ვალერი აბრამიძემ** მასპინძელთა რიგებში სრულად ითამაშა. აღვნიშნავთ, რომ აზერბაიჯანში "ხაზარი" ყველაზე მდიდარი კლუბია, მისი ბიუჯეტი 12 მილიონ დოლარს შეადგენს, "ნეფთჩის" ბიუჯეტი კი "მხოლოდ" 6 მილიონია.

იმარჯვა "ბაქიმ", თუმცა აუტსაიდერ "გენჩლერბირლიის" სტუმრად დამარცხება ძალზე გაუჭირდა - 1:0. ამ შეხვედრაში "ბაქის" სასტარტოში ორი ქართველი თამაშობდა: **ალექსანდრე გოგობერიშვილი** და **ამირან მუჯირი** (რომელიც მატჩის 82-ე წუთზე შეცვალეს). ერთადერთი გოლი **მუსაევმა** 69-ე წუთზე გაიტანა. მატჩის ბოლოს ფეხბურთელებმა ერთმანეთში ჯგუფური ჩხუბიც გააჩაღეს.

ტურის მოულოდნელობა თაუზში მოხდა, სადაც "თურანი" შინ "ოლიმპიკთან" დამარცხდა 0:1. მასპინძელთა რიგებში სრულად ითამაშა **ირაკლი ვაშაკიძემ**. "ყარაბახმა" შინ 3:2 დაამარცხა "გილანი". მასპინძელთა რიგებში 78-ე წუთზე გამოჩნდა **გოგა ბერაია**. სტუმართა რიგებში 90 წუთი ითამაშეს **დიმიტრი კაპანაძემ** და **გიორგი კრასოვსკიმ**, არ ყოფილა მხოლოდ **დიდმარხვაშვილი**. სტუმართა მწვრთნელმა მარცხი ქართველ მცველ კაპანაძეს დააბრალა. **რამიზ მამედოვმა** განაცხადა, რომ კაპანაძის შეცდომამ "გილანს" პირველი გოლი მიაღებინა და კლუბიც "გატყდა". ევლახში "ქარვანმა" 3:1 მოუგო "შაპდალს", **ალექსანდრე ინწკირველი**, როგორც ყოველთვის, სასტარტოში იყო, **გოჩა ტრაპაიძეს** კი არ უთამაშია.

ამ ტურის შემდეგ სამ გუნდს 30-30 ქულა აქვს, ბურთების უკეთესი შეფარდებით (24-7) "ხაზარი" პირველია, "ნეფთჩი" - მეორე, "არაზი" კი - მესამე. "ბაქი" მათ ორი ქულით ჩამორჩება და მეოთხეა, საჩემპიონო რბოლას არც მეხუთეადგილოსანი "ქარვანი" (27 ქ.) გამოკლებია. სხვა "ქართული" გუნდები კი ასე განლაგდნენ სატურნირო ცხრილში; 8. "თურანი" - 18 ქ, 9. "ყარაბახი" - 18 ქ, 11. "გილანი" – 8 ქ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ბარსელონა

# რონალდინიო გასუქდა

## სამარისებური სიჩუმე კატალონიელთა ვარჯიშებზე, ვინ მოიგებს ლივერპულურ მატჩს?

"ბარსელონის" გასახდელში ფერები მუქდება. კლუბთან დაახლოებულმა წყარომ გაზეთ "ასს" აუწყა, რომ ფეხბურთელთა განწყობა არაფრით განსხვავდება სასაფლაოზე მისული ადამიანის განწყობისაგან: *"გასულ სეზონში კლუბი კომპიუტერივით მუშაობდა. მასში ყველა სასიცოცხლო კაბელი გადაბმული იყო. წელს ზოგიერთი კაბელი გამორთულია. პოზიტიური ატმოსფერო დამთავრებულია. თუ გუნდი "ენფილდზე" გაიმარჯვებს, ეს მხოლოდ რომელიმე ფეხბურთელის ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე მოხდება. გუნდური სულისკვეთება, რომელმაც შარშან "ბარსას" "სტემფორდ ბრიჯზე" მოაგებინა (2:1), დაიკარგა."*

თვითმხილველებს ინკოგნიტო რესპონდენტის კომენტარის გადამოწმება ბარსელონელთა საწვრთნელ ბაზაზე შეეძლოთ. "მასიაზე" მართლაც სამარისებური სიჩუმე იყო გამეფებული. დროდადრო მას **ფრანკ რიიკაარდის** მითითებები არღვევდა. ჩვეულებრივ, კატალონიელები ვარსკვლავები ბევრს ხუმრობენ ხოლმე, მაგრამ "ლივერპულთან" წაგების მეორე დღეს ერთი გაღიმებული სახეც კი არავის დაუნახავს.

"ასი" საგანგებო ყურადღებას უთმობს **რონალდინიოს**. გაზეთი ირწმუნება, რომ ბრაზილიელი წონაშია მომატებული და მისი უფერული თამაშის ერთ-ერთი მიზეზი ესეც უნდა იყოს. ტაბლოიდმა შეიტყო, რომ რონის ერთ-ერთი მეგობრისათვის უთქვამს: *"ცუდად ვარ."* "ბარსელონის" ფიზმომზადების მწვრთნელებმა ჟურნალისტებთან საუბარი არ ისურვეს. კომენტარისაგან თავი შეიკავა კატალონიელთა მთავარმა ექიმმა, **რიკარდო პუნიამაც**. ესპანურ გაზეთებში კი გახშირდა რონალდინიოსა და **რონალდოს** შედარებები. მოგეხსენებათ, მილანში დაბრუნებამდე ფენომენის სიმსუქნე საყოველთაო განხილვისა და დაცინვის საგანი იყო. ბოლო დროს რონალდინიომ წვეულებებზე სიარულს მოუხშირა. მას სხვადასხვა რეკლამაშიც ხშირად იღებენ. რონის ფეხბურთისთვის დრო აღარ რჩებაო, წერენ ჟურნალისტები. ბრაზილიელმა წონაში შესამჩნევად მოიმატა, ფორმიდან ამოვარდა და მისი სუსტი თამაში ბარსელონელებს თავსატეხად ექცათო, ვკითხულობთ "ასში".



ფრანკ რიიკაარდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსი, ტრანსფერები

# ტრეზეგე ლივერპულში, კამორანეზი ბაიერნში?

## ქალბატონმა ჯერარდი დაივიწყა და კრაუჩი მოითხოვა

"იუვენტუსი" თანახმაა, **დავიდ ტრეზეგე** "ლივერპულს" გაატანოს. ფრანგი თავდამსხმელი **რაფა ბენიტესის** სამიზნეა. "ქალბატონმა" სანაცვლოდ **სტივ ჯერარდი** მოითხოვა, მაგრამ უმალ აგრძნობინეს, რომ ეს ლაპარაკი წყლის ნაყვა იყო. "იუვემ" უკან დაიხია, მაგრამ გუშინ ჯერარდი არა და **პიტერ კრაუჩი** მაინც ახსენა. "კორიერე დელო სპორტს" რომ დავუჯეროთ, თავდამსხმელების გაცვლის საკითხი უკვე განიხილება და მერსისაიდელები თანახმანი არიან, აყლაყუდა ვარსკვლავს გამოეთხოვონო. "ქალბატონის" ნახევარდაცვას ვინლა გააძლიერებს? "იუვე" არსენალელ **ჟილბერტოსა** და ბრემენელ **ტორსტენ ფრინგსს** აკვირდება.

"კორიერე" კიდევ ერთ ამბავს გვაუწყებს. **მაურო ხერმან კამორანეზი**, შეიძლება, მიუნხენელ **ლუსიოში** გაცვალონო. "რეალი"-"ბაიერნის" სამშაბათის მატჩს "იუვენტუსის" ემისრები დაესწრნენ. მათ ბრაზილიელ მცველზე დაკვირვება ჰქონდათ დავალებული. "იუვემ" ბაიერნელთან ერთი გარიგება უკვე გაჩარხა. სეზონის ბოლოს ტურინს მიაშურებს **ჰასან სალიჰამიჯიჩი**. ლუსიოს "იუვენტუსში" ჯერ კიდევ 2004 წელს ეპატიჟებოდნენ, იმ დროს, როცა ეს უკანასკნელი "ლევერკუზენის" ღირსებას იცავდა. სამი წლის წინ ფეხბურთელმა "ბაიერნი" აირჩია. "ქალბატონს" კი კიეველი **ნიკოლა ლეგროტალიე** შერჩა. კამორანეზის "ვალენსია" და "ლიონიც" ეპატიჟებიან. მიუნხენში წასვლის შემთხვევაში ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე ის სალიჰამიჯიჩის ადგილს დაიკავებს.



ემერსონი მთავარი მწვრთნელისადმი დაუმორჩილებლობაშია შემჩნეული

რეალი

# რა ხდება მადრიდში?

## კაპელო ემერსონის ამბოხს უარყოფს და რეიესის დასჯასაც არ გეგმავს, რობინიოს კარისკენ მიუთითებენო...

**ფაბიო კაპელო** უარყოფს სპეკულაციებს, თითქოს **ემერსონმა** "ბაიერნთან" შეცვლაზე თამაში იუკადრისა: *"ეს სიცურეა. მას არ უთქვამს, არ შევალო. ემერსონი უდისციპლინო ფეხბურთელი არ არის. ის გუნდის სრულფასოვანი წევრია და ჩვენ მისი იმედი გვაქვს."*

კაპელომ ეს განცხადება მადრიდული დერბიმდე ერთი დღით ადრე გააკეთა. სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს რადიოსადგური "კადენა სერი". აი, ნაწყვეტი მის ეთერში გასული რეპორტაჟიდან: *"თამაშის დასრულებამდე ოცი წუთი იყო დარჩენილი, როცა კაპელომ ემერსონს გახურება მოსთხოვა. მან კი სამუელ ეტოოს მაგალითი გადაიღო და თამაშზე ცივი უარი განაცხადა. ჩვენს სიმართლეში დასარწმუნებლად შეგიძლიათ, "ბაიერნთან" მატჩის ვიდეოჩანაწერი იხილოთ."* კაპელოს პოზიცია დაიჭირა **რობერტო კარლოსმა**. მანაც კატეგორიულად უარყო ცნობა, თითქოს მისი თანამემამულე მწვრთნელის მითითებას არ დაემორჩილა.

კაპელოს **ხოსე ანტონიო რეიესის** განცხადებაზეც სთხოვეს კომენტარის გაკეთება. ახალგაზრდა გარემარბმა დაიჩივლა, მწვრთნელის ექსპერიმენტებმა თავგზა აგვიბნიაო. დონ ფაბიომ მიმომხილველს მიუგო: *"რეიესს უკვე ველაპარაკე. მან მითხრა, რომ გაზეთში დაბეჭდილი მისი სიტყვები ყალბია. ჩანაწერს უნდა გავეცნო... მინდა გითხრათ, რომ დერბის წინ ჩინებულ განწყობაზე ვარ. მჯერა, რომ მინდორზე გავა გუნდი, რომელიც მენდობა და მხარს მიჭერს."*

"რეალზე" საუბარს "დიარიო სპორტში" გამოქვეყნებული მასალით დავასრულებთ. ეს გამოცემა ვარაუდობს, რომ მადრიდული გრანდი **რობინიოსა** და ემერსონს გამოეთხოვება. ის ინკოგნიტო რესპონდენტის სიტყვებს იშველიებს: *"დავიღალეთ იმის ლოდინით, თუ როდის გაიბრწყინებს რობინიო. მისი უკვე აღარავის სჯერა."* რამდენიმე დღის წინ თავდამსხმელის აგენტმა **ვაგნერ რიბეირომ** უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მის კლიენტს ტრიბუნებიდან სტვენა აუტეხეს. ეს უსიამოვნო ინციდენტი "ბაიერნთან" სამშაბათის მატჩისას მოხდა.

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXIV ტურის წინ

# მწვრთნელებისთვის სახიფათო ესპანური ტური

**დღეს**

სოსიედადი-დეპორტივო
ატლეტიკო-რეალი

**ხვალ**

სელტა-რასინგი
ხეტაფე-სევილია
ლევანტე-სარაგოსა
ოსასუნა-ესპანიოლი
ბეტისი-რეკრეატივო
ვილიარეალი-მალიორკა
ხიმნასტიკი-ვალენსია
ბარსელონა-ბილბაო

ტურის უმთავრესი მატჩი, რა თქმა უნდა, დედაქალაქური დერბია. ამ საღამოს მადრიდელი კაცები შინ არ ივახშმებენ. დღევანდელ შედეგს ორივე გუნდისთვის განუზომელი მნიშვნელობა აქვს. "ატლეტიკო" მეხუთე ადგილზეა და ევროპულ ზონაში მოსახვედრად იბრძვის. ბოლო ორ ტურში მან ორი მარცხი იწვნია - "სევილიასა" და "ვალენსიასთან". ამ გუნდებს მეორე და მესამე ადგილები უკავიათ. დღეს **ხავიერ აგირეს** შეგირდები ცხრილში უშუალო მეზობლებს დაუპირისპირდებიან. "ატლეტიკოს" "რეალთან" საკუთარ მოედანზე 1998-99 წლების სეზონის შემდეგ არ მოუგია (მაშინ თეთრ-წითლებმა 3:1 გაიმარჯვეს). ამ გუნდების პირველი წრის მატჩი (ოქტომბერში) ფრედ, 1:1 დასრულდა.

"ატლეტიკოსთვის" ბოლო წლების სტატისტიკა სავალალოა. "რეალმა" "ვისენტე კალდერონზე" ზედიზედ ოთხჯერ გაიმარჯვა, 12 გოლი გაიტანა და მხოლოდ ერთი გაუშვა, ისიც პენალტით. სამეფო კლუბი დანის წვერზე დაიარება. **ფაბიო კაპელოსთვის** ყველა მატჩი, შეიძლება, მომაკვდინებელი აღმოჩნდეს. იტალიელის სკამი შერყეულია. "ატლეტიკოსთან" წაგებამ, შეიძლება, მისი აბარგება დააჩქაროს. კაპელოს საკადრო პრობლემებიც აქვს. **დევიდ ბექჰემი** დასჯილია (ის გასულ უქმეებზე, "ბეტისთან" მატჩის მიწურულს გააძევეს). **სერხიო რამოსს, მაჰამადუ დიარასა** და **რობერტო კარლოსს** კი ტრავმები აქვთ. ამათგან ყველაზე საიმედო დიარას მდგომარეობაა...

"ბარსელონა", რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში მოულოდნელი მარცხი იწვნია ("ლივერპულთან" 1:2), "ბილბაოს" უმასპინძლებს. ქომაგებს **სამუელ ეტოოს** ხილვის იმედი აქვთ. კამერუნელმა ბოლო ორი მატჩი საკუთარი სურვილით გამოტოვა. მან მწვრთნელებს განუცხადა, რომ მუხლის ბოლომდე მოშუშებას აპირებს. ეტოოსთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება სთხოვეს ბილბაოელთა მცველ **უნაი ესპოზიტოს**. საქმე ის გახლავთ, რომ "კამპ ნოუზე" ამ გუნდების ბოლო მატჩში ეტოო და ესპოზიტო სკანდალის ეპიცენტრში აღმოჩნდნენ. კამერუნელი ულირსად მოიქცა და მეტოქეს შეაფურთხა. ესპოზიტო ამბობს, რომ მაშინდელი უსიამოვნება, დიდი ხანია, დავიწყებული აქვს.

კატალონიელებს კრიზისი აქვთ. ერთ კვირაში "ბარსამ" ორი დასანანი მარცხი იწვნია ("ლივერპულამდე" "ვალენსიასთანაც" წააგო). ხვალ კატალონიელებს ორი დისკვალიფიცირებული ლიდერი - **დეკუ** და **ჯანლუკა ძამბროტა** არ ეყოლებათ. მთავარი მწვრთნელი **ფრანკ რიიკაარდი** არ გამორიცხავს, **ლეო მესი** ძირითადში ათამაშოს...

ვალენსიელები აუტსაიდერ "ხიმნასტიკს" ესტუმრებიან. ერთი შეხედვით, ფავორიტის გამოცნობა ძნელი არ უნდა იყოს, მაგრამ სტატისტიკა საპირისპიროს ამტკიცებს. "ღამურებმა" ტარაგონაში სამი მატჩი ჩაატარეს და სამივე წააგეს. "ვალენსიას" მცველი **რაულ ალბიოლი** და ნახევარმცველი **დავიდ ალბელდა** არ ეყოლება. შეიძლება, სადებიუტო მატჩი ჩაატაროს **ასიერ დელ ორნომ**, რომელსაც გასულ ზაფხულს, "ჩელსიდან" ტრანსფერის შემდეგ ვალენსიელთა შემადგენლობაში ერთხელაც არ უასპარეზია...

პრიმერა დივიზიონის კიდევ ერთი ლიდერი "სევილია" "ხეტაფეს" სტუმრობს. **ბერნდ შუსტერის** გუნდს ლიდერი, არგენტინელი მეკარე **რობერტო აბონდანსიერი** არ ეყოლება. ის დასჯილია. დისკვალიფიკაცია იხდის სევილიელთა მარჯვენა გარემარბი **დანიელ ალვეშიც**, რომელმაც გასულ უქმეებზე, "ატლეტიკოსთან", ერთი გოლი გაიტანა და ერთიც საგოლე გადაცემა ჩაიწერა აქტივში...

შარშანდელი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტ "ვილიარეალს" გასავარდნი ზონისაგან მხოლოდ ოთხი ქულა ყოფს. ზედიზედ სამი დამარცხების შემდეგ "სუბმარინები" "მალიორკას" უმასპინძლებენ. "ვილიარეალის" პრეზიდენტმა **ფერნანდო როიგმა** უარყო ინფორმაცია, თითქოს მორიგი მარცხის შემთხვევაში ჩილელი მწვრთნელის, **მანუელ პელეგრინის** დათხოვნას აპირებდეს...

პელეგრინისა რა მოგახსენოთ, მაგრამ "დეპორტივოს" თავკაცი **ხოაკინ სანჩესი** თანამდებობის დატოვებას აპირებს. მას პრეზიდენტ **აუგუსტო სესარ ლენდოიროსთან** უთანხმოება აქვს. სანჩესის მოთმინების ფიალა მაშინ აევსო, როცა გაზეთებიდან შეიტყო, რომ გაისად მისი გუნდი ინტერტოტოს თასზე ითამაშებს. გალისიელები, რომლებსაც მათთვის შეუფერებელი მე-12 საფეხური უკავიათ, დღეს "სოსიედადს" ესტუმრებიან.



მანუელ პელეგრინის დათხოვნა ემუქრება

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 23 | 13 | 7 | 3 | 46-20 | 46 |
| 2. სევილია | 23 | 14 | 4 | 5 | 44-22 | 46 |
| 3. ვალენსია | 23 | 13 | 3 | 7 | 34-22 | 42 |
| 4. რეალი | 23 | 13 | 3 | 7 | 30-19 | 42 |
| 5. ატლეტიკო | 23 | 11 | 6 | 6 | 29-20 | 39 |
| 6. სარაგოსა | 23 | 11 | 5 | 7 | 35-24 | 38 |
| 7. რეკრეატივო | 23 | 11 | 3 | 9 | 33-30 | 36 |
| 8. ხეტაფე | 23 | 10 | 5 | 8 | 21-16 | 35 |
| 9. ესპანიოლი | 23 | 8 | 8 | 7 | 24-25 | 32 |
| 10. რასინგი | 23 | 8 | 8 | 7 | 24-27 | 32 |
| 11. ოსასუნა | 23 | 9 | 3 | 11 | 30-29 | 30 |
| 12. დეპორტივო | 23 | 7 | 9 | 7 | 18-25 | 30 |
| 13. ვილიარეალი | 23 | 8 | 5 | 10 | 20-29 | 29 |
| 14. ბეტისი | 23 | 6 | 8 | 9 | 23-28 | 26 |
| 15. ლევანტე | 23 | 6 | 8 | 9 | 21-31 | 26 |
| 16. მალიორკა | 23 | 7 | 5 | 11 | 21-33 | 26 |
| 17. ბილბაო | 23 | 6 | 7 | 10 | 26-31 | 25 |
| 18. სელტა | 23 | 6 | 7 | 10 | 24-32 | 25 |
| 19. სოსიედადი | 23 | 2 | 8 | 13 | 13-39 | 14 |
| 20. ხიმნასტიკი | 23 | 3 | 4 | 16 | 24-47 | 13 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XXV ტურის წინ

# ადრიანომ მორატის მოთმინების ფიალა აუვსო

## ნერაძური ბრაზილიელს დააჯარიმებს, სეზონის ბოლოს კი, შეიძლება, კრისტიანო რონალდოში ან მესიში გაცვალოს...



ადრიანოს მილანური კარიერა დასასრულს უახლოვდება

**დღეს**

კიევო-ტორინო
ატალანტა-პალერმო

**ხვალ**

კალიარი-ლაციო
კატანია-ინტერი
ლივორნო-ასკოლი
მესინა-სიენა
რომა-რეჯინა
უდინეზე-პარმა
ფიორენტინა-ემპოლი
მილანი-სამპდორია

**იტალიაში** მაყურებლისთვის სტადიონები გაიხსნა, ზოგი სრულად, ზოგიც სანახევროდ, ანუ მათთვის, ვისაც სეზონური აბონემენტები აქვს. ერთადერთ გამონაკლისად კატანიის "მასიმინო" რჩება, რომელსაც სეზონის ბოლომდე დისკვალიფიკაცია აქვს და ტიფოზებთან ერთად გუნდებისთვისაც დახურულია. შესაბამისად, "კატანია" საშინაო შეხვედრებს ნეიტრალურ მოედანზე ატარებს (იქაც ცარიელი ტრიბუნების წინ). წინა ტურში სიცილიელებმა რიმინიში "ფიორენტინასთან" ითამაშეს და 0:1 წააგეს. ამჯერად გუნდი ქალაქ ჩეზენაში, ცარიელ სტადიონზე ლიდერ "ინტერს" "უმასპინძლებს". "მასიმინოს" დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებით, კლუბმა ფედერკალჩოს გადაწყვეტილება ოლიმპიურ კომიტეტში გაასაჩივრა, მაგრამ განაჩენი ამ უკანასკნელმა უცვლელად დატოვა. ხელმძღვანელობით დაწყებული, ფეხბურთელებით დამთავრებული "კატანიაში" ამის გამო ყველა გაბრაზებულია და თავს დაჩაგრულად გრძნობს. მოთამაშეებში ამან ბრძოლის ჟინი ერთი-ორად გაზარდა, მაგრამ იკმარებს თუ არა მარტო ეს სიბრაზე აქამდე შეუჩერებელი "ინტერის" შესაჩერებლად, ძნელი სათქმელია. ისე კი მომენტი შესაფერისია იმისთვის, "ნერაძურის" რომ დაარტყა. ჩემპიონატში ზედიზედ 16 გამარჯვების შემდეგ, გუნდმა ოთხშაბათს ყველაზე პრინციპულ თამაშში ვერ შეძლო მოგება. საუბარია, ჩემპიონთა ლიგაში "ვალენსიასთან" შინ ნათამაშებ 2:2-ზე, რომელმაც ცოტათი გააუფერულა მითი "ნერაძურის" ყოვლისშემძლეობაზე.

ხვალინდელი შეხვედრის წინ "ინტერს" სხვა ტიპის პრობლემებიც მოუმრავლდა. მთავარი **ადრიანოა**, რომელმაც 25-ე დაბადების დღე გასულ უქმეებზე დიდი დროსტარებით აღნიშნა. იტალიურმა ტელევიზიებმაც კი გაავრცელეს კადრები, როგორ ილხენს ბრაზილიელი დილის 4 საათზე ერთ-ერთ მილანურ დისკოთეკაში. ამის გამო **მანჩინიმ** ბრაზილიელი "ვალენსიასთან" წუთითაც არ ათამაშა და შეიძლება, ხვალ "კატანიასთანაც" სკამზე დატოვოს ან საერთოდ არ გამოიძახოს. სხვათა შორის, პრეზიდენტმა **მორატიმ** მწვრთნელის პოზიცია დაიჭირა, რობერტო სწორად მოიქცა, რომ არ ათამაშაო. პრესა წერს, რომ "ინტერის" შიდაგანაწესის მიხედვით, ადრიანოს ეს საქციელი დისციპლინის დარღვევაში ჩაეთვლება და კლუბის სასარგებლოდ ფულადი ჯარიმის გადახდა დაეკისრება. თუმცა ყველაფერი ამით არ მთავრდება: იტალიის სპეკულანტი გაზეთები იმასაც კი წერენ, "ინტერისა" და ადრიანოს გზები სეზონის ბოლოს სამუდამოდ გაიყრებაო. "კორიერე დელო სპორტის" თანახმად, ფორვარდის გამუდმებულმა უდისციპლინობამ "ინტერის" ხელმძღვანელობას მოთმინების ფიალა აუვსო და კლუბი უკვე მზადაა, რომ ზაფხულში ის "მანჩესტერ იუნაიტედს" შესთავაზოს **კრისტიანო რონალდოს** სანაცვლოდ. თუ ინგლისელები უარს იტყვიანო, განაგრძობს გაზეთი, მაშინ "ნერაძური" "ბარსელონას" მიმართავს და ადრიანოს **ლიონელ მესიში** გაცვლას შესთავაზებსო.

ხვალინდელ შეხვედრას დავუბრუნდეთ. მილანელებს სერიოზული საკადრო პრობლემები აქვთ ნახევარდაცვაში: **ვიეირა** და **კამბიასო** ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ, **დაკური** კი გუნდს დისკვალიფიკაციის გამო ვერ დაეხმარება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ძირითადში ხვალ **სოლარის**, **ფიგუსა** და **კრესპოს** (ან **კრუსის**) გამოჩენაა მოსალოდნელი. "კატანიამ" ბოლო ხუთ ტურში ერთმანეთის მონაცვლეობით სამჯერ წააგო და ორი ფრე ითამაშა. პირველი წრის დაპირისპირება ამ გუნდებს შორის "ინტერის" გამარჯვებით 2:1 დასრულდა.

გასულ ტურში ემპოლიში 0:1-ზე წაგების შემდეგ "რომა" ლიდერს 14 ქულით ჩამორჩა და ჩემპიონობის იმედიც საბოლოოდ გადაეწურა. ჩემპიონთა ლიგის პირველ მერვედფინალში რომელებმა "ლიონთან" შინ 0:0 ითამაშეს და მდგომარეობა გაირთულეს. ხვალ "ჯალოროსი" გამარჯვებას პირველ რიგში ამ ორი წარუმატებლობის დასავიწყებლად ეცდება, "რეჯინას" სახით მეტოქეც ისეთი ჰყავს, შინ სულ რომ უგებს (შარშან 3:1). მასპინძელთა რიგებში ახლად გამოჯანმრთელებული **კივუს** დაბრუნებას ელიან, სტუმრებს კი დისკვალიფიკაციის გამო ორი ლიდერი, **ლანძარო** და **ამორუზო** დააკლდებიან. პირველ წრეში კალაბრიელებმა "რომას" შინ 1:0 მოუგეს.

"მილანი", **რონალდოს** თაოსნობით, ზედიზედ მეოთხე შეხვედრის მოგებას ეცდება "სამპდორიასთან", რომელმაც ბოლო ორ ტურში ქულათა მაქსიმუმის აღება შეძლო. პარალელურად, "მილანი" "ფიორენტინის" იმედზე იქნება, რომ ბოლო დროს ათამაშებული "ემპოლის" (1:0 სტუმრად "პალერმოსთან" და 1:0 შინ "რომასთან") დამარცხებას შეძლებს. ამ შემთხვევაში "მილანს" კარგი შანსი ეძლევა, რომ საოცნებო მეოთხე ადგილზე გადავიდეს, თუმცა ამისთვის საჭიროა, "კალიარიმ" "ლაციო" შეაჩეროს. "მილანს" დისკვალიფიცირებული **ბროკი** დააკლდება. მის ადგილს ალბათ **გურკუფი** დაიკავებს, რადგან **ზეედორფი** ბოლომდე გამოჯანმრთელებული ჯერ არ არის. მასპინძლეთა კარს **სტორარის** მაგივრად **კალაჩი** დაიცავს, ისე როგორც "სელტიკთან" ბოლო შეხვედრაში, რომელიც "როსონერიმ" 0:0-ზე დაასრულა. წინა ტურის მსგავსად, "მილანმა" შეიძლება ისევ ბრაზილიური ტრიოთი (**კაკა**-**ოლივეირა**-**რონალდო**) შეუტიოს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ოლივეირა **ინძაგიმ** ჩაანაცვლოს. ჯერ უცნობია, დააკლდება თუ არა "დორიას" თავისი მეგოლე კაპიტანი **ფრანჩესკო ფლაკი**, რომელიც ამ კვირაში დოპინგ-ტესტზე ჩავარდა, მაგრამ საბოლოო პასუხი განმეორებითმა ანალიზმა უნდა თქვას. "მილანი"-"სამპდორიის" ბოლო ორი დაპირისპირება ერთი და იგივე ანგარიშით 1:1 დასრულდა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 23 | 20 | 3 | 0 | 49-17 | 63 |
| 2. რომა | 23 | 15 | 4 | 4 | 46-18 | 49 |
| 3. პალერმო | 24 | 13 | 4 | 7 | 40-29 | 43 |
| 4. ემპოლი | 23 | 9 | 8 | 6 | 21-19 | 35 |
| 5. ლაციო | 23 | 10 | 7 | 6 | 35-18 | 34 |
| 6. მილანი | 23 | 11 | 8 | 4 | 32-21 | 33 |
| 7. კატანია | 24 | 8 | 7 | 9 | 31-40 | 31 |
| 8. ატალანტა | 23 | 7 | 9 | 7 | 37-33 | 30 |
| 9. სამპდორია | 23 | 8 | 6 | 9 | 31-30 | 30 |
| 10. უდინეზე | 23 | 8 | 6 | 9 | 25-29 | 30 |
| 11. ფიორენტინა | 23 | 13 | 4 | 6 | 36-21 | 28 |
| 12. ლივორნო | 23 | 6 | 8 | 9 | 24-35 | 26 |
| 13. სიენა | 23 | 5 | 11 | 7 | 23-28 | 25 |
| 14. კალიარი | 23 | 4 | 11 | 8 | 18-26 | 23 |
| 15. ტორინო | 23 | 5 | 7 | 11 | 18-31 | 22 |
| 16. რეჯინა | 23 | 8 | 7 | 8 | 29-30 | 20 |
| 17. კიევო | 23 | 4 | 7 | 12 | 22-33 | 19 |
| 18. მესინა | 23 | 3 | 8 | 12 | 23-39 | 17 |
| 19. პარმა | 23 | 3 | 6 | 14 | 17-40 | 15 |
| 20. ასკოლი | 23 | 2 | 7 | 14 | 18-37 | 13 |



ჯანლუიჯი ბუფონი

ვარსკვლავი

# ბუფონი: ინტერი? არასოდეს თქვა არასოდეს

## ტიფოზები კი ჯიჯის ემუდარებიან, რომ ნერაძურიში არ წავიდეს...

**ჯანლუიჯი ბუფონი** ისევ გაურკვევლობაშია: ჯერ არ გადაუწყვეტია, რომელი კლუბის მაისურით ითამაშებს მომავალ სეზონში. "სკუადრა აძურის" კარის დარაჯისთვის პრიორიტეტი "იუვენტუსია", მაგრამ ევროპული ფეხბურთის მილმა კიდევ ერთი წლით დარჩენის პერსპექტივა, ამბიციური ფეხბურთელისთვის ძნელად შესაგუებელია. "იუვეში" შემორჩენილ ვარსკვლავურ კოლექციაში ის არის ყველაზე ძვირფასი ექსპონატი და, რაღა თქმა უნდა, "ქალბატონიც" თვალის ჩინივით უფრთხილდება. *"ვიეირასა და იბრაჰიმოვიჩის შემდეგ, აღარ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ კონკურენტები კიდევ უფრო გავაძლიეროთ"*, - ამბობს ხოლმე პრეზიდენტი **ჯოვანი კობოლი ჯილი**. კლუბი გამალებით ცდილობს, რომ ჯიჯი მომავალი სეზონისთვის აქედანვე დაიბევოს. მაგრამ მსოფლიოს საუკეთესო გოლკიპერი შემოთავაზებებს ყველა მხრიდან იღებს და ისიც არანაირ შესაძლებლობას არ გამორიცხავს: *"სიტუაცია ჯერ ისევ გაურკვეველია, არჩევანი ჯერ არ გამიკეთებია, კლუბთან ინტენსიურ მოლაპარაკებებში ვარ ჩართული. ისეთი ვარიანტი გვინდა გამოვნახოთ, რომელიც ორივე მხარეს დაგვაკმაყოფილებს. 29 წლის ვარ და ჩემს ასაკში ლოგიკურია, უმაღლესი მიზნების ბრძოლის სურვილი რომ მქონდეს, ვფიქრობ, ამას ვიმსახურებ კიდეც. მაგრამ ჯერჯერობით, მთავარი აწმყოზე ფიქრია, რაც შეიძლება ადრე უნდა გადავწყვიტოთ სერია A-ში დაბრუნების საკითხი. ჩემი მომავალი "ინტერში"? ფეხბურთი და საერთოდ ცხოვრება ისეთია, რომ არასოდეს უნდა თქვა არასოდეს. რომ ვთქვა, "ინტერში" არასოდეს გადავალო, გამოვა, რომ ყველა ინტერისტას, დირექტორებს, ფეხბურთელებს, ტიფოზებს შეურაცხყოფას ვაყენებ. მეამაყება, რომ იუვენტინო ვარ, მაგრამ წინასწარ ვერასოდეს იტყვი, რა მოხდება მომავალში. თუმცა იმას კი მივხვდი, რომ ჩემი "ინტერში" გადასვლა "იუვეს" ტიფოზებისთვის უმძიმესი დარტყმა იქნება. ქუჩაში მაჩერებენ ხოლმე და მეუბნებიან: "ჯიჯი, ნუ დაგვტოვებ, მაგრამ თუ მაინც და მაინც უნდა წახვიდე, სადაც გინდა წადი, ოღონდ "ინტერში" არა."*

ეს სიტყვები ჯიჯი ბუფონმა წლეულს დაარსებული "იუვე ჩენელის" სტუდიაში თქვა, როცა ტიფოზების შეკითხვებს პირდაპირ ეთერში პასუხობდა. მომდევნო თემა წლევანდელი სეზონი იყო: *"წინა სეზონის ბოლოს ვგრძნობდი, რომ გარემოს გამოცვლა მჭირდებოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ "იუვენტუსიდან" წასვლაზე სერიოზულად დავიწყე ფიქრი. მაგრამ ამ დროს "კალჩოპოლის" სკანდალმა იფეთქა, და თითქოს თვალისდახამხამებაში აღმოვჩნდი სერია B-ში. ეს სულ ახალი გამოცდილება იყო, ახალი სტიმულების აუცილებლობა აღარ მიგრძვნია. დავრჩი, მაგრამ ეს მხოლოდ "იუვესთვის" არ გამიკეთებია, ამით საკუთარ თავსაც მივანიჭე სიამოვნება, და ვგულისხმობ მორალურ სიამოვნებას. როცა ზნეობრივად კორექტულ ნაბიჯს დგამ, თავს თვითონაც უფრო ძლიერად გრძნობ. დარჩენის გამო წამით არ ვნანობ, დღესაც იგივე არჩევანს გავაკეთებდი, რაც ზაფხულში გავაკეთე. ვფიქრობ, კლუბი კარგად მუშაობს, მომავალი სეზონისთვის კონკურენტუნარიანი გუნდი რომ შექმნას, თუმცა ისიც კარგად მესმის, რომ დიდი ვარსკვლავების ყიდვა იოლი არაა. დიდი ფეხბურთელები არავის ეთმობა."*

შემადგენლობის გაძლიერების მიზნით, "იუვენტუსმა" რამდენიმე კონკრეტული ნაბიჯი უკვე გადადგა. **ზდენეკ გრიგერა** გუშინ ოფიციალურად გახდა "სინიორას" საკუთრება 2010 წლამდე. ჩეხ მცველთან ერთად ზაფხულში გუნდს **ჰასან სალიჰამიჯიჩი** და ჯენოელი მცველი **დომენიკო კრიშიტოც** შეუერთდებიან. ჯიჯისთვის ეს კარგ დასაწყისს ნიშნავს: *"გრიგერა დიდი "იუვეს" დაბრუნებაში დაგვეხმარება, კრიშიტო სერია B-ს ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი ახალგაზრდაა. მომავალ წელს სერია A-ში თავს არავის დავუხრით, მეტიც, როგორც ყოველთვის, გაისადაც სკუდეტოს მოსაგებად ვითამაშებთ".* მომდევნო შეკითხვა სუსტი სქესის ტიფოზებისგან: როდის იქორწინებს ჯიჯი **ალენა სერედოვაზე**, მომხიბლავ ჩეხ სუპერმოდელზე, რომელიც "იუვეს" მეკარესთან ერთად უკვე სამი წელია ცხოვრობს. პასუხი: *"როგორც კი წამოგცდება, რომ პირად ცხოვრებაში ყველაფერი კარგად გაქვს აწყობილი, მაშინვე ქორწილის თაობაზე იწყებს ლაპარაკს. არ ვიცი როდის, მაგრამ აუცილებლად ვიქორწინებ, რადგან ოჯახი ჩვენს ცხოვრებაში ერთ-ერთი ფუნდამენტური ღირებულებაა, თან მინდა, რომ ბევრი შვილი მყავდეს".*

სეივი, რომელიც ცხოვრებაში არასდროს დაავიწყდება: *"როცა "რეალთან" გადამწყვეტი 11-მეტრიანი ავილე, სტადიონი კინაღამ დაინგრა. თუმცა ენით აუწერელი სიხარული გამოვცადე მაშინაც, როცა "ბარსელონას" "კამპ ნოუზე" მოვუგეთ."*



მარკო მატერაცი (მარჯვნივ)

კომენტარი

# მატრიქსი კაპელოს წინააღმდეგ

## მატერაცი რეალის მწვრთნელს იტალიური ფეხბურთის კრიტიკას არ პატიობს

**ფაბიო კაპელომ** ცოტა ხნის წინათ განაცხადა, იტალიური ფეხბურთი არ არის ისეთივე კონკურენტული და შესაბამისად, საინტერესო, როგორც ინგლისსა და ესპანეთშიო. "რეალის" მწვრთნელის კრიტიკას გუშინ **მარკო მატერაცი** გამოეხმაურა. *"კაპელოს პატივს ვცემ როგორც დიდ და ტიტულოვან მწვრთნელს, მაგრამ ხშირად არ მომწონს ის, რასაც ეს კაცი ლაპარაკობს* - თქვა "ინტერის" მცველმა - *ზაფხულში მომხდარმა ფაქტებმა გვიჩვენეს, რომ ცოტა ნაჩქარევად მოუვიდა საფრთხეში ჩავარდნილი გემიდან გაპარვა. მისთვის ახლა ძალიან ადვილია იმის თქმა, რომ იტალიური ფეხბურთის დონე ძალიან მაღალი არაა და რომ ჩვენთან კონკურენცია ნაკლებია, მაგრამ რაკი ტიტულების უმრავლესობა იტალიაში მოიგო, მაშინ გამოდის, რომ თავადაც არ ყოფილა ისეთი დიდი მწვრთნელი, როგორი სახელიც აქვს".* მატერაციმ ოთხშაბათს "ვალენსიასთან" ნათამაშები 2:2-ის თაობაზეც ილაპარაკა: *"ჩვენ ისე უნდა გვეთამაშა, როგორც ვითამაშეთ. თამაშის დაგეგმვაში შეცდომებზე ლაპარაკიც ზედმეტია. ყველანი მაქსიმალურად ვიყავით დამუხტულები და გამარჯვებას ვიმსახურებდით, მაგრამ ცოტა არ გაგვიმართლა. თუ განმეორებით შეხვედრაში ფორტუნა ზურგს არ შეგვაქცევს, დარწმუნებული ვარ, რომ მომდევნო წრეში "ინტერი" გავა. ადრიანო სკამზე? გადაწყვეტილებებს მწვრთნელი იღებს და მათ პატივი უნდა ვცეთ. "ინტერში" 25 ვარსკვლავია და ხანდახან ყველას მოუწევს დასვენება."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXIII ტურის წინ

# ლევერკუზენი შალკესთვის საშიშია!

## ფარმაცევტებს გელზენკირხენიდან ქულების წაღება სჩვევიათ...

**გუშინ**

**შტუტგარტი-ჰერტა** *იხ. მე-15 გვერდზე*

**დღეს**

**ჰანოვერი-ბორუსია (დ)**
**მაინცი-ნიურნბერგი**
**კოტბუსი-არმინია**
**ჰამბურგი-აინტრახტი**
**ბაიერნი-ვოლფსბურგი**
**ბოხუმი-ალემანია**

**დღეს**

**ბორუსია (მ)-ვერდერი**
**შალკე-ლევერკუზენი**

„შალკეს“ პირველი მდევარი „შტუტგარტი“ გუშინ თამაშობდა (შინ „ჰერტასთან“) და მოახერხეს თუ არა შვაბებმა დაგეგმილი სამი ქულის აღება, ამას მე-15 გვერდზე შეიტყობთ (ვრცელი მიმოხილვა, ტრადიციულად, ორშაბათის ნომერში). ლიდერი ხვალ თამაშობს, ისევე, როგორც მესამეადგილოსანი „ვერდერი“. შესაბამისად, დღევანდელი მატჩებიდან ყველაზე დიდ ინტერესს „ბაიერნისა“ და „ვოლფსბურგის“ მატჩი იწვევს. „რეალთან“ დამარცხების შემდეგ (თუმცა, **მარკ ვან ბომელის** თქმით, „ბაიერნი“ მორალურად გამარჯვებულია) მიუნხენელები კარგ ხასიათზე არიან და იმედი აქვთ, რომ „ვოლფსბურგთან“ გულშემატკივრებს ისევ გაახარებენ. სხვათა შორის, პირველ წრეში „ვოლფსბურგმა“ „ბაიერნს“ მოუგო (1:0), რაც მაშინ უდიდეს სენსაციად მოინათლა, რადგან „მგლები“ საშინელ მდგომარეობაში იყვნენ. თუმცა მას მერე „ბაიერნმა“ არა ერთხელ და ორჯერ დაკარგა ქულები სულელურად. **კლაუს აუგენტალერი**, ძველი ბავარიელი, ამჟამად კი „ვოლფსბურგის“ მწვრთნელი, „ალიანს-არენიდან“ მინიმუმ ქულის წაღებას გეგმავს. არადა, სტატისტიკა „ვოლფების“ წინააღმდეგ მეტყველებს: ეს გუნდები მიუნხენში სულ 9-ჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და აქედან 8 თამაში „ბაიერნმა“ მოიგო, 1 კი ფრედ დასრულდა - „ვოლფსბურგს“ მიუნხენში არასდროს გაუმარჯვია. **ოტმარ ჰიტცფელდი** დღეს ვერც **ვილი სანიოლის** დაიხმარს და ვერც **მარტინ დემიკელისს** - ორივე დისკვალიფიცირებულია. ფრანგის ნაცვლად დაცვის მარჯვენა ფლანგზე **ანდრეას ოტლი** ითამაშებს.

ზედიზედ ორი მოგების შემდეგ „ჰამბურგის“ ელიტაში დარჩენა რეალური გახდა. **ჰუუბ სტევენსმა** HSV-ს მთავარი მწვრთნელის რანგში სამი თამაშიდან ორი მოიგო და დღეს ჩრდილოგერმანული კლუბის მეტოქე ფრანკფურტის „აინტრახტი“ იქნება, გუნდი, რომელმაც ბოლო დროს ძალიან მოუკლო. თუკი ჰამბურგელები „აინტრახტს“ დაამარცხებენ, გასავარდნ ზონას დატოვებენ, ფრანკფურტული კლუბი კი შავ ზონაში აღმოჩნდება. მაგრამ **თომას დოლის** დროინდელი უიღბლობა სტევენსსაც თან სდევს – „ჰამბურგს“ ისევ დაუშავდა **ნაიჯელ დე იონგი**, ტრავმირებულია **კოლინ ბენჯამინიც**, რომელსაც დაცვის მარჯვენა ფლანგზე დღეს **მათიას აბელი** შეცვლის. ეს უკანასკნელი HSV-მ იანვარში „შალკედან“ გადაიბირა. აბელი „ჰამბურგის“ სასტარტო შემადგენლობაში დღეს პირველად ითამაშებს. საკადრო პრობლემები „აინტრახტსაც“ აქვს – **პრიოლი, ჯოუნსი** და **ამანატიდისი** ტრავმირებულები არიან, **შპიხერს** კი დისკვალიფიკაცია აქვს.

„ჰანოვერმა“ მეორე წრე შესანიშნავად დაიწყო. „წითლებმა“ ბოლო 4 თამაშში 10 ქულა მოიპოვეს, მე-7 ადგილზე არიან და უეფას თასის საგზურზე ოცნებობენ. „ჰანოვერის“ მეტოქე დღეს დორტმუნდის „ბორუსია“ იქნება, რომელსაც ასევე არ დაუკარგავს ხუთეულში მოხვედრის იმედი. BVB-ს **დედე** და **ბრჟენსკა** ჰყავს დისკვალიფიცირებული. „ბორუსია“ „ჰანოვერისთვის“ ძალიან უხერხული მეტოქეა – ბოლო 8 საშინაო შეხვედრაში „წითლებმა“ დორტმუნდთან მხოლოდ 1 ქულა მოიპოვეს. „შტადიონ ამ ბრუხვეგზე“ ერთმანეთის წინააღმდეგ ადგილობრივი „მაინცი“ და „ნიურნბერგი“ წარსდგებიან. უპრიანია, შეგახსენოთ, რომ ეს გუნდები „შალკეს“ შემდეგ მეორე წრეში საუკეთესოები არიან. „მაინცმა“ 5 თამაშში 13 ქულა აიღო და თუკი **იურგენ კლოპის** გუნდი პირველი წრის შემდეგ ბოლო ადგილზე იყო, ახლა მე-11 პოზიციაზეა. შესანიშნავია **ჰანს მაიერის** „ნიურნბერგიც“, რომელიც მე-5 ადგილზეა და „ბაიერნს“ სულ რაღაც 1 ქულით ჩამორჩება. აქვე შეგახსენებთ, რომ „ფრანკებს“ მიმდინარე სეზონში ყველაზე ცოტა, მხოლოდ 2 წაგება აქვთ. „კოტბუსი“-„არმინია“, „ბოხუმი“-„ალემანია“ – ამ ორ შეხვედრაში ელიტაში დარჩენა-არდარჩენის საკითხი წყდება.

გადავიდეთ ხვალინდელ მატჩებზე. „შალკეს“ მეტოქე „ლევერკუზენია“ - გუნდი, რომელმაც გუშინწინ უეფას თასის მერვედფინალის საგზური მოიპოვა („ბლექბერნი“ გააგდო) და გუნდი, რომელიც **ლევან კობიაშვილსა** და კომპანიას ყოველთვის პრობლემებს უქმნის ხოლმე. თავად განსაჯეთ, „ბაიერნმა“ გელზენკირხენში ბოლო 8 თამაშიდან მხოლოდ 1 წააგო! გუშინდელ ნომერშიც გაცნობეთ, რომ **მირკო სლომკას** საკადრო პრობლემები აქვს: **ლოვენკრანდსისა** და **ვარელას** გარდა, ვერ ითამაშებს კობიაშვილიც (დისკვალიფიკაცია), საეჭვოა **ბორდონისა** და **ლინკოლნის** ასპარეზობაც. შეგახსენებთ, რომ ლაზარეთში არიან **პანდერი**, **ლარსენი** და **ასამოაც**. „ლევერკუზენს“ **ჰანს-იორგ ბუტი** არ ეყოლება, რომელიც წინა ტურში გააძევეს – „ფარმაცევტების“ კარს ახალგაზრდა **ადლერი** დაიცავს. ამ უკანასკნელს ბუნდესლიგაში დებიუტი ექნება.

კრიზისში მყოფი „ვერდერი“ კი მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ სტუმრობს. ამსტერდამში განცდილმა მარცხმა (1:3), რომელმაც ბრემენული გუნდი უეფას თასის მომდევნო ეტაპზე მაინც გაიყვანა (შინ 3:0 ჰქონდათ მოგებული), კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „ვერდერში“ მონასტერი არეულია. თანაც, „გლადბახს“ „მუსიკოსებთან“ საკუთარ მოედანზე დადებითი ბალანსი აქვს: 4 მოგება ბოლო 5 საშინაო შეხვედრიდან. მიონხენგლადბახელებს ამჯერადაც ჰაერივით ესაჭიროებათ ქულები, რადგან ბოლო ადგილზე არიან. თუმცა იგივე ითქმის „ვერდერზეც“, რომელსაც მინიმუმ ის მაინც უნდა, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას არ დაემუქროს საფრთხე.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 22 | 15 | 4 | 3 | 40-21 | 49 |
| 2. შტუტგარტი | 22 | 13 | 5 | 4 | 41-26 | 44 |
| 3. ვერდერი | 22 | 13 | 3 | 6 | 53-30 | 42 |
| 4. ბაიერნი | 22 | 11 | 4 | 7 | 33-26 | 37 |
| 5. ნიურნბერგი | 22 | 8 | 12 | 2 | 31-17 | 36 |
| 6. ჰერტა | 22 | 9 | 6 | 7 | 33-35 | 33 |
| 7. ჰანოვერი | 22 | 8 | 6 | 8 | 28-32 | 30 |
| 8. ლევერკუზენი | 22 | 8 | 5 | 9 | 35-34 | 29 |
| 9. ბორუსია (დ) | 22 | 7 | 7 | 8 | 25-28 | 28 |
| 10. ვოლფსბურგი | 22 | 5 | 10 | 7 | 22-26 | 25 |
| 11. მაინცი | 22 | 5 | 9 | 8 | 19-32 | 24 |
| 12. არმინია | 22 | 5 | 8 | 9 | 27-29 | 23 |
| 13. ალემანია | 22 | 6 | 5 | 11 | 33-42 | 23 |
| 14. ბოხუმი | 22 | 6 | 5 | 11 | 25-34 | 23 |
| 15. აინტრახტი | 22 | 4 | 11 | 7 | 27-39 | 23 |
| 16. კოტბუსი | 22 | 5 | 7 | 10 | 23-31 | 22 |
| 17. ჰამბურგი | 22 | 3 | 12 | 7 | 24-26 | 21 |
| 18. ბორუსია (მ) | 22 | 5 | 5 | 12 | 16-27 | 20 |

### რომაამ ვან ბუიტენი მოისურვა

"რომა" **დანიელ ვან ბუიტენით** დაინტერესდა. "რეალი"-"ბაიერნის" თამაშს, სხვებთან ერთად, რომაელი სკაუტებიც დაესწრნენ. "ჯალოროსის" დაცვის ცენტრის გაძლიერება სურს. **ფილიპ მექსესა** და **კრისტიან კივუს** ახალი კონტრაქტები ჯერაც არ გაუფორმებიათ. სავსებით რეალურია, ისინი უფრო სარფიან წინადადებებს დათანხმდნენ. ასეთ შემთხვევაში, "რომას" ვან ბუიტენი დასჭირდება. 29 წლის ბელგიელს "ბაიერნთან" კონტრაქტი 2010 წელს უმთავრდება. მისი საბაზრო ღირებულება 15 მილიონ ევროს შეადგენს.

### და ლა პენია: ვალენსია თუ ლევანტე?

"ლევანტემ" **იდან დე ლა პენიას** შთამბეჭდავი კონტრაქტი შესთავაზა. ესპანელ ნახევარმცველს "ესპანიოლთან" შეთანხმება ივნისში უმთავრდება. ბარსელონელებმა მას უკვე სთხოვეს თანამშრომლობის გაგრძელება. მაგრამ "ლევანტემ" გაცილებით უკეთესი პირობები წამოაყენა: წლიური 700 ათასი გირვანქა. ესპანური სააგენტოების ცნობით, დე ლა პენია "ვალენსიის" თავკაც **კიკე სანჩეს ფლორესსაც** სურს.

### ტიმოშჩუკი ზენიტში მიდის?

უკრაინის ნაკრებისა და "შახტიორის" საყრდენი ნახევარმცველი **ანატოლი ტიმოშჩუკი** "ზენიტში" გადასვლას აპირებს. ფეხბურთელი სანკტ პეტერბურგში ჩავიდა და კლუბის ხელმძღვანელობასთან დასკვნითი მოლაპარაკებები გამართა. ხუთშაბათს დონეცკელებმა "ნანსისთან" უეფას თასის მე-16 ფინალის განმეორებითი მატჩი გამართეს ("შახტიორმა" ორი თამაშის ჯამში 2:1 გაიმარჯვა). ტიმოშჩუკს მასში მონაწილეობა არ მიუღია.



შტეფან ეფენბერგი

ბაიერნი

# ეფენბერგი: ჰიტცფელდი ვერაფერს გაანწყობს

## ეფეს თავისი თავი ოტმარის ადგილზე ვერ წარმოუდგენია, მაგრამ თუ ბაიერნის ბოსები დაურეკავენ, გასაუბრებაზე უარს არ იტყვის...

**შტეფან ეფენბერგს „ბაიერნის“ გულშემატკივრები დღემდე ეთაყვანებიან. ეთაყვანებიან და მისტირიან კიდეც, რადგან ფაქტია, რომ გერმანიის მარადმწვანე ჩემპიონს ეფეს წასვლის შემდეგ ნახევარდაცვაში მისი დარი ნახევარმცველი აღარ ჰყოლია. მიხაელ ბალაკი არ იყო ცუდი ფეხბურთელი, მაგრამ ის მაინც ვერ გახდა ახალი ეფენბერგი. დღესდღეობით შტეფანი ტელეკომპანია „პრემიერ უორლდის“ ექსპერტია. ხუთშაბათს მან პირდაპირ ეთერში „რეალი“-„ბაიერნი“ გაარჩია და რეკორდმაისტერის პრობლემებზე ისაუბრა.**

დავიწყოთ იმით, რომ **ეფენბერგისგან** ქება-დიდება დაიმსახურა **მარკ ვან ბომელმა** - თუ გგონიათ, რომ იმ გოლის გამო, რომელიც ჰოლანდიელმა მადრიდულ გრანდს ბოლო წუთებზე გაუტანა, ძალიან სცდებით - ეფე ვან ბომელს, პირველ რიგში, იმ ჟესტის გამო აქებს, რომელიც მარკმა გოლის შემდეგ გააკეთა და რომელსაც ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. 38 წლის შტეფანი სულელს უწოდებს ყველას, ვინც ვან ბომელი მუშტების ქნევის გამო გაამტყუნა.

*„მე არ დამინახავს უხამსი ჟესტი, დავინახე მხოლოდ უდიდესი ემოცია, უმნიშვნელოვანესი გოლით გამოწვეული სიხარული და აგრესია. ვფიქრობ, ეს სავსებით ნორმალურია, რადგან ვან ბომელმა მართლაც უდიდესი მნიშვნელობის გოლი შეაგდო. აგრესია და თუ გნებავთ, ის ჟესტიც, ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია. მიყვარს ასეთი ფეხბურთელები – მათ გადამწყვეტ მომენტში ნაღდი, ვაჟკაცური რეაქცია აქვთ ხოლმე,“* - განაცხადა ეფენბერგმა, რომელმაც 1994 წელს შუა თითის კომბინაციით (გეხსომებათ) მთელი გერმანია შოკში ჩააგდო.

*„მარკი მონდომებული იყო, რაც ასეთ თამაშში ძალიან მნიშვნელოვანია. ფეხბურთელებს ხშირად სჭირდებათ გამოფხიზლება და მიხარია, რომ „ბაიერნში“, ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა კიდევ ერთი ასეთი ფეხბურთელი. ახლა ოლივერ კანი მარტო აღარ არის. არ მესმის, რამ გადარია ესპანელები, ეს ხომ ფეხბურთია,“* - აგრძელებს ეფე.

შტეფანისგან ასეთ განცხადებებს „ბაიერნის“ ხელმძღვანელები სიამოვნებით მოისმენდნენ, რადგან ისინიც ამ აზრზე არიან. სამაგიეროდ, **ული ჰიონესსა** და **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** ნამდვილად არ მოეწონებოდათ ის, რაზეც ეფენბერგმა ვან ბომელის თემის შემდეგ ისაუბრა. კერძოდ, შტეფანი მიიჩნევს, რომ შუა სეზონში **ფელიქს მაგათის** გათავისუფლება და მის ნაცვლად ისევ **ოტმარ ჰიტცფელდის** დაბრუნება მცდარი გადაწყვეტილება იყო და რომ „გენერალი“ ამ მოკლე დროში ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწევს.

*„დარწმუნებული ვარ, ჰიტცფელდს ეგონა, რომ ყველაფერი ძალიან მარტივად იქნებოდა, სჯეროდა, მივალ და მოვლენები ისევ ისე განვითარდება, როგორც ადრე, ძველ და კარგ დროში. მაგრამ ოტმარმა ის ველარ გაითვალისწინა, რომ ადრე „ბაიერნს“ სულ სხვა ფეხბურთელები ჰყავდა, დღეს კი ძირითად ბირთვს სხვა მოთამაშეები წარმოადგენენ. ჰიტცფელდი უკვე მიხვდა, რომ ყველაფერი არც ისე იოლია, როგორც ფიქრობდა და რომ ძალიან ბევრი სამუშაო აქვს – უამრავი პრობლემა, რასაც ამ მოკლე დროში ვერანაირად ვერ მოაგვარებს. „ბაიერნის“ დაბრუნება ისევ იქ, სადაც ეს გუნდი წლების წინათ იყო, ძალიან ძნელია,“* – აცხადებს ეფე და იქვე აგრძელებს, - *„ოტმარი დიდი მწვრთნელია, მაგრამ კონტრაქტი მხოლოდ ზაფხულამდე აქვს. სწორედ ამიტომ, არა მგონია, რომ „ბაიერნმა“ ეს სეზონი წარმატებით დაასრულოს. ვფიქრობ, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაც კი ძალიან გაუჭირდებათ.“*

ეფენბერგს, რა თქმა უნდა, არ დაავიწყდა **ლუსიოც**. ისე, ვისაც არ დაეზარა, ყველამ ეს ბრაზილიელი მცველი გააკრიტიკა და გასაკვირი იქნებოდა, ეფეს განსხვავებული აზრი რომ ჰქონოდა. *„ლუსიო „ბაიერნის“ დაცვის ბურჯია და პირველ რიგში, რაც ევალება, ის უნდა გააკეთოს და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იფიქროს შეტევაზე,“* - აღნიშნა ეფემ. შტეფანი მიიჩნევს, რომ „ბაიერნის“ ბოსებს ტრანსფერების დროს შეცდომები არ დაუშვიათ, მაგრამ მათი პრობლემაა ის, რომ **პოდოლსკისა** და **შვაინშტაიგერის** ფორმაში არყოფნის დროს, გუნდს სხვა ალტერნატივა არა აქვს.

გადაცემაში „ბუნდესლიგა აქტუელ“, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ეფეს ჰკითხეს, „ბაიერნის“ გაწვრთნას თუ დათანხმდებიო. აი, შტეფანის პასუხიც: *„ეს თითქმის წარმოუდგენელია, რადგან ძალიან ცოტაა იმის შანსი, რომ მთავარი მწვრთნელის პოსტი შემომთავაზონ. მაგრამ თუ დამირეკავენ, ტელეფონს, რა თქმა უნდა, არ გავუთიშავ და სიამოვნებით დაველაპარაკები.“* სხვათა შორის, გერმანულ პრესაში რამდენჯერმე გაიჟღერა ვარაუდმა, რომ შესაძლოა, „ბაიერნის“ თავკაცი ეფე გახდეს, მისი ასისტენტი კი ასევე ექს-ბავარიელი **ტორსტენ ფინკი**, რომელიც ახლა „ზალცბურგის“ მოყვარულთა გუნდს წვრთნის.

**გოტფრიდ ლენცი**

### ლიბერტადორესი 2007. ჯგუფური ტურნირი

**VI ჯგუფი**

**კარაკასი (ვენ)-ლიგა დე კიტო (ეკვ) 1:0**

კარაკასი: ტოიო, რეი, ვილემა, ვისკარონდო, ედერ პერესი, ლუის ვერა, ხორხე როხასი, სესარ გონსალესი (73. ოლივარესი), ვერა (89. როუგა), ივან ველასკესი (67. კასტელონი), კარპინტერო.

ლიგა დე კიტო: კრისტიან მორა, ხაიმე კაპოსი, არაუხო, მარლონ აიოვი, პატრისიო ურუტია, ენრიკე ვერა, ობრეგონი (75. ბოლანოსი), ამბროსი, ლარა, ესკალადა, გერონი (70. ფრანკლინ სალასი).

გოლი: 1:0 ვერა (74)

**კოლო კოლო (ჩილ)-რივერი (არგ) 1:2**

კოლო კოლო: სეხასი, რიფო, ბორის გონსალესი (57. ედისონ ხიმენესი), ენრიკესი, ვიდალი, სანჩესა, მელენდესი, ხოსე ლუის ხერესი (57. მენა), ჯოვანი ერნანდესი, უმბერტო სუასო, ალექსის სანჩესი (78. ლორკა).

რივერი: კარისო, ფერარი, ხერლო, ნელსონ რივასი, ტუსიო, გალვანი (72. აჰუმადა), პონსიო, სამბუესა (66. ვიქტორ საპატა), ბელუში, ფალკაო, ერნესტო ფარიასი.

გოლები: 0:1 პონსიო (45), 0:2 ფარიასი (55), 1:2 სუასო (61)

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები

# ვერდერი ვიზეს უმადლოდეს...

## აღარც იტალიელები, აღარც რუსები...

| | |
|---|---|
| ალკმაარი-ფენერბაჰჩე | 2:2 (3:3) |
| ნანსი-შახტარი | 0:1 (1:1) |
| ბლეკბერნი-ლევერკუზენი | 0:0 (2:3) |
| დინამო (ბ)-ბენფიკა | 1:2 (0:1) |
| მაკაბი (ჰაიფა)-ცსკა | 1:0 (0:0) |
| სევილია-სტიაუა | 1:0 (0:0) |
| სელტა-სპარტაკი | 2:1 (1:1) |
| ნიუკასლი-ვარეგემი | 1:0 (3:1) |
| პანათინაიკოსი-ლანსი | 0:0 (1:3) |
| პარმა-ბრაგა | 0:1 (0:1) |
| პსჟ-აეკ | 2:0 (2:0) |
| აიაქსი-ვერდერი | 3:1 (0:3) |
| რეინჯერსი-ჰაპოელი (თ-ა) | 4:0 (1:2) |
| ოსასუნა-ბორდო | 1:0 დ.დ (0:0) |
| ესპანიოლი-ლივორნო | 2:0 (2:1) |

„ვერდერმა" ერთი კვირის წინ „აიაქსს" 3:0 მოუგო და ცხადია, ყველამ იფიქრეთ, რომ განმეორებით შეხვედრას აზრი დაეკარგებოდა. თუმცა ასე არ ფიქრობდნენ ჰოლანდიელები, რომლებმაც ბრემენულ კლუბს ნამდვილი ჯოჯოხეთი მოუწყვეს. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ „ვერდერი" კრიზისშია – ბუნდესლიგაში განცდილი ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ **თომას შააფის** გუნდს ამსტერდამშიც უამრავი პრობლემა შეექმნა. მიუხედავად პირველ წრეში დაფიქსირებული მყარი შედეგისა, „მუსიკოსები" მერვედფინალში მაინც ძლივს გავიდნენ და ეს რომ მოახერხეს, პირველ რიგში მეკარე **ტიმ ვიზეს** უნდა უმადლოდენ, რომელმაც არაერთხელ იხსნა შააფის გუნდი. რომ არა ვიზე, „ვერდერი" „აიაქსთან" პირწმინდად განადგურდებოდა.

ამსტერდამელებმა ამ წვყილში უკვე უპირობო ფავორიტად შერაცხულ მეტოქეს თავიდანვე მაგრად შეუტიეს და მე-3 წუთზე პირველი გოლიც გაიტანეს: ბრაზილიელმა **ლეონარდომ** ვიზეს კარი 7 მეტრიდან დალაშქრა - ბრემენელთა მეკარე უძლური გახლდათ. უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე, კერძოდ მე-2 წუთზე, ვიზემ **სნეიდერს** აუღო სასწაულებრივ ნახტომში. ალბათ მიხვდით, რა დღეშიც ჰყავდათ ჰოლანდიელებს „ვერდერი" პირველ წუთებში. უნდა ითქვას, რომ შააფის გუნდს მე-13 წუთზე ძალიან გაუმართლა, როცა **ტიმ ბოროვსკის** პასით **უგო ალმეიდამ** საპასუხო გოლი გაუტანა „აიაქსს" და ანგარიში გაათანაბრა. როგორც გაირკვა, „ვერდერი" მერვედფინალში სწორედ ალმეიდას ამ (უფრო შემთხვევითმა) გოლმა გაიყვანა. ჰოლანდიელები მსაჯს ედავებოდნენ, თამაშგარე მდგომარეობა იყოო, თუმცა გამეორებაზე გამოჩნდა, რომ ალმეიდამ წონასწორობა წესების სრული დაცვით აღადგინა.

მაშ ასე, 1:1 და „აიაქსს" მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ახლა 5:1 აწყობდა, ანუ ამსტერდამელებს კიდევ 4 გოლი სჭირდებოდათ. აქ ბევრი ალბათ ბრძოლას შეწყვეტდა და ხელს ჩაიქნევდა, მაგრამ აიაქსელთა სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ დანებდნენ. პირიქით, შეტევებს კიდევ უფრო მოუხშირეს და გააფთრებულები ეკვეთნენ „ვერდერს". ბრემენელებს კი კონტრშეტევების განხორციელების საშუალება მიეცათ და ალმეიდას ჰქონდა რამდენიმე კარგი მომენტი, მაგრამ ვერ ივარგა. მე-60 წუთზე „აიაქსმა" საწადელს მიაღწია – **კლაას იან ჰუნტელაარმა** მასპინძლები დააწინაურა. მერე კი, ზუსტად 14 წუთში **ბაბელმა** მესამედაც დალაშქრა ვიზეს კარი და თანაგუნდელებს იმედის ნაპერწკალი კიდევ ერთხელ გაუღვივა.

77-ე წუთზე სნეიდერს ექმნება შესანიშნავი მომენტი, მაგრამ გრანდიოზულია ვიზე, რომელიც მის დარტყმას იგერიებს. 85-ე წუთზე ბრემენელთა მეკარეს ჰუნტელაარის დარტყმის გაუვნებლებაც უხდება, 90-ეზე კი **პერესისა**. ხომ გეუბნებით, რომ არა ვიზე, „ვერდერი" დიდ სირცხვილს ჭამდა.

მერვედფინალში „მუსიკოსთა" მეტოქე ვიგოს „სელტა" იქნება, გუნდი, რომელმაც მოსკოვის „სპარტაკი" დაიფრინა. მოსკოვში მიღწეული ფრის შემდეგ, რომლის მერეც ამ წყვილში ფავორიტად სწორედ ესპანელები ითვლებოდნენ, საკუთარ კედლებში რუსეთის სახალხო გუნდი 2:1 დაამარცხეს და მომდევნო ეტაპზე დამსახურებულად გავიდნენ. „სპარტაკმა" „სელტას" ფაქტობრივად ვერაფერი დაუპირისპირა – ვიგოელები 2:0-ს იგებდნენ (**ნენე, ჯონათანი**) და ერთადერთი, რაც რუსებმა მოახერხეს, მათი მარადიული კაპიტნის, **ტიტოვის** გვიანი, 88-ე წუთზე გატანილი კინკილა გოლი იყო.

**ზურაბ ხიზანიშვილის** „ბლექბერნმა" საკუთარ „ივუდ პარკზე" ლევერკუზენის „ბაიერს" ვერაფერი დაუპირისპირა. „ბაი-არენაზე" დამარცხების (2:3) შემდეგ ხიზანას და კომპანიას მინიმალური სხვაობით გამარჯვებაც ეყოფოდა, მაგრამ ერთი გოლი რაა, ისიც ვერ გაუტანეს პრაგმატულად მოთამაშე „ფარმაცევტებს", რომლებმაც თავიანთ ამოცანას შესანიშნავად გაართვეს თავი და საფინალო სასტვენამდე ნულოვანი ფრე შეინარჩუნეს. „ბლექბერნს" დაწინაურება 42-ე და 56-ე წუთებზე შეეძლო, მაგრამ პირველ მომენტში **ბენი მაკარტიმ ჰანს-იორგ ბუტის** შეცდომით ვერ ისარგებლა, მერე კი **დანმა** გაანიავა ჩინებული შანსი. ამ ორ სახიფათო მომენტს შორის „ლევერკუზენსაც" შეეძლო უნიათო ინგლისელების დასჯა, მაგრამ **ბერნდ შნაიდერის** საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთი **ბრედ ფრიდელის** კარის ძელს მოხვდა. ამრიგად, „ლევერკუზენი" მომდევნო ეტაპზე გავიდა, სადაც მისი მეტოქე ფრანგული „ლანსი" იქნება, გუნდი, რომელმაც ბერძნული „პანათინაიკოსი" დაიფრინა. საფრანგეთში 3:1-ზე მოგებული შეხვედრის შემდეგ **იტანჯემ** და კომპანიამ საბერძნეთში უგოლო ფრეს მიაღწიეს.

სამაგიეროდ, მერვედფინალში ითამაშებს **შოთა არველაძის** „ალკმაარი", თუმცა აღსანიშნავია, რომ **ლუის ვან გაალის** შეგირდები ბეწვზე გადარჩნენ. როგორც იცით, ერთი კვირის წინათ სტამბულში ჩატარებული მატჩი 3:3 დასრულდა და ამრიგად „ალკმაარს" არათუ ნებისმიერი გამარჯვება, არამედ ნებისმიერი ფრეც (ოღონდ არა 3:3 და ზემოთ) აძლევდა ხელს. მაგრამ თურქებმა უფრო მეტი ფხა გამოიჩინეს და **თუმერისა** (21-ე წუთზე) და **ალექსის** (34) გოლებით 2:0-ს იგებდნენ. ვან გაალის ბიჭები მხოლოდ ამის შემდეგღა გამოცოცხლდნენ და 66-ე წუთზე **მარტენსმა** ერთი ბურთი გაქვითა. მერვედფინალში კი ჰოლანდიური კლუბი **ოპდამის** გოლმა (87) გაიყვანა, რომელიც ამ უკანასკნელმა მას მერე გაიტანა, რაც **არველაძის** წინააღმდეგ წესების დარღვევისთვის დანიშნული ჯარიმა ჩაუწოდეს. „ალკმაარის" მომდევნო მეტოქე „ნიუკასლია" - „კაჭკაჭებმა", როგორც მოსალოდნელი იყო, ნახევრად პროფესიულ „ვარეგემს" ორი შეხვედრის ჯამში ძალიან იოლად სძლიეს (1:0, 3:1). განმეორებით შეხვედრაში **გლენ როუდერის** გუნდს გამარჯვენა **ობაფემი მარტინსმა** მოუტანა.

მერვედფინალიდან უეფას თასზე არცერთი იტალიური კლუბი აღარ ითამაშებს, რაც არცთუ ისე დიდი, მაგრამ მაინც სენსაციაა. ჯგუფური ეტაპის შემდეგ იტალიას ამ მეორეხარისხოვან ევროტურნირზე ორი წარმომადგენელი ჰყავდა - „ლივორნო" და „პარმა", მაგრამ 1/16 ფინალი ვერცერთმა მათგანმა ვერ გადალახა. „პარმა", სადაც ცოტა ხნის წინ **კლაუდიო რანიერი** დაინიშნა, მოულოდნელად პორტუგალიურ „ბრაგასთან" გავარდა, წააგო რა საშინაო მატჩიც 0:1 („ბრაგამ" „პარმას" შინაც 1:0 მოუგო), „ლივორნომ" კი „ესპანიოლის" ბარიერი ვერ გადალახა და საკუთარ კედლებში წაგების შემდეგ (1:2), კატალონიაშიც დამარცხდა (0:2).

სამაგიეროდ, მერვედფინალში ითამაშებს ესპანეთის ოთხივე წარმომადგენელი. „ესპანიოლისა" და „სელტას" დარად, 1/16 ფინალის ბარიერი „ოსასუნამ" და უეფას თასის მოქმედმა გამარჯვებულმა „სევილიამაც" გადალახეს. პირველ მათგანს „ბორდოსთან" საკმაოდ გაუჭირდა და ფრანგული კლუბი მხოლოდ დამატებითი დროის მიწურულს გატანილი გოლით (**ნექუნამი**, 119-ე წუთზე) დაამარცხა, „სევილიამ" კი „სტიაუა" გამოთიშა ასპარეზობას – **ხუანდე რამოსის** გუნდმა რუსი **კერჟაკოვის** ერთადერთი გოლით განმეორებითი მატჩიც მოიგო. „სევილიის" მეტოქე მერვედფინალში დონეცკის „შახტარი" იქნება. უკრაინულმა კლუბმა ფრანგული „ნანსის" ბარიერი გაიარა – დონეცკში მიღწეული ფრის შემდეგ (1:1), „შახტარმა" „ნანსი" სტუმრად **ფერნანდინიოს** გოლით დაამარცხა.

ლისაბონის „ბენფიკამ" ბუქარესტის „დინამოს" პირველ თამაშში მხოლოდ 1:0 მოუგო და ბევრს ეგონა, რომ პორტუგალიურ გრანდს განმეორებით შეხვედრაში პრობლემები შეექმნებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. მართალია, შარშანდელი ნახევარფინალისტები **მუნტეანუს** გოლით იგებდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში „ბენფიკამ" 2 გოლი გაიტანა (**კლებერი, კაცურანისი**). მერვედფინალში ლისაბონელთა მეტოქე ფრანგული პსჟ იქნება, გუნდი, რომელმაც ბერძნულ აეკ-ს ორივე თამაში დამაჯერებლად მოუგო (2:0, 2:0).

დაბოლოს, თელ ავივში განცდილი მარცხის შემდეგ (1:2) „რეინჯერსმა" გლაზგოში „ჰაპოელი" გაანადგურა (4:0) და მომდევნო ეტაპზე, შეიძლება ითქვას, რომ უპრობლემოდ გავიდა. სენსაცია მოახდინა ჰაიფას „მაკაბიმ", რომელმაც მოსკოვის ცსკა დაიფრინა. რუსეთში, კერძოდ კი ვლადიკავკაზში მიღწეული უგოლო ფრის შემდეგ, „მაკაბიმ" **ვალერი გაზაევის** გუნდს მინიმალური სხვაობით მოუგო. ამრიგად, უეფას თასიდან ორივე რუსული კლუბი გავარდა („სპარტაკზე" ზემოთ ვისაუბრეთ). „მაკაბი" მერვედფინალში „ესპანიოლს" უნდა შეერკინოს.

**1/8 ფინალი**

ნიუკასლი-ალკმაარი
მაკაბი-ესპანიოლი
რეინჯერსი-ოსასუნა
ბრაგა-ტოტენჰემი
სევილია-შახტარი
ლანსი-ლევერკუზენი
პსჟ-ბენფიკა
სელტა-ვერდერი

პირველი მატჩები 8 მარტს გაიმართება, საპასუხო 14/15 მარტს.



აიაქსი-ვერდერი. ბრემენელები მომდევნო ეტაპზე პირადად ტიმ ვიზემ გაიყვანა



კრისტიანო რონალდო გამოჯანმრთელდა და ალბათ, ითამაშებს კიდეც

ინგლისი. პრემიერლიგა. XXVIII ტურის წინ

# იუნაიტედი ლიგის თასის ფინალით ისარგებლებს

**დღეს**

ფულჰემი-მანჩესტერ იუნაიტედი
ჩარლტონი-ვესტ ჰემი
ლივერპული-შეფილდი
მიდლსბრო-რედინგი
უოტფორდი-ევერტონი

**ხვალ**

ვიგანი-ნიუკასლი
ბლექბერნი-პორტსმუთი
ტოტენჰემი-ბოლტონი

ხვალ "ჩელსი" "არსენალს" ეთამაშება. ლონდონური გრანდები კარდიფში ლიგის თასისათვის იბრძოლებენ. უმთავრესი კონკურენტის არყოფნაში "მანჩესტერ იუნაიტედს" შეუძლია, სხვაობა ცხრა ქულამდე გაზარდოს.

"ეშმაკების" დღევანდელი მეტოქე "ფულჰემია". სტუმრებმა შუა კვირაში "ლილს" მოუგეს (1:0) და ცალი ფეხით ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალშია არიან. "ფულჰემი" კი გასულ უქმეებზე ასოციაციის თასს გამოეთიშა. **კრის კოულმენის** შეგირდებმა "ტოტენჰემთან" გამანადგურებელი (0:4) ანგარიშით წააგეს.

გამანადგურებელი შედეგით დასრულდა "მანჩესტერისა" და "ფულჰემის" პირველი წრის მატჩიც (5:1). დღეს ლონდონელებს უძლიერესი შემადგენლობა ეყოლებათ. ოპტიმალურ გუნდს გამოიყვანს **სერ ალექს ფერგიუსონიც**. "ლილთან" დაშავებული **რაიან გიგზი და კრისტიანო რონალდო** მწყობრში არიან, თუმცა რომელიმე მათგანი, შეიძლება, თადარიგში ვიხილოთ. მომდევნო ტურში (3 მარტს) "მანჩესტერს" სერიოზული თამაში აქვს - სტუმრად "ლივერპულთან". "ჩელსი" "პორტსმუთს" ესტუმრება.

დავუბრუნდეთ ამ უქმეების საფეხბურთო პროგრამას. მესამეადგილოსანი "ლივერპული", (ის "არისტოკრატებს" 10 ქულით ჩამორჩება) ამერიკელი ინვესტორების მისვლის შემდეგ შინ პირველ მატჩს ჩაატარებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ოთხშაბათს მერსისაიდელებმა "ბარსელონა" დააჩოქეს, დღეს ნამდვილი გასეირნება უნდა მოიწყონ. მათი მეტოქე ხომ "შეფილდ იუნაიტედია".

დებიუტისთვის ემზადება ლივერპულელთა ახალწვეული **ხავიერ მასკერანო. მომო სისოკო**, რომელმაც "ბარსელონასთან" მატჩი ვერ დაასრულა, მწყობრშია. ძირითადში ითამაშებენ **პიტერ კრაუჩი, ჯერმენ პენანტი** და **სემი ჰიიპია**. შეფილდელებს ოთხი წამყვანი ფეხბურთელი არ ეყოლებათ. **ვებერი, შელტონი** და **მორგანი** დაშავებულები არიან, **ბრომბი** ერთ, ხოლო **გილესპი** ოთხმატჩიან დისკვალიფიკაციას იხდის.

თუ "ბოლტონი" "ტოტენჰემს" დაამარცხებს, "არსენალს" გადაუსწრებს და მეოთხე ადგილზე მოკალათდება. ამის ალბათობა დიდია. "მამლებს" შინ ორ თვეზე მეტია, არ მოუგიათ. ტრავმა მოიშუშა **მიდომ**, რომელსაც ძირითადში დეკემბრის შემდეგ არ უთამაშია და ოთხშაბათს "ევერტონთან" მატჩიც გამოტოვა.

სხვა თამაშებიდან აღსანიშნავია "ჩარლტონისა" და "ვესტ ჰემის" დაპირისპირება. ამ გუნდებს თანაბარი ქულები აქვთ და ერთმანეთისაგან მხოლოდ ბურთების სხვაობა ყოფთ. თანაც "ჩარლტონს" "ვესტ ჰემის" ყოფილი მწვრთნელი ავარჯიშებს (**ალან პერდიუ**), "ვესტ ჰემს" კი - "ჩარლტონის" ყოფილი დამრიგებელი (**ალან კერბიშლი**). "ჩაქუჩებს" პრემიერლიგაში 17 დეკემბრის შემდეგ არ მოუგიათ ("მანჩესტერ იუნაიტედთან" 1:0). გასულ უქმეებზე კერბიშლის შეგირდებმა უიმედო აუტსაიდერ "უოტფორდთან" მინიმალური ანგარიშით წააგეს. ორივე გუნდი გადარჩენისათვის იბრძვის. მათ უსაფრთხო ზონისაგან ექვსი ქულა აშორებთ. "მიდლსბრო" "რედინგს" უმასპინძლებს. ამ თამაშის წინ რედინგელებმა წამყვან ნახევარმცველ **სტივ სიდველს** ახალი კონტრაქტი შესთავაზეს.

კვირას კიდევ ორი შეხვედრა გაიმართება. ზემოთხსენებული "ტოტენჰემისა" და "ბოლტონის" გარდა, "ნიუკასლი" "ვიგანს" ეწვევა, ხოლო "ბლექბერნი" "პორტსმუთს" უმასპინძლებს. "პორტსმუთს" "არსენალიდან" იჯარით გადაყვანილი მცველი **ლორენი** გამოუჯანმრთელდა. მწყობრშია **პედრო მენდესიც**, რომელსაც აქილევსის ტრავმა აწუხებდა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ | 27 | 21 | 3 | 3 | 63-18 | 66 |
| 2. ჩელსი | 27 | 18 | 6 | 3 | 48-19 | 60 |
| 3. ლივერპული | 27 | 15 | 5 | 7 | 40-19 | 50 |
| 4. არსენალი | 26 | 14 | 7 | 5 | 48-22 | 49 |
| 5. ბოლტონი | 27 | 14 | 5 | 8 | 32-21 | 47 |
| 6. რედინგი | 27 | 13 | 4 | 10 | 41-34 | 43 |
| 7. პორტსმუთი | 27 | 11 | 8 | 8 | 36-26 | 41 |
| 8. ევერტონი | 27 | 10 | 9 | 8 | 33-25 | 39 |
| 9. ნიუკასლი | 27 | 10 | 6 | 11 | 34-36 | 36 |
| 10. ტოტენჰემი | 27 | 10 | 6 | 11 | 32-39 | 36 |
| 11. ბლექბერნი | 27 | 10 | 4 | 13 | 30-38 | 34 |
| 12. მიდლსბრო | 27 | 8 | 8 | 11 | 30-33 | 32 |
| 13. ასტონ ვილა | 27 | 7 | 11 | 9 | 28-33 | 32 |
| 14. ფულჰემი | 27 | 7 | 11 | 9 | 29-41 | 32 |
| 15. მანჩესტერ ს | 26 | 8 | 6 | 12 | 20-32 | 30 |
| 16. შეფილდი | 27 | 8 | 6 | 13 | 24-36 | 30 |
| 17. ვიგანი | 27 | 7 | 5 | 15 | 28-44 | 26 |
| 18. ვესტ ჰემი | 27 | 5 | 5 | 17 | 18-42 | 20 |
| 19. ჩარლტონი | 27 | 5 | 5 | 17 | 20-47 | 20 |
| 20. უოტფორდი | 27 | 3 | 10 | 14 | 16-38 | 19 |

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძიუდო

ინტერვიუ შოთა ხაბარელთან

# საევროპო შემადგენლობა თითქმის ცნობილია



შოთა ხაბარელი

დღეს ქართველი ძიუდოისტები ჰამბურგში გაფრინდნენ, სადაც ამ უქმეებზე მსოფლიოს სუპერთასზე იჭიდავებენ. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ იქ ამირან პაპინაშვილი (60), სერგო ციხელაშვილი, გიორგი ფერსაშვილი (ორივე - 66), საბა გავაშელიშვილი, გრიგოლ შინჯიკაშვილი (81), დავით ლორიაშვილი (90), ნოდარ მეტრეველი (100) და ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე) იჭიდავებენ. ნაკრებს გერმანიაში გურამ მოდებაძე დამოძღვრავს, რადგან შოთა ხაბარელმა ძირითადი გუნდი ზუსტად ერთ კვირაში ვარშავის მსოფლიო თასზე უნდა წაიყვანოს. ეს ტურნირი ევროპის პირველობისთვის ბოლო შეჯიბრებაა და იქ ის გუნდი გამოვა, რომელმაც 7-8 აპრილს ბელგრადში კონტინენტის პირველობაზე უნდა იჭიდაოს. თუ კონკურენცია ყველა წონაში ვერც ჰამბურგმა გამოავლინა, ამ შემთხვევაშიც ყველაფერი ვარშავაში გაირკვევა.

მოკლედ, ჰამბურგში ყველაფერი თუ არა, ბევრი რამე მაინც უნდა გაირკვეს. მაგრამ საევროპო ნაკრების დაკომპლექტებაში პარიზის სუპეთასიც საეტაპო მნიშვნელობისა გამოდგა და ეს იქ არასახარბიელო გამოსვლის მიუხედავად. შოთა ხაბარელთან ინტერვიუც სწორედ იმ ტურნირის შეფასებით დავიწყეთ.

**- არასახარბიელო შედეგებიდან გამომდინარე, პარიზის ტურნირი ცუდს უფრო მეტს დაგანახებდათ. კონკრეტულად, რა გიჩვენათ იმ შეჯიბრებამ?**

- მართალია, იქ მედლები არ იყო, მაგრამ ჩემი, როგორც მწვრთნელის გადასახედიდან, მაინც ბევრი რამ დავინახე. ცხადია, უპირველესად ის წონები გვაინტერესებდა, სადაც კონკურენციაა და რამდენიმეში ლიდერი თითქმის გამოვკვეთეთ. მაგალითად, 100-ში - ლომერ ჟორჟოლიანი. მან ბევრი დადებითი თვისება დამანახა. ის ბრძოლები, რომლებიც წააგო - უფრო გამოუცდელობით, თორემ მჯერა, ახლა რომ შეხვდეს იმ მეტოქეებს, აუცილებლად მოუგებს. ჟინიანია, მიზანსწრაფული, ავლენს გამარჯვებისკენ სწრაფვის სურვილს. ამ ეტაპზე ამიტომაც შევაჩერეთ მასზე არჩევანი, თუმცა არც გიორგი ყიზილაშვილი ჩამოგვიწერია. გერმანიაში ნოდარ მეტრეველსაც ვცდით და თუ წარმატებით იჭიდავა, შანსი მასაც მიეცემა - ჟორჟოლიანთან ერთად ვარშავაში გამოვცდით.

81-შიც თითქმის გაირკვა კონკურენცია - გიორგი ბაინდურაშვილმა ძალიან კარგად იჭიდავა. მასში უფრო აქტიური, აგრესიული ჭიდაობის სტილი მომეწონა - თავის ჭიდაობას ახვევს მეტოქეს. ამას გრიგოლ მამრიკიშვილის ტრავმაც დაემატა, რამაც მისი ევროპაზე წასვლა გამორიცხა.

მძიმეში ზვიად ხანჯალიაშვილმაც დაგვარწმუნა თავის შესაძლებლობებში და ახლა ჰამბურგში ლაშა გუჯეჯიანის გამოსვლას ველოდები. მართალია, პარიზში ხანჯალიაშვილმა ხელი იტკინა, მაგრამ საშიში არაფერია, თუმცა ამის გამო ერთობლივ წვრთნებზე არ უვარჯიშია. სამაგიეროდ, ფიზიკურად ემზადებოდა და საკმაოდ ნაყოფიერად - დარბოდა, შტანგებსა თუ ტრენაჟორებზე ვარჯიშობდა.

**- თქვენი სიტყვებიდან გამომდინარე, ბაინდურაშვილში დაინახეთ ის, რაც ხშირად აკლდა მამრიკიშვილს - ფსიქოლოგიური განწყობა.**

- ვერ ვიტყვი, რომ თითქოს მამრიკიშვილს ფსიქოლოგიური პრობლემები აწუხებდა, მაგრამ ისინი განსხვავებულ სტილში ჭიდაობენ. მამრიკიშვილის სტილი თვალსასეიროა, მაგრამ ავანტურისტულიც, რადგან სუფთად წაგების ალბათობა მეტია. ბაინდურაშვილი თავსაც კარგად იცავს, ტექნიკურადაც ჭიდაობს, ტატამზე აზროვნებს, კარგად იყენებს მეტოქის სისუსტეებს, ეხერხება ტაქტიკური ჭიდაობა... მისი სტილი ზვიადაურისას მაგონებს.

**- ამ ტურნირზე გამოსვლა გუნდის გამოკვეთილი ლიდერის - ნესტორ ხერგიანის შეფასებით დავასრულოთ. მას რამ შეუშალა ხელი - მოუმზადებლობამ თუ ასაკმა?**

- რატომღაც, მას თბილისის ტურნირზე ჭიდაობა ტრადიციულად უჭირს, პარიზში კი ურიგოდ არ გამოსულა. შესაძლოა, არც იყო ბოლომდე მზად, მაგრამ ერთობლივ შეკრებაზე კარგად ივარჯიშა და შემიძლია გითხრათ, ახლა სულ სხვა ფალავანია - უკეთ სუნთქავს, სწრაფად მოძრაობს... საერთოდ, მასზე იქაური ერთობლივი ვარჯიშები მუდამ კარგად მოქმედებს და პარიზიდან ჩამოსვლის შემდეგ მუდამ უმატებს ხოლმე. არადა, წინ მზადების კიდევ რამდენიმე ეტაპია და ისევ მოუმატებს. ის ევროპაზე იჭიდავებს, რადგან, სამწუხაროდ, ამ წონაში ალტერნატივაც არ ჰყავს.

**- დროა, ჰამბურგის ტურნირზეც ვისაუბროთ. პარიზში ნაკრების ჩავარდნის მიუხედავად, იქ ძირითადის არც ერთი წევრი რომ არ მიგყავთ. მათ გადაღლას მოერიდეთ თუ რატომ?**

- დიახ, ეგრეა. მოგეხსენებათ, პარიზში ერთკვირიან ვარჯიშებზე დავრჩით, თბილისში წინა კვირას დავბრუნდით და ერთ კვირაში მათი ისევ ტურნირზე წაყვანა არ იქნებოდა გამართლებული. ცალკე აკლიმატიზაცია, ბევრი წონასაც იკლებს და ამ სირთულეებს მოვერიდეთ.

**- ცოტა გაგვიკვირდა, როცა ლაშა გუჯეჯიანი პარიზში არ წაიყვანეთ და გერმანულ ტურნირზე გაამწესეთ, მეორე გუნდთან...**

- ეს ძირითადად თბილისის ტურნირის შედეგებმა განაპირობა. ჩვენ ადრევე ვთქვით, რომ პარიზში ისინი წავიდოდნენ, რომლებიც აქ უკეთ იჭიდავებდნენ. გახსოვთ, თბილისში გუჯეჯიანი თავიდანვე გავარდა, ხანჯალიაშვილმა მოიგო, ადამ ოქრუაშვილი კი მესამეზე გავიდა. მართალია, პარიზის ტურნირი ჰამბურგისაზე უფრო ძლიერია, მაგრამ დიდი განსხვავება არაა და შანსები მაინც თანაბარია.

**- მაგრამ გუჯეჯიანი თბილისში დამარცხდა იაპონელ შინია კატაბუჩისთან, რომელიც ნამდვილად არაა ურიგო მოჭიდავე. არ შემედავებით, რომ მერე იმანაც შემთხვევით წააგო და ჩვენებური ამიტომ ვერ ჩაერთო სანუგეშოში. ხანჯალიაშვილზე არ გეკამათებით, მაგრამ საქართველოს ფალავნობაზე გუჯეჯიანმა აშკარად აჯობა ოქრუაშვილს. მართალია, ქართულ ჭიდაობაში, მაგრამ უპირატესობა დიდი იყო...**

- მაშინ ევროპის აბსოლუტური პირველობაც გავიხსენოთ, სადაც ოქრუაშვილმა დამაჯერებლად იჭიდავა, გუჯეჯიანმა კი ვერაფრით გამოიჩინა თავი. ოქრუაშვილის ჭიდაობით თბილისის ტურნირზეც კმაყოფილი დავრჩი, პარიზშიც უფრო მსაჯის შეცდომით წააგო, გუჯეჯიანს კი ჰამბურგში ეძლევა შანსი. ძალიან მინდა, იქ სამეულში შევიდეს და ვარშავაში ხანჯალიაშვილთან ერთად გამოვცადო.

ისე, არ გამოვრიცხავ, ოქრუაშვილმა სალიცენზიო ტურნირებში ორივეს აჯობოს.

**- ბარემ ვარშავაში წასაყვანი შემადგენლობაც გაგვაცანით.**

- ოღონდ აქ რამდენიმე წონის შემადგენლობას ჰამბურგის ტურნირის შედეგებიც განსაზღვრავს და ჯერ საბოლოო შემადგენლობაზე ვერ ვილაპარაკებთ. ვარშავაში ვახტანგ ხოსიტაშვილი (60), ზაზა კედელაშვილი (66), მინდია ხომიზური და ბექა ბაიდაური (73), გიორგი ბაინდურაშვილი (81), ირაკლი ცირეკიძე, ვალერი ლიპარტელიანი (90), ლომერ ჟორჟოლიანი (100) და ზვიად ხანჯალიაშვილი (მძიმე) წავლენ. თუ გერმანიაში წარმატებით იჭიდავეს, მაშინ ამათ გავაშელიშვილი ან შინჯიკაშვილი (81), მეტრეველი (100) და გუჯეჯიანიც (მძიმე) დაემატონ.

**- დაბოლოს, მენისკნაოპერაციები დავით ქევხიშვილი. როგორაა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და როდიდან შეუერთდება გუნდს?**

- ქევხიშვილს საევროპო ნაკრებში კი ვითვალისწინებთ, მაგრამ ჯერ საბოლოოდ არ განკურნებულა.

**ირაკლი თავაძე**



100 კილოგრამში ევროპის ჩემპიონატზე ლომერ ჟორჟოლიანი იჭიდავებს

## სპორტი ყველასათვის

## სპორტული ნარდი

# გაიმარჯვა ინტერნეტით დაოსტატებულმა

სპორტულ ნარდს საქართველოში ბევრი მიმდევარი ჰყავს. ასოციაცია (პრეზიდენტი **თემურ ქურციკიძე**) მათთვის ხშირად მართავს შეჯიბრებებს. ამჯერად, ამ უწყების ოფისში, უზნაძის ქუჩაზე, საქართველოს ზამთრის ჩემპიონატში, აჭარის გარდა ქვეყნის ყველა რეგიონის წარმომადგენელი ჩაება. ტურნირის მთავარი მსაჯია იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი **ომარ დვალი.**

ვაჟთა შორის "ოქროს კამათლის" გათამაშებას 60-მდე მონაწილე ჰყავდა. ფინალში **თამაზ გიორგობიანი** და **კარენ სარქისიანი** დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. გაიმარჯვა ნაკლებად ცნობილმა სარქისიანმა. როგორც გაირკვა, სარქისიანი, თურმე, ინტერნეტით ნარდის თამაშითაცაა გატაცებული და მსოფლიოს არაერთი ქვეყნის წარმომადგენელს უწევს ღირსეულ მეტოქეობას.

საინტერესოდ წარიმართა მსოფლიოში გავრცელებული წყვილთა შორის თამაში კონსულტაციებით. წესების მიხედვით, წყვილებში კონსულტაციის ნაირგვარობაა გათვალისწინებული. შესაძლებელია სვლის დაბრუნებაც კი. 20 წყვილიდან საუკეთესო აღმოჩნდა ყოფილი ძალოვნების, პროკურატურის გენერალ **სიმონ (სიომა) მაჭავარიანისა** და პოლიციის პოლკოვნიკ **თემურ ქურციკიძის** დუეტი.

პრიზების გარდა, გამარჯვებულებს ფულადი ჯილდოც გადაეცათ. ასოციაციის საქმიანობას მხარში უდგანან საწყლოსნო კომპლექს "ლაგუნა-ვერეს" ხელმძღვანელები - **ცისანა მჭედლიძე** (ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი) და **ვლადიმერ გოიაშვილი**, სამშენებლო კომპანია "სამგორის" თავკაცი **რომან ნამიჭეიშვილი**, ძმები - **როლანდ** და **ვახტანგ ახვლედიანები**, შპს "ელენჯ-გაზის" პრეზიდენტი **ნუგზარ წიკლაური.**

ახლა ასოციაცია და მისი მხარდამჭერები სარვამარტოდ მოკლე ნარდში ქალთა შორის საქართველოს პირველობისთვის ემზადებიან.

**ომარ ჩხაიძე**



სიმონ მაჭავარიანი (მარცხნივ) და თემურ ქურციკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



## კალათბურთი



ვაჟა მხეიძე



დავით უსტიაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი. XIV ტური. პრესკონფერენცია

# თუ აზოტმა მოიგო...

**დღეს, ვერის პარკში**

12:00 **სტუ-დინამო**
14:00 **თსუ-მაკაბი**
16:00 **ავიამშენი-აზოტი**

დღეს საქართველოს ორი საუკეთესო გუნდი, "ავიამშენი" და "აზოტი" ერთმანეთს მეხუთედ დაუპირისპირდება. საქართველოს თასის ფინალში რუსთაველებს ავიატორებმა აჯობეს, ხოლო დადიანის მემორიალსა და სუპერლიგის ორ მატჩში გამარჯვებული "აზოტი" გამოვიდა. თუ ქვემოქართლელები დღესაც მოიგებენ, ფაქტობრივად, რეგულარულ ჩემპიონატში პირველობასაც გაინაღდებენ. როგორ წარიმართება შეხვედრა, 16 საათიდან ვნახავთ. მანამდე კი მოვუსმინოთ მწვრთნელ-მოთამაშეებს, რომლებიც წინასამატჩო პრესკონფერენციისთვის კაფე "მსოფილო სპორტში" შეიკრიბნენ.

**დავით უსტიაშვილი** ("აზოტის" მწვრთნელი): *- ამ მატჩისთვის კარგად მოვემზადეთ. ეროვნულ ჩემპიონატში დღემდე წაუგებლად ვასპარეზობთ და გვინდა, ასევე განვაგრძოთ. ვაცნობიერებთ ამ შეხვედრის მნიშვნელობას, თუ გავიმარჯვეთ, 90 პროცენტით რეგულარულის ჩემპიონები გავხდებით. ყველა კალათბურთელი მწყობრშია. ტრავმირებულები არ გვყავს.*

**ლაშა გამყრელიძე** ("აზოტის" გამთამაშებელი): *- წინა ტურში "მაკაბისთან" მატჩი გამოვტოვე. ამის მიზეზი ფეხის მცირე ტრავმა იყო, თუმცა ახლა თავს კარგად ვგრძნობ და მთელი დატვირთვით ვვარჯიშობ. ჩემთან ერთად ყველა აზოტელი მზადაა და ძალიან გვინდა, მოედნიდან გამარჯვებულები გამოვიდეთ.*

**ვაჟა მხეიძე** ("ავიამშენის" მეორე მწვრთნელი): *- ჩვენი გეგმა შევასრულეთ - თასის მოპოვებას ვგულისხმობ. ძალიან გვინდა, "აზოტი" კიდევ ერთხელ დავამარცხოთ, მაგრამ სერიოზული დანაკლისი გვაქვს. ტრავმირებულები არიან ირაკლი ბერიშვილი და თორნიკე ნინიაშვილი. მათგან განსხვავებით, რუსთაველთა წინააღმდეგ ტრავმირებული ირაკლი ხოშტარია მაინც დაგვეხმარება, თუმცა, არც მოთამაშის ჯანმრთელობის გარისკვას ვაპირებთ - ჩვენთვის მთავარია ფლეი ოფებს შევხვდეთ მწყობრში.*

**ირაკლი ხოშტარია** ("ავიამშენის" უკანახაზელი): *- ვარჯიშებზე ხუთი-ხუთზე სათამაშოდ 10 კაცი ვერ ვიკრიბებით. "აზოტთან" თამაშს ვაპირებ და შევხედავ, გაუძლებს თუ არა კოჭი დატვირთვას. დაჯერებით ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ "აზოტი" გაიმარჯვებს. ვეცდებით ჩვენი თამაში ვუჩვენოთ და ჩვენი წილი შანსი გამოვიყენოთ.*

**ვაჟა სიმონიშვილი**

## რაგბი

ინტერვიუ ილია ზედგინიძესთან

# ვინც არ უნდა დაგვაკლდეს, მაინც მოვიგებთ!



ილია ზედგინიძე

საქართველოს ნაკრებს ერთა თასზე მარტში ორი საკმაოდ რთული შეხვედრა აქვს. 17 მარტს ბორჯღალოსნები მადრიდში ესპანელებს ესტუმრებიან, კვირის თავზე კი თბილისში, ტრადიციულ მეტოქეს, რუსეთის ნაკრებს უმასპინძლებენ. ნაკრების წევრები ამ მატჩისთვის მზადებას წინდაწინვე იწყებენ თავიანთ კლუბებში, თუმცა, სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო შესაძლოა, მწვრთნელთა სამეულმა ოპტიმალური შემადგენლობა ვერ შეკრიბონ.

თამაშამდე საკმარისზე მეტი დროა და ნელ-ნელა ყველაფერი გაირკვევა, მანამდე კი საფრანგეთში ბორჯღალოსნების კაპიტანს ილია ზედგინიძეს ვესაუბრეთ.

**- თბილისში ჭორი გავრცელდა, ილია ზედგინიძეს საფრანგეთში რაღაც წოდება მიანიჭესო.**

- ეს, რომელიმე ჩვენი მორაგბის ხუმრობა იქნება. რა წოდება უნდა მოენიჭებინათ, რომელი საფრანგეთის განთავისუფლებისთვის მებრძოლი პარტიზანი მე ვარ. შესაძლოა, მხედველობაში ის აქვთ, რომ სარაგბო გაზეთი "მიდი ოლიმპიკი" ყოველ ტურში გამორჩეულ მორაგბეებს ვარსკვლავს ანიჭებს, მე ერთი ტურის წინ მერგო ეს პატივი. წინა ტურში კი "მიდი ოლიმპიკმა" გია ლაბაძე გამოარჩია.

**- 17 მარტს მადრიდში ესპანელებს ვხვდებით. გავრცელებული ინფორმაციით, ამ შეხვედრას ნაკრების კონსულტანტი და თქვენი კლუბის მწვრთნელი ანრი ბრონკანიც დაესწრება.**

- დიახ, ასეა. ის მთელი შემართებით ემზადება მადრიდში წამოსასვლელად. უნდა გენახათ, როგორ მოუთმენლად ელის, როდის ჩაებმება ნაკრების მწვრთნელებთან ერთად მუშაობაში. ძალიან მონდომებულია და ეს ცხადია, მახარებს.

**- ანრი ბრონკანთან თქვენს გარდა ბესიკ ხამაშურიძესა და მამუკა მაგრაქველიძეს უთამაშიათ. როგორ იხსენებს მათ ბრონკანი?**

- მამუკასთან მას დღემდე აქვს ურთიერთობა. მეგობრობენ. ცხადია, "ანტილოპაც" ახსოვს. ის "ოში", მაგრაქველიძეზე ერთი წლით ადრე თამაშობდა. ანრიზე მათ მხოლოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს. მეტიც, როდესაც მაგრაქველიძეს პრობლემები შეექმნა დოპინგთან დაკავშირებული ცნობილი სკანდალის გამო, ანრი ბრონკანი ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, ვინც მას გვერდით დაუდგა და დაეხმარა. ბრონკანმა "კირვანა" ვიქტორ ჰიუგოს "საბრალონის" გმირს, უსამართლოდ დაჩაგრულ ჟან ვალჟანსაც კი შეადარა.

**- ფრანგული სპორტული მედიის ცნობით, ანრი ბრონკანს პირველი დივიზიონის ორი კლუბი იწვევს სამუშაოდ.**

- მსგავსი ინფორმაციები ხშირად ვრცელდება ხოლმე. თუმცა, არ მგონია, ბრონკანმა "ოში" დატოვოს. ის 9 წელია ამ გუნდში მუშაობს - ფაქტობრივად, "ოში" და ბრონკანი, ეს ერთი და იგივეა.

**- სამაგიეროდ მისმა უახლოესმა მეგობარმა ერიკ კატინომ, რომელიც "ოიონაქსს" წვრთნის, ახლახან "ბურგუნთან" მოაწერა ხელი სამწლიან კონტრაქტს. როგორ გგონიათ, ამით ირაკლი გიორგაძესა და დავით ხინჩაგიშვილს რაიმე პრობლემები ხომ არ შეექმნებათ?**

- არა, რატომ? კატინო კარგად გვიცნობს ქართველ მორაგბეებს და საკმაოდ თბილი დამოკიდებულება აქვს ჩვენთან. შარშან, "ექსში" რომ ვთამაშობდი მისი გუნდის წინააღმდეგ მატჩის შემდეგ მოვიდა და მითხრა, კარგი მესამეხაზელი გყოლიათ, გიორგი ნემსაძე და რას მირჩევ, ღირს გუნდში რომ ავიყვანოო. ცხადია, დადებითი პასუხი მივეცი, მერე კიდევ რამდენჯერმე შემეხმიანა, მაგრამ, საბოლოოდ რატომ ვერ მოხვდა ნემსაძე "ოიონაქსში", არ ვიცი.

**- მარტში ზედიზედ ორი შეხვედრა გვაქვს ესპანეთთან და რუსეთთან. როგორ ფორმაში არიან ნაკრების წევრები და რამდენად შესაძლებელი იქნება ოპტიმალური შემადგენლობის თავმოყრა?**

- ახლა გახურებული სეზონია, თითქმის ყველა ჩვენიანი კარგ სათამაშო ფორმაშია. თუ ტრავმებმა არ დაგვრია ხელი, სავარაუდოდ, ყველა მწყობრში იქნება. თუმცა, გამორიცხული არაა, მაგალითად აქვსენტი გიორგაძე ორივე თამაშში დაგვაკლდეს. მაგრამ, ამას მნიშვნელობა არ აქვს, როგორი შემადგენლობაც არ უნდა შეიკრიბოს, ესპანეთსაც და მით უმეტეს, რუსეთს, თანაც თბილისში, აუცილებლად დავამარცხებთ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

# აზალაძემ ლიდერობა დაიბრუნა

პირველი ლიგის მეშვიდე ტურმა კვლავ დიდი "ძაბვის" ქვეშ ჩაიარა - პირველ ოთხ დაფაზე ლიდერები ისხდნენ და მომდევნო ოთხზე - მათი უშუალო კონკურენტები. ქართველ მოჭადრაკეებს, სამწუხაროდ, დიდი ბრძოლისუნარიანობით ვერ გამოვარჩევთ - არწაგების შიშით ფრთხილ თამაშს არჩევენ ხოლმე და ამიტომ უფრო ხშირი ყაიმებია. ჭკუას არავის ვარიგებთ, მაგრამ ასეთი ტაქტიკა საბოლოო ჯამში კარგ შედეგს არ იძლევა. ჩვევაშიც კი გადასდით და როცა უკვე საერთაშორისო ტურნირებზე გადამწყვეტი მომენტი უდგებათ, იქაც მსგავსად იქცევიან. ასეთი სურათი იყო გუშინდელ ტურამდე და ვიფიქრეთ, რომ ამჯერადაც ასე იქნებოდა, მაგრამ ჩვენდა გასაკვირად, ტური უცნაურად შედეგიანი გამოჩნდა, - ეტყობა ფინიშის მოახლოებამ და უმაღლესი ლიგის სულ ოთხმა საგზურმა სხვაგვარად შემართა მოჭადრაკეები. ღმერთმა ქნას, ასეთივე საინტერესო იყოს მერვე და მეცხრე ტურები.

უპირველესად, მოგახსენებთ, რომ რვა მოწინავე დაფაზე ექვსი პარტია დასრულდა შედეგიანად. ყაიმით ოთხმა დავითმა არუთინიან- მალალაშვილმა და ჯოჯუა- ზარქუამ ითამაშეს. საინტერესო ისიც არის, რომ ექვსი შედეგიანი პარტიიდან ხუთში წარმატებას შავებით მოთამაშე მოჭადრაკეებმა მიაღწიეს.

მეორეზე დაფაზე **გიგა ყუფარაძე შოთა აზალაძეს** ხვდებოდა თეთრებით. ფავორიტად აქ ვერავის მიიჩნევდი, თუმცა ალმავლობით მოთამაშე აზალაძემ ამჯერადაც შეძლო სათავისოდ შემოებრუნებინა თამაშის ჩარხი და აჯობა ყუფარაძეს. ქულის შემატებამ მისი მარაგი 5.5 გახადა, რაც კვლავ ერთხელ ერთპიროვნულად გასალიდერებლად საკმარისი გახდა. მდევრებმა ვერ იყოჩაღეს: არუთინიანი-მალალაშვილის ზავი გამცნეთ, მეხუთე 4.5 ქულიანმა **ლუკა პაიჭაძემ** შავებით წააგო **კონსტანტინე შანავასთან**, რომელსაც 4 ქულა ჰქონდა.

მიუხედავად აზალაძის გამოკვეთილი ლიდერობისა, დაძაბულობა ოდნავადაც არ შენელებულა - 5 ქულით ლიდერს 6 კაცი ჩამორჩება, 4. 5 კი - შვიდს აქვს. ჯერჯერობით საგზურის მოპოვების შანსი 4.5 ქულიანებსაც აქვთ.

დღეს, მერვე ტურის შემდეგ ნამდვილად შემცირდება საგზურის პრეტენდენტთა რიცხვი, თუმცა, შესაძლოა, ერთი ტურით ადრე ვერც ვერავინ გაინაღდოს საგზური. ცხადია, ყველაზე დიდი შანსი ისევ აზალაძეს აქვს, რომელსაც დღეს შავებით უწევს თამაში **პარმენ გალაზონიასთან**. პარმენიც კარგად ასპარეზობს ამ ტურნირში და თუკი მოიგებს, ბოლო ტურში ალბათ ყაიმიც მოაწყობს, თუმც აქაც ბევრი რამ არის დასათვლელი. ასეთივე სურათია სხვა დაფებზე - უკან დახევა და თუგინდ ყაიმზე თამაში არავის არგებს.

ცხრილის შუაწელშიც არის საინტერესო მდგომარეობა, თუმცა აქ არაფერი არ წყდება - ყველას თავისი ლოკალური მიზნები აქვს - ზოგი რეიტინგს უფრთხილდება, ზოგსაც დიდად არ ანაღვლებს და გართობისთვის თამაშობს, სხვები კი პრაქტიკას იძენენ. ამ უკანასკნელთა სიაში არიან ჭაბუკები და ქალები. ზოგიერთმა მათგანმა მეშვიდე ტურში დაასახული ამოცანა კარგად შეასრულა, ყველაზე კარგად კი **სალომე ხაჟომია** გაირჯა - შავებით მოუგო **ბაჩანა მორჩიაშვილს**, , რომელსაც რეიტინგში ლამის 300 პუნქტით ჩამორჩება. ძალიან გაიხარებდა გამარჯვებით 13 წლის **ზურაბ ჯავახაძეც**, რომელმაც თეთრებით ძველი თაობის გამორჩეულ მოჭადრაკეს, **იური ჩიქოვანს** აჯობა. მართალია ბატონი იური 70 წლისა გახლავთ, მაგრამ ჭადრაკს ძველებური ჟინით და საკმაოდ მაღალ დონეზე თამაშობს. ამჯერად ახალგზარდა ტალანტის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო.



ტურნირის ერთ-ერთი უხუცესი, იური ჩიქოვანი

**დღეს, მერვე ტურში: პარმენ გელაზონია (5) - შოთა აზალაძე (5.5), ბეგლარ ჯობავა (5) - დავით არუთინიანი (5), დავით მალალაშვილი (5) - კონსტანტინე შანავა (5), გიორგი მარგველაშვილი (5) - გიგა ყუფარაძე (4.5), მალხაზ სულაშვილი (4.5) - დავით ჯოჯუა (4.5), დავით ზარქუა (4.5) - ნინო ბაციაშვილი (4.5), ლუკა პაიჭაძე (4.5) - გაიოზ ნიგალიძე (4.5).**

**ზვიად შათირიშვილი**

## ტყვიის სროლა

# საფრანგეთში გერმანიიდან

გადაწყდა, რომ ტყვიის მსროლელები პნევმატური დამბაჩით სროლაში ევროპის პირველობაზე წასვლამდე მიუნხენში გაივლიან შეკრებას. შეგახსენებთ, რომ ჩვენებს იქ მასპინძლები საკუთარ ხარჯზე იწვევდნენ, ამათ კი მხოლოდ გზის ფული უნდა ეშოვათ. ეს ყოველმხრივ მისაღები ვარიანტი იყო, რადგან იქ ღია სასროლეთზე ივარჯიშებდნენ, შეეჩვეოდნენ ახალ ინვენტარს და რადგან კონტინენტის პირველობაც 12-18 მარტს ფრანგულ დევილში ტარდება, ტურნირზე პირდაპირ გერმანიიდან გაემგზავრებოდნენ. როგორც წესი, გზის ფულის შოვნა იმთავითვე პრობლემად ჩანდა, მაგრამ ქალთა და კაცთა გუნდების გაგზავნა საბოლოოდ გადაწყდა. მართალია, ჯერ მხოლოდ შეპირებაა დაფინანსებაზე, მაგრამ მსროლელთათვის ეს გამგზავრების ჩვეულებრივი რეჟიმია და მიეჩვივნენ კიდეც, ფული და ბილეთები ბოლო წამებზე რომ ჩნდება ხოლმე.

ევროპის პირველობაზე ქალთა ნაკრებში ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე, ნინო უჩაძე** და **თამილა ასათიანი** გამოვლენ, კაცებში - **სერგი ჩიტაიშვილი, ბესიკ სირაძე და ლევან ქადაგიძე**. მიუნხენში შეკრებაზეც ესენი წავლენ. რაც შეეხებათ ახალგაზრდებს, ევროპის პირველობაზე გოგონებში **თეონა იაშვილი** გამოვა, ჭაბუკებში - გიორგი **ბერიშვილი და ბექა გოგინაშვილი**.

ჩვენების გამოსვლის განრიგი ასეთია - 13 მარტს იაშვილი ისვრის, ბერიშვილი და გოგინაშვილი - მეორე დღეს. 15-ში სტარტზე კაცები დადგებიან, ქალები კი 17-ში გამოვლენ და ამით ჩემპიონატიც დამთავრდება.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ ვლადიმერ ახალკაცთან

# არავინ დაიჩაგრება, შანსი ყველას დარჩა!




**ვაგრძელებთ დისკუსიას ახლახან დასრულებულ მოკრივეთა ეროვნულ ჩემპიონატზე. როგორც უკვე გაცნობეთ, ტურნირი საკმაოდ კარგად ჩაივლიდა, რომ არა ბოლო დღეს მსაჯების მიერ დაშვებული შეცდომები. კერძოდ, კოტე კუპატაძე–ლევან ღვამიჩავასა (64 კგ) და დავით წიკლაური–თორნიკე ივლაშვილის (81 კგ) ფინალურ ორთაბრძოლებში.**

**წიკლაურისა და კუპატაძის კომენტარები უკვე გაგაცანით, ამჯერად კი, კრივის ფედერაციის ხელმძღვანელობის პოზიციით დავინტერესდით და ფედერაციის გენერალურ მდივან ვლადიმერ ახალკაცს შევეხმიანეთ.**

- ფინალებამდე რომ მსაჯობა მაქსიმალურად ობიექტური იყო, ამაში ალბათ ყველა დამეთანხმება. სამწუხაროდ, ბოლო დღეს, წიკლაურისა და კუპატაძის შეხვედრებში, მართლაც ბევრი კითხვის ნიშანი დაიბადა. მაპატიეთ, მაგრამ ახლა ამაზე კომენტარს მოვერიდები. უბრალოდ, მინდა, აღნიშნული შეხვედრების ვიდეოფირები ვნახო, ყველაფერი საფუძვლიანად გავარკვიო და ამის შემდეგ, უკვე ნამდვილად არ დაგზარდებით ჩემი პოზიციის დაპირებას.

დავით წიკლაურიც და კოტე კუპატაძეც კვლავ რჩებიან ეროვნული ნაკრების წევრებად. თავიდანვე ვამბობდით, რომ საქართველოს ჩემპიონატი მხოლოდ და მხოლოდ პირველი ნაბიჯი იქნებოდა იმ გუნდის დაკომპლექტებაში, რომელიც შემოდგომით, პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებს. იქამდე, არაერთი შეკრება თუ ტურნირი გვაქვს და ოპტიმალური შემადგენლობაც ნელ-ნელა ჩამოყალიბდება. გარწმუნებთ, არავინ დაიჩაგრება. კრივის ფედერაცია და ნაკრების თავკაცობა საკუთარი თავის მტრები ხომ არ ვართ, რომ ძლიერებს იგნორირება გავუკეთოთ და სუსტებს გავუხსნათ გზა ნაკრებში?

მოკლედ, ახლა საქართველოს ნაკრები ბორჯომში მიემგზავრება 2-კვირიან შეკრებაზე, სადაც საერთო ფიზიკური მომზადების კურსს გაივლის. იქ მხოლოდ საქართველოს 11 ჩემპიონი მიგვყავს. 12 მარტიდან კი გუნდი თბილისში, დკდ-ს დარბაზში საერთო ტექნიკურ სამზადისზე გადავა. თბილისში ნაკრებს აუცილებლად შეუერთდებიან სხვა მოკრივეებიც - მათ შორის წიკლაური და კუპატაძეც. გვექნება სპარინგებიც, 26 მარტს კი ბაქოს ტურნირში ჩავერთვებით, სადაც საქართველოს ჩემპიონების გარდა, წავლენ ნაკრების სხვა კანდიდატებიც.

**- ბაქოს ტურნირის გარდა, რომელ შეჯიბრებებში მიიღებთ მონაწილეობას?**

- ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არაფერია, მაგრამ მონახაზი უკვე გვაქვს. ბაქოს შემდეგ, ერთმანეთის მიყოლებით იმართება ორი ტურნირი - ჰელსინკიში 12-16 აპრილს და კიევში 15-22 აპრილს. აქედან, ერთ-ერთს ამოვირჩევთ. ამას გარდა, 8 მაისს იწყება პრალის საკმაოდ ძლიერი ტურნირი და იქ გამოსვლაც კარგი იქნებოდა. მოკლედ, ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული. შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად ბევრ ტურნირზე წავალთ.

**- უცხოური შეკრებები სად გექნებათ?**

- ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ერთობლივ შეკრებებს გავმართავთ აზერბაიჯანსა და ყაზახეთში ამ ქვეყნების ეროვნულ ნაკრებებთან. მსოფლიო ჩემპიონატზე კი ცოტა ადრე ჩავალთ და რუსებთან ერთად დავასრულებთ მოსამზადებელ ეტაპს. გვაქვს უკრაინული შეკრების ვარიანტიც ალუშტაში. ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება თარიღებთან დაკავშირებით.

აქვე, ერთ ცინცხალ ინფორმაციასაც გაგანდობთ, რომელიც ახლახან მივიღეთ. იტალიის კრივის ფედერაცია, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, 15-25 მარტს გვეპატიჟება იტალიის ნაკრებთან შეკრებაზე, საიდანაც ბაქოს ტურნირზე ერთად უნდა ჩავიდეთ. თუმცა, მერე ჩვენც მოგვიწევს მათი დაპატიჟება და ეს მაფიქრებს. იტალიელებს სხვანაირი დახვედრა უნდათ, რასაც სოლიდური თანხა სჭირდება და ვნახოთ...

**- ბაქოს ტურნირი აქამდე ანვარ ჩაუდრის სახელობის იყო, წლეულს კი "სილკ როუდის დიდი საერთაშორისო ტურნირი" დაერქვა. ეს შეჯიბრება პეკინის ოლიმპიადისთვისაც სალიცენზიო იქნება?**

- ანვარ ჩაუდრი, მოგეხსენებათ, კრივის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი იყო, რომელიც შარშან კუვუმ შეცვალა. შესაბამისად, ბაქოს ტურნირმაც შეიცვალა სახელი, მაგრამ პრესტიჟი ნამდვილად არ დაუკარგავს. წლეულს, მსოფლიო ჩემპიონატზე, ევროპისთვის გამოყოფილი 91 კვოტიდან, გათამაშდება, სავარაუდოდ, 47 ოლიმპიური ლიცენზია. გაისად კი, დანარჩენი საგზურების მფლობელები, გაისად, ორ სალიცენზიო ტურნირზე გამოვლინდებიან. თუკი მსოფლიო ჩემპიონატზე პეკინის საგზურს მეოთხედფინალისტები გაინაღდებენ (სხვათა შორის, ეს ჩვენი იდეა იყო), სალიცენზიო ტურნირებზე მხოლოდ ფინალისტებს ერგებათ ამგვარი პატივი. საგაისო ევროპის ჩემპიონატზე კი ლიცენზიები აღარ გათამაშდება. რაც შეეხება ამ ორი ტურნირის მასპინძლებს, ამის ყველაზე რეალური კანდიდატები ბაქოსა და ბულგარეთის ტურნირებია. წესით, აზერბაიჯანელებმაც და ბულგარელებმაც უნდა მიაღწიონ საწადელს.

**- მსოფლიო ჩემპიონატის მოსკოვში ჩატარება, ახლახან გამართულ აიბა-ს აღმასკომის სხდომაზე, საეჭვო გამხდარა საერთაშორისო ფედერაციასა და ევროპის ფედერაციებს შორის დაპირისპირების გამო. რა მოხდა იმ სხდომაზე?**

- აქ განხეთქილების ვაშლი აღმოჩნდა აიბა-ს გენერალურ მდივნად არჩეული თურქი დოგანელი, რომელიც საკმაოდ ოდიოზური ფიგურაა. მის სახელს უკავშირდება უამრავი მაქინაცია. ამ კაცის ძალისხმევით, კრივი დიდ ბაზრად გადაიქცა, სადაც აღებ-მიცემობა, მსაჯების მოქრთამვა და ასეთი სიბინძურეები ჩვეული მოვლენა იყო. ამას ევროპის ფედერაცია ეწინააღმდეგება, რომლის პრეზიდენტი ედუარდ ჰუსაინოვი არ მალავდა, რომ დოგანელის კანდიდატურის წინააღმდეგი იყო. თურქმა კი აქეთ დაუპირა "გაჩალიჩება" და კონგრესზე სულ ტერორისტი ეძახა. საქმე ის არის, რომ ჩეჩნეთში მართლაც ყოფილა ვინმე ტერორისტი ედუარდ ჰუსაინოვი. მოკლედ, კუ ვუ შეცდომაში შეიყვანეს და ჰუსაინოვს დარბაზის დატოვება აიძულეს, მსოფლიო ჩემპიონატის მოსკოვში ჩატარება კი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს. რა თქმა უნდა, ჰუსაინივი ცილისწამებას არ შეეგუა, საქმის კურსში ჩააყენა მთელი რუსეთის სპორტისა თუ უშიშროების მაღალჩინოსნები და ყველაფერი გაირკვა. შესაბამისად, ჰუსაინოვს ბოდიშიც მოუხადეს და დოგანელიც გადააყენეს თანამდებობიდან.

ჰუსაინოვი ამით არ დაკმაყოფილდა და ვა-ბანკზე წავიდა. მან იქვე წამოაყენა წინადადება, რომ ყოველგვარი კითხვის ნიშნის მოსახსნელად, მსოფლიო ჩემპიონატის მოსკოვში ჩატარება-არჩატარებისთვის კენჭი ეყარათ. კუ ვუ სიხარულით დათანხმდა, რადგან აზიურ ვარიანტს ემხრობოდა, მაგრამ ხმათა უმრავლესობით, კვლავ რუსეთმა გაიმარჯვა...

**- საქართველოში საერთაშორისო ტურნირის ჩატარებას აპირებდით. რა სტადიაშია ეს საკითხი?**

- იდეა ძალაშია და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ამ შემოდგომითვე ჩავუყაროთ საფუძველი თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს. თანაც, ეს იქნება არა უბრალო, არამედ საკმაოდ მაღალი დონის შეჯიბრება. იმასაც გაგიმხელთ, რომ გვაქვს საკმაოდ დიდ კავშირები უცხოელებთან და მათ შორის კუბელებთან. ჰოდა, გვინდა, კუბაც მოვიწვიოთ. როგორც იცით, ჰუსაინოვმა ორი სუპერთანამედროვე ტაბლო გვაჩუქა, რომლითაც ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები ტარდება. მოკლედ, ტურნირისთვის ტაბლოები გვაქვს და თუკი სათანადო სახსრებს გამოვნახავთ, არც კარგი დარბაზის თუ სასტუმროების მოძებნა და სხვა ორგანიზაციული საკითხის მოგვარება გაგვიჭირდება.

**კობა ხატისაშვილი**

## სად არის გულორდავა?

საქართველოს ჩემპიონატზე არ უასპარეზია მძიმე წონაში შარშანდელ ჩემპიონს, **იუზა გულორდავას**. როდესაც ამის მიზეზით დავინტერესდით, მხოლოდ იმის გაგება მოვახერხეთ, რომ გულორდავა საბერძნეთის მოქალაქეობის მიღებასა და ელადელთა სახელით გამოსვლას აპირებდა. გუშინ დავუკავშირდით გულორდავას მწვრთნელ **ტარიელ ვერულაშვილს**, რომელმაც მდგომარეობას ნათელი მოჰფინა.

- საქართველოს ჩემპიონატის წინ, საქართველოს კრივის ფედერაციამ დაგეგმა ეროვნული ნაკრების შეკრება. მიუხედავად იმისა, რომ გულორდავა შარშანდელი საქართველოს ჩემპიონი და ნაკრების წევრი იყო, შეკრებაზე წამსვლელთა სიაში ვერ მოხვდა. ამასთან, ისიც გაიგო, რომ ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის, ავთანდილ შოშიაშვილის პირადი შეგირდი ბექა ლობჟანიძე 91 კილოგრამიდან მძიმეში გადავიდა. ამ ყველაფერმა გულორდავას პირდაპირ თუ ირიბად მიანიშნა, რომ საქართველოს ნაკრებში მისი ადგილი არ იყო და გულგატეხილი ეროვნულ ჩემპიონატზე აღარ გამოვიდა. იუზა საკმაოდ ძლიერი მოკრივეა და თუკი საქართველოში არ სჭირდებათ, თავის გზას აუცილებლად იპოვნის. მას საბერძნეთში იწვევენ და ალბათ წავა კიდეც. სხვათა შორის, ეს დღეები საერთოდ აღარ ვარჯიშობს და ვერც ვუკავშირდებით.

ოლიმპიზმი ხელოვნებაში

# გზა, რომელიც სეოკ–ის კონკურსში გამარჯვებით დაიწყო




**ავთანდილ მინდიაშვილი** 1985 წელს გორში დაიბადა, იქვე დაამთავრა მე-3 საშუალო სკოლა. ამჟამად, სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტია. სამი წლიდან ძერწავს. თავიდან, პლასტელინით ქმნიდა ცხოველების ფიგურებს, თავის დეიდაშვილს ეჯიბრებოდა. დეიდაშვილისთვის ეს საქმე ბავშვობის გატაცებად დარჩა, ავთომ კი ცხოვრების მიზნად და ძირითად პროფესიად გაიხადა. თვითნასწავლმა მოქანდაკემ საქმის პროფესიული შესწავლა მხოლოდ სამხატვრო აკადემიაში ჩაბარების შემდეგ დაიწყო.

10 წლიდან სხვადასხვა საყმაწვილო კონკურსში მონაწილეობდა. რამდენიმე წლის წინათ, სპორტის თემასთან დაკავშირებით, ოლიმპიურმა კომიტეტმა ელენე ახვლედიანის სახელობის გალერეაში კონკურსი ჩაატარა, რომელშიც ავთომ გაიმარჯვა. პირველი წარმატება გიორგი კანდელაკისა და ბადროს მტყორცნელის ქანდაკებებმა მოუტანა. ავთომ ამ კონკურსზე მომდევნო წელსაც გაიმარჯვა.

ამჯერად, მისი წარმატება სხვადასხვა ცნობილი ფეხბურთელების ფიგურებმა განაპირობა. ფეხბურთზე თავადაც დადიოდა ბავშვობაში, მაგრამ როგორც ამბობს, ხელებს უკეთ ხმარობს, ვიდრე ფეხებს და ამიტომაც წარმართა თავისი ცხოვრება იმ მიმართულებით, სადაც ყველაფერი მარჯვე ხელებსა და ხელოვნებაზეა დამოკიდებული.

2006 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატამდე ორი თვით ადრე, ავთომ ებრაელი ბიზნესმენისგან მიიღო შეკვეთა, ფეხბურთელების ფიგურებზე, მაგრამ უარი თქვა, რადგან ერთი თვის ვადაში 30 000 ცალი უნდა დაემზადებინა, რაც საქართველოში, სპეციალური დანადგარების არარსებობის გამო, დღესდღეობით, პრაქტიკულად შეუძლებელია. ის ასევე მონაწილეობდა "შერატონ მეტეხი პალასში" გამართულ კონკურსში - "გადავარჩინოთ ბავშვები ნაღმებისგან", სადაც მისმა ნამუშევარმა გაიმარჯვა. მისი კომპოზიციის შინაარსი შემდეგი იყო: ინვალიდი ბავშვი ზის ეტლში და უყურებს, თუ როგორ თამაშობს მისი თანატოლი ბიჭი ფეხბურთს...

ამჟამად, ის მუშაობას იწყებს სადიპლომო ნამუშევარზე. აპირებს, ცხენიანი მეომარი გამოაქანდაკოს...

**ნინო რამიშვილი**

***რედაქციისაგან:** ავთანდილ მინდიაშვილი რედაქციაში თავისი ნამუშევრებით გვეწვია. ესაა ცნობილი ფეხბურთელების - კალაძის, რაულის, კანის, ბალაკის, ანრის, რონალდინიოს, ტრეზეგეს, ბექჰემისა და სხვათა ფიგურები. ეს ფოტოც, რომელზეც ავტორი თავის ნამუშევრებთან ერთადაა აღბეჭდილი, სწორედ "ლელოში" სტუმრობის დროსაა გადაღებული.*

## სტარტზეა მივიწყებული მხიარული სტარტები

საქართველოს სპორტულ ფედერაციათა რიცხვი დიდი ხანია არაა, რაც კიდევ ერთით გაიზარდა - შეიქმნა "საქართველოს ბავშვთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაცია" (პრეზიდენტი **ლევან კიკალიშვილი**). ახალშექმნილი ფედერაცია მუშაობას შეუდგა "მხიარული სტარტების" პროექტის წარდგენით, რომელიც გუშინ გაიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. ეს სამინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, თბილისის საკრებულო და ტელეკომპანია "რუსთავი-2" პროექტის მხარდამჭერები არიან.

"მხიარული სტარტები" საბავშვო სპორტულ-გამაჯანსაღებელი შეჯიბრებაა და მოიცავს საქართველოს საჯარო სკოლების 9-16 წლის ასაკის მოსწავლეთა კონტინგენტს. შეჯიბრებები ჩატარდება ოლიმპიური სისტემით. სკოლის ნაკრები შიდასასკოლო სტარტებში შეირჩევა.

"ამ სატელევიზიო პროექტში, რომელიც 1 აპრილიდან დაიწყება, თბილისში 34 სკოლის რჩეული ნაკრები იასპარეზებს. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სტარტებმა მართლაც მხიარულად და საინტერესოდ ჩაიაროს", - გვითხრა პროექტის ავტორმა ახალშექმნილი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, "რუსთავი 2-ის" ღამის შოუს მუსიკალურ-მხატვრულმა ხელმძღვანელმა **დავით ილურიძემ**.

**ომარ ჩხაიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# სამი ქულა მსაჯმა არ ჩათვალა

... ძირითადი დროის დასრულებამდე 0.7 წამია დარჩენილი. "საკრამენტო" "ვაშინგტონთან" სამ ქულას აგებს. სტუმრებს წუთშესვენება აღარ დარჩათ, რის გამოც "კინგზის" ცენტრ **ბრედ მილერს** ბურთი პირითი ხაზიდან შეაქვს თამაშში. ბრედმა უზუსტესი გადაცემა გაუკეთა მოედნის იქითა ნახევარზე მყოფ **ჯონ სალმონს**, რომელმაც საფინალო სირენასთან ერთად ბურთი "უიზარდსის" კალათში ჩაასრიალა. დამატებითი დრო!

მაშინ, როდესაც მთელი "საკრამენტო" სალმონსს წამოაჯდა, "ვაშინგტონის" მთავარი მწვრთნელი **ედი ჯორდანი** მსაჯთა მაგიდასთან მიიჭრა და ბოლო ტყორცნის ვიდეოჩანაწერი მოითხოვა.

მსაჯები სამი წუთის განმავლობაში მონიტორს თვალს არ აცილებენ, რის მერეც დიქტორი დედაქალაქელთა ფანების გასახარად, აცხადებს - სამი ქულა არ ითვლება, მატჩი დასრულდა "ვაშინგტონის" გამარჯვებით 109:106.

ცხადია, "საკრამენტოს" მოთამაშეები ამ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, მაგრამ მათაც მშვენივრად იციან, რომ ამ ლიგაში მსაჯის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არასოდეს იცვლება. დიახ, შეიძლება, რეფერი გააკრიტიკო, რაიმეში დაადანაშაულო, მაგრამ მაქსიმუმ, რასაც მოიგებ, სოლიდურზე სოლიდური სასჯელი იქნება. ლიგის ბოსს, **დევიდ სტერნს** მსაჯები ხელშეუხებლებად მიაჩნია.

ეს იყო ამ რეგულარულის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული მატჩი.

ჯერაც **ანტუან ჯეიმისონის** გარეშე მყოფმა "ვაშინგტონმა" ბოლო მეოთხედში 17-ქულიანი უპირატესობა გაფლანგა, ბოლო ორ წუთში კი ლიდერი 4-ჯერ შეიცვალა.

ეს იყო ორი სხვადასხვა ნახევრისგან შემდგარი მატჩი. პირველ ორ მეოთხედში სოლირებდნენ **გილბერტ არენასი** და **რონ არტესტი**, დიდი შესვენების მერე კი, მასპინძელთა ტოპ-მექულე **კეირონ ბატლერი** გახდა, სტუმართა რიგებში კი უკანასკნელ 17 წუთში 22 ქულით თავი **მაიკ ბიბიმ** გამოიჩინა.

არტესტი თავიდან შეუჩერებელი იყო და როდესაც "კინგზის" სამწვრთნელო შტაბმა რონი დიდი შესვენების გამოცხადებამდე რამდენიმე წამით ადრე შეცვალა, არტესტის ანგარიშზე 21 ქულა იყო.

*"მგონი, თამაში თავიდანვე წამივიდა, რის გამოც ჩემთვის გაუგებარია, თუ რატომ გამიკეთეს მწვრთნელებმა იგნორირება მეორე ნახევარში"*, - ამბობდა ნამატჩევს არტესტი.

არენასმა კი ზედმეტად აქტიურად ითამაშა. მისი ფენომენალური პოზიტიური სტატისტიკის გარდა, გილბერტის მონაგრის გასწვრივ შეცდომების გრაფაში ციფრი 9 ეწერა.

*"იმდენად მინდოდა ამ მატჩის მოგება, რომ რამდენიმე ეპიზოდში გაუმართლებელი შეცდომა დავუშვი"*, - იმართლებდა თავს არენასი, რომელმაც 17 საჯარიმო ტყორცნიდან 16 ზუსტად შეასრულა.

ბიბიმ კი მინიმუმ ამ სეზონის ბოლომდე შეინარჩუნა ადგილი "საკრამენტოში", რაკილა სატრანსფერო დედლაინზე მისი აყვანა არც ერთმა გუნდმა არ მოისურვა. ძვირადღირებული, თუმცა ინდივიდუალისტი და ძალიან სუსტი ფლეიმეიქერი მაიკი რეგულარულს კალიფორნიაში ჩაამთავრებს, რის მერეც 100-დან 90 პროცენტით ბიბი კარიერას სხვაგან გააგრძელებს. გუშინვე დაირხა ხმები იმის შესახებ, რომ "დენვერში" **ალენ აივერსონსა** და **კარმელო ენტონის** მომავალ სეზონში ბიბის შეუამხანაგებენ. ვნახოთ.

■ ■ ■

არ შედგა აფიშირებული სუპერმატჩი "დალასსა" და "მაიამის" შორის. შარშანდელი სუპერფინალის მონაწილეთა გუშინდელი დაპირისპირება ტეხასელთა კოლოსალური უპირატესობით დაიწყო და "მაიამის" გვიანი აფეთქებით დასრულდა. თუმცაღა, მასპინძლებს ბოლო მეოთხედში ერთი ქულაც რომ არ გაეკეთებინათ, მატჩი, იქნებ, მაინც მათ სასარგებლოდ დასრულებულიყო.

ფლორიდელებს არ ჰყოლიათ და ალბათ, სეზონის ბოლომდე არც ეყოლებათ **დუეინ უეიდი**.

რას ნიშნავს ეს? იმას, რომ "მაიამის" ფლეი ოფში გასასვლელად **შაკის** ფენომენალური თამაში და რამდენიმე მივიწყებული მილიონერი ვარსკვლავის, კერძოდ კი, **ანტუან უოკერისა** და **გარი პეიტონის** გამოფხიზლება დასჭირდებათ. უნდა გააუმჯობესოს თამაშის ხარისხი შარშან საშუალოდ ორმაგი დუბლის გამომჭედავმა, წელს კი რეგრესირებადმა ადონის ჰასლემმაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოქმედი ჩემპიონი ფლეი ოფშიც კი ვერ გავა.

რაც შეეხება "დალასს", **ნოვიცკიმ** (17-დან 11 ზუსტი სროლა) და კომპანიამ ზედიზედ მეათე მატჩი მოიგეს. "დალასი" ლიგის ისტორიაში გახდა მეოთხე გუნდი, რომელმაც ერთსა და იმავე რეგულარულში ათი და მეტი მატჩისგან შემდგარი ოთხი წარმატებული სერია გამოაცხო.

**ზურაბ თალაკვაძე**



დესაგანა დიოპმა (მარცხნივ) ადონის ჰასლემს არ ჩააგდებინა

| ვაშინგტონი–საკრამენტო | 109:106 |
|---|---|

33:29, 24:20, 28:24, 24:33

**ვაშინგტონი:** არენასი (43 ქ. 7 მ. 7 პ. 3 ჩ), კ. ბატლერი (25 ქ. 5 პ. 5 ჩ. 4 მ), სტივენსონი (21 ქ. 6 მ. 4 ჩ).

**საკრამენტო:** არტესტი (32 ქ. 6 მ. 3 პ), ბიბი (30 ქ. 3 მ. 3 პ. 3 ჩ), კევინ მარტინი (14 ქ. 6 პ. 5 მ. 3 ჩ), ბ. მილერი (8 ქ. 13 მ. 4 პ. 2 დ).

| კლივლენდი–ჩიკაგო | 78:84 |
|---|---|

22:22, 9:21, 31:21, 16:20

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (29 ქ. 7 მ. 3 ჩ), ჰიუზი (20 ქ. 8 მ. 3 პ).

**ჩიკაგო:** დენგი (18 ქ. 5 მ), გორდონი (16 ქ. 7 მ. 6 პ), ბ. უოლასი (14 ქ. 19 მ. 7 დ. 5 პ. 2 ჩ), ჰაინრიხი (11 ქ. 4 მ. 4 პ).

| დალასი–მაიამი | 112:100 |
|---|---|

26:21, 39:21, 28:21, 19:37

**დალასი:** ნოვიცკი (31 ქ. 11 მ. 6 პ. 2 დ), ტერი (21 ქ. 5 მ. 4 პ), სტექჰაუზი (18 ქ), დ. ჰარისი (17 ქ. 5 პ).

**მაიამი:** შ. ონილი (17 ქ. 8 მ), პოუსი (17 ქ), ჯეისონ უილიამსი (13 ქ. 4 პ), დ. რაიტი (13 ქ), ჰასლემი (9 ქ. 6 მ).



უეიდი მოედნიდან გაყავთ

ტრავმა

# რას აირჩევს დუეინ უეიდი?

ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება "მაიამი ჰიტის" ლიდერის - **დუეინ უეიდის** ბედი. როგორც იცით, ამ კალათბურთელმა "ჰიუსტონ როკეტსთან" მატჩში მხარი ამოიგდო და თამაშის დასრულება ვერ მოახერხა.

როგორც საექიმო გამოკვლევამ აჩვენა, უეიდს სამკურნალოდ ქირურგიული ჩარევა სჭირდება, მაგრამ ამ შემთხვევაში, მას წლევანდელ სეზონთან დამშვიდობება მოუწევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "მაიამი" ვერ შეძლებს ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებას. არსებობს მეორე ვარიანტიც - დუეინი გააგრძელებს თამაშს, ოღონდ ეს გარკვეულ რისკთან იქნება დაკავშირებული.

ასე რომ, შარშანდელი ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშე რთული არჩევანის წინაშე დგას. აი, რა წერია "მაიამი ჰიტის" მიერ გავრცელებულ ოფიციალურ პრეს-რელიზში: *"კალათბურთელი საბოლოო არჩევანს ოჯახთან, კლუბის ხელმძღვანელობასა და მწვრთნელებთან კონსულტაციის შემდეგ მიიღებს"*.

ტრანსფერების ბოლო დღე

# სენსაციის გარეშე

გუშინ, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ამოიწურა ტრანსფერების განხორციელების ვადა. ბოლო დღეს მოსალოდნელი ხმაურიანი ტრეიდები არ შედგა. ამერიკული პრესა ვარაუდობდა, რომ კლუბებს შეიცვლიდნენ **ჯეისონ კიდი, ვინს კარტერი, პაუ გასოლი** და **მაიკ ბიბი**, მაგრამ საბოლოოდ, მათი ტრანსფერები არ განხორციელდა.

დედლაინამდე რამდენიმე საათით ადრე, მხოლოდ სამი უმნიშვნელო ტრეიდი შედგა.

ახალი თანაგუნდელი ეყოლება **ზაზა ფაჩულიას**. "დალასიდან" "ატლანტაში" გადავიდა 32 წლის მცველი **ენტონი ჯონსონი**. მის სანაცვლოდ, "მავერიქსმა" 2007 წლის დრაფტის მეორე რაუნდში მოთამაშის არჩევის უფლება მიიღო.

ენტონი ჯონსონმა ამ სეზონში 40 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. მისი საშუალო მაჩვენებლებია - 3.8 ქულა და 2 შედეგიანი პასი.

თითო-თითო მოთამაშე გაუცვალეს ერთმანეს "პორტლენდმა" და"ტორონტომ". ამ უკანასკნელმა შემადგენლობა მცველ **ხუან დიქსონით** შეავსო, თრეილ ბლეიზერსში" კი, იგივე ამპლუის მქონე **ფრედ ჯონსი** გადავიდა. ორივე კალათბურთელს NBA-ში 5-წლიანი კარიერა უმაგრებს ზურგს. მათი სტატისტიკური მაჩვენებლებიც დაახლოებით თანაბარია: დიქსონი საშუალოდ მატჩში 8.9 ქულას აგროვებს, ჯონსი - 7.6 ქულას.

დაბოლოს, "იუტა ჯაზმა" "ფილადელფიას" სათადარიგო ფორვარდი **ალან ჰენდერსონი** გადაიბირა. 35 წლის კალათბურთელში, რომელიც ამ სეზონში საშუალოდ 3.5 ქულასა და 3.1 მოხსნას აკეთებს, "სიქსერზმა" მომავალი დრაფტის მეორე რაუნდში სასურველი მოთამაშის არჩევის უფლება დაიბევა.

სამწუხარო ამბავი



დენის ჯონსონი

# NBA-მ ლეგენდა დაკარგა

სამწუხარო ცნობა გავრცელდა გუშინ ოკეანისგაღმეთიდან. გულის შეტევით, 52 წლის ასაკში გარდაიცვალა NBA-ის ყოფილი ვარსკვლავი - **დენის ჯონსონი**.

ამ მცველს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 14 სეზონი ჰქონდა გატარებული და კარიერა 1989-90 წლების სეზონში დაასრულა. ჯონსონის წარმატებები, ძირითადად "ბოსტონ სელტიქსის" სახელს უკავშირდება, რომელთან ერთადაც ის ორჯერ გახდა NBA-ის ჩემპიონი (1984, 86). თუმცა, ერთხელ ჯონსონმა საჩემპიონო ბეჭედი 1979 წელს მიიღო, როცა "სიეტლ სუპერსონიქსში" თამაშობდა. სხვათა შორის, მაშინ დენისი ფინალური სერიის MVP-იც გახდა.

დენის ჯონსონმა ხუთჯერ ითამაშა "ყველა ვარსკვლავის მატჩში". ის ლიგის საუკეთესო მცველებს შორის შედიოდა. ერთხელ მოხვდა სეზონის პირველ სიმბოლურ ნაკრებში, ხოლო ექვსჯერ - ლიგის საუკეთესო დამცველთა ხუთეულში.

სულ ჯონსონის კარიერული მონაგარი 14.1 ქულასა და 5.0 შედეგიან პასს შეადგენს. თავის დროზე, NBA-ის ისტორიაში ის გახდა მე-11 მოთამაშე, რომელმაც ერთდროულად 15 ათას ქულასა და 5 ათას შედეგიან გადაცემას მოუყარა თავი.

*"დენისი უდიდესი მოთამაშე და ერთ-ერთი საუკეთესო თანაგუნდელი იყო. ის გახლდათ მისაბაძი პიროვნება ახალგაზრდებისთვის"*, - განაცხადა "ბოსტონ სელტიქსის" ლეგენდამ - **ლარი ბერდმა**.

ბოლო პერიოდში დენის ჯონსონი მწვრთნელად მუშაობდა - ის საკალათბურთო კლუბ "ოსტინ ტოროსს" ავარჯიშებდა.

ევროლიგა. TOP 16. II ტური

**D ჯგუფი**

| პო ორტეზი–ტაუ | 89:99 |
|---|---|

19:29, 17:30, 22:16, 31:24

**პო-ორტეზი:** ჰარისონი (22 ქ. 4 მ. 2 პ), მაილზი (17 ქ. 3 ჩ), მ. რაიტი (15 ქ. 4 მ), რ. გრირი (14 ქ).

**ტაუ:** სკოლა (23 ქ. 8 მ. 5 პ), რაკოჩევიჩი (18 ქ), ფ. ჰაუსი (17 ქ. 10 მ. 3 ჩ), ერდოგანი (15 ქ).

| რომა–მაკაბი | 69:71 |
|---|---|

16:16, 12:19, 17:10, 24:26

**რომა:** ჩეტმენი (19 ქ. 6 მ. 3 ჩ), დ. ჰოკინსი (18 ქ. 7 მ), ბოდიროგა (10 ქ. 3 მ. 3 ჩ).

**მაკაბი:** არნოლდი (17 ქ. 12 მ), ბინუმი (17 ქ. 5 პ), ვუიჩიჩი (14 ქ. 4 მ).

| | მ/წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. ტაუ | 2-0 | +21 |
| 2. რომა | 1-1 | +8 |
| 3. მაკაბი | 1-1 | -9 |
| 4. პო ორტეზი | 0-2 | -20 |

**E ჯგუფი**

| ცსკა–პარტიზანი | 67:44 |
|---|---|

21:14, 16:13, 13:8, 17:9

**ცსკა:** სმოდიში (11 ქ. 3 მ), ტორესი (11 ქ), პონკრაშოვი (10 ქ).

**პარტიზანი:** კ. პეროვიჩი (10 ქ. 4 მ), პ. დრობნიაკი (8 ქ. 3 მ).

| ხუვენტუდი–ოლიმპიაკოსი | 58:56 |
|---|---|

20:19, 11:10, 11:8, 16:19

**ხუვენტუდი:** რ. ფერნანდესი (15 ქ. 4 მ. 2 დ), გეინსი (8 ქ. 12 მ. 3 ჩ).

**ოლიმპიაკოსი:** ჯ. პენი (16 ქ. 6 მ. 3 ჩ), აკერი (11 ქ. 4 მ), ჟიჟიჩი (10 ქ. 9 მ. 2 ჩ), ჰოსკინი (10 ქ. 13 მ. 2 ჩ).

| | მ/წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. ცსკა | 2-0 | +35 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 1-1 | +6 |
| 3. ხუვენტუდი | 1-1 | -10 |
| 4. პარტიზანი | 0-2 | -31 |

**F ჯგუფი**

| პანათინაიკ–ბარსელონა | 102:82 |
|---|---|

32:15, 19:16, 23:27, 28:24

**პანათინაიკოსი:** ბეჩიროვიჩი (24 ქ. 5 პ), დიამანტიდისი (17 ქ. 7 პ. 4 მ. 4 ჩ), ტომაშევიჩი (13 ქ. 11 მ. 5 პ), ბატისტე (11 ქ. 4 მ), შიშკაუსკასი (11 ქ), ჰაცივრეტასი (11 ქ).

**ბარსელონა:** ნავარო (21 ქ. 9 პ. 3 მ), ტრიასი (16 ქ. 7 პ. 2 დ), კაკიუზისი (!3 ქ. 4 მ), გრიმაუ (11 ქ).

| ეფესი–პროკომი | 67:71 (ო) |
|---|---|

16:11, 10:22, 13:17, 22:11, 6:10

**ეფეს პილზენი:** ნიკოლასი (18 ქ. 3 მ), ჰეისლიპი (12 ქ. 10 მ), გონლუმი (8 ქ. 10 მ).

**პროკომი:** რ. ეტკინსი (16 ქ), დილევიჩი (15 ქ. 7 მ), ბეშოქი (14 ქ. 6 მ), მ. ანდერსენი (11 ქ. 3 ჩ).

| | მ/წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი | 2:0 | +47 |
| 2. ბარსელონა | 1-1 | -1 |
| 3. პროკომი | 1-1 | -15 |
| 4. ეფესი | 0-2 | -31 |

**G ჯგუფი**

| ბენეტონი–დინამო | 74:55 |
|---|---|

25:9, 17:18, 17:14, 15:14

**ბენეტონი:** შუმპერტი (15 ქ. 6 მ. 2 ჩ), ზისისი (14 ქ), გორე (9 ქ. 7 მ).

**დინამო:** პაპადოპულოსი (17 ქ. 8 მ. 2 დ), ბ. პოპოვიჩი (17 ქ. 6 მ. 3 ჩ), ფოცისი (8 ქ. 8 მ).

| უნიკახა–არისი | 76:74 |
|---|---|

21:17, 13:16, 21:17, 21:24

**უნიკახა:** ვასილიადისი (16 ქ. 7 მ), ბ. როდრიგესი (15 ქ), სანტიაგო (9 ქ. 4 მ. 3 პ).

**არისი:** სკეილსი (15 ქ. 4 მ. 4 პ. 2 ჩ), მ. უილკინსონი (15 ქ. 5 მ. 3 ჩ), მასეი (15 ქ. 8 მ. 4 ჩ), ცალდარისი (11 ქ).

| | მ/წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. უნიკახა | 2-0 | +16 |
| 2. ბენეტონი | 1-1 | +5 |
| 3. დინამო | 1-1 | -7 |
| 4. არისი | 0-2 | -14 |

## ბარის თხილამურები

მსოფლიოს ჩემპიონატი

# სანტიმეტრების წყალობით მოგებული ოქრო

იაპონიის საპოროში გრძელდება მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომლის მეორე დღესაც მედლების სამი კომპლექტი გათამაშდა. მათგან ორი ბარის თხილამურობაში, სადაც ორივე სქესში გუნდური სპრინტის რბოლები ჩატარდა. მესამე კომპლექტი კი ჩრდილოური კომბინაციისა იყო. ამ სამიდან ორში ოქროს მედლებს ფინელი სპორტსმენები დაეუფლნენ, ერთში კი - იტალიელები.

აპენინელებმა კაცების გუნდურ სპრინტში იპირველეს. **კრისტიანო ძორძიმ** და **რენატო პაზინიმ** ფოტოფინიშის წყალობით აჯობეს რუსებს. ხელი მოეცარათ მოქმედ ჩემპიონ ნორვეგიელებს. მათი ლიდერი **ტურ ანდრე ჰეტლანდი** დალმართში დაეცა და მიუხედავად იმისა, რომ მისმა თანაგუნდელმა **პეტერ ნორთუგმა** ყველაფერი იღონა, ვიკინგებმა მოწინავე სამეულში ვეღარ შეაღწიეს.

კარგა ხანს, ბრინჯაოს მოპოვების რეალური შანსი ყაზახებს ჰქონდათ, მაგრამ ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ჰეტლანდი წაიქცა, იგივე ინციდენტი **ევგენი კოშევოისაც** შეემთხვა. შედეგად, ყაზახებმა მერვე ადგილი დაიკავეს.

აღსანიშნავია, რომ ფინიშზე პირველ ხუთ ადგილზე გასული გუნდები ოდენ წამმა განასხვავა. ფინიშის სწორზე პირველი ძორძი გავიდა. თითქოს, მის ლიდერობას საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ რუსმა **ვასილი როჩევმა** თავგამოდებით შეუტია და ფინიში ათი მეტრით იქით რომ ყოფილიყო, ალბათ დაწინაურებასაც შეძლებდა. მაგრამ საბოლოოდ, მან იტალიელთან რამდენიმე სანტიმეტრი წააგო.

ქალებში პირველობა არავის დაუთმეს ფინელებმა. მსოფლიო თასის კლასიფიკაციის ლიდერმა **ვირპი კუიტუნენმა** დისტანციის ბოლო მონაკვეთზე მაღალი სიჩქარე აკრიფა და იოლად აჯობა უახლოეს მდევარ გერმანიას. ბრინჯაოს მედლები კი ნორვეგიელებმა მოიპოვეს.

შუა გზაზე პირველ ხუთეულს მხოლოდ 1.7 წამი აშორებდა, მაგრამ შემდეგ ფინელებმა და გერმანელებმა ტემპი გაზარდეს და დანარჩენები კარგა შორს მოიტოვეს. ბოლო სწორზე კუიტუნენმა იოლად ჩამოიტოვა გერმანელი **კლაუდია კიუნცელ-ნისტადი** და ფინიშთანაც პირველი მიიჭრა. ამგვარად, ტურინში მოპოვებულ გუნდურ ბრინჯაოს მან საპოროში მოპოვებული გუნდური ოქრო დაურთო.

კიდევ ერთი მედლის მოპოვების შანსი ჰქონდა სლოვენიელ **პეტრა მაიდიჩს**, მაგრამ მესამე მუხლზე მისი თანაგუნდელი **ვესნა ფაბიანი** დაეცა, რის გამოც სლოვენიელებმა მეცხრე ადგილი დაიკავეს.

წინა ჩემპიონატზე მოპოვებული ტიტულის დასაცავად იბრძოდნენ ნორვეგიელები, რომლებმაც საპოროში გამოსვლა სპრინტში ოქროს მედლის მოგებით დაიწყეს. მაგრამ სპრინტის ოქროს მედალოსანმა **ასტრიდ იაკობსენმა** და მსოფლიო თასის მფლობელმა **მარიტ ბიორგენმა** ბრინჯაოზე მეტი ვერ გაახერხეს.

ჩრდილოურ კომბინაციაში ბადალი არ ჰყავდა ბოლო სამ სეზონში მსოფლიო თასის მფლობელს, ფინელ **ჰანუ მანინენს**, ვისაც აქამდე მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიადებზე სასტიკად არ სწყალობდა ბედი.

ამჯერადაც თითქოს ისე ჩანდა, რომ ფინელი მოთხილამურე ვერ შეძლებდა პირველობისთვის ბრძოლას. ტრამპლინის შემდეგ მას მეცხრე პოზიცია ეკავა და გერმანელ ლიდერ **ბიორნ კირხაიზენს** 49 წამით ჩამორჩებოდა. მაგრამ მანინენმა და ნორვეგიელმა **მაგნუს მოანმა**, ვინც სტარტი ფინელზე ორი წამით ადრე აიღო, სტარტიდანვე მაღალი ტემპი განავითარეს და შუა გზაზე ლიდერებს ნახევარ წუთზე მეტი ამოუქაჩეს. ორი სკანდინავიელის საფინიშო პაექრობაში კი ფინელმა იმარჯვა. მოანი კი ისევე, როგორც ტურინის ოლიმპიადასა და მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე, ამჯერადაც ვერცხლს დასჯერდა.

კირხაიზენი ბრინჯაოს მედალს დასჯერდა, ოლიმპიური ჩემპიონი ავსტრიიდან, **ფელიქს გოტვალდი** მეხუთეზე გავიდა, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, გერმანელი **რონი აკერმანი** კი მეცხრეზე გავიდა.



პანუ მანინენი

საპორო (იაპონია)
ქალები. გუნდური სპრინტი

**1. ფინეთი (რიიტა ლიისა როპონენი, ვირპი კუიტუნენი) 16:20.9; 2. გერმანია +0.69; 3. ნორვეგია +03.09; 4. შვედეთი +19.59; 5. ყაზახეთი +21.89; 6. ბელარუსი +23.09...**

საპორო (იაპონია)
კაცები. გუნდური სპრინტი

**1. იტალია (კრისტიანო ძორძი, რენატო პაზინი) 17:50.6; 2. რუსეთი 17:50.6; 3. ჩეხეთი +0.70; 4. გერმანია +0.80; 5. პოლონეთი +0.90; 6. კანადა +4.30...**

ჩრდ. კომბინაცია (HS134/7.5 კმ)

**1. ჰანუ მანინენი (ფინეთი) 17:40.2; 2. მაგნუს მოანი (ნორვეგია) +00.30; 3. ბიორნ კირხაიზენი (გერმანია) +29.50; 4. ანსი კოივურანტა (ფინეთი) +35.20; 5. ფელიქს გოტვალდი (ავსტრია) +52.10; 6. პეტერ ტანდე (ნორვეგია) +57.90...**

### სამთო თხილამურები

#### მსოფლიო თასი

გარმიშ-პარტენკირხენი (გერმანია)
კაცები. დაშვება

**1. ანდრეი მერმანი (სლოვენია) 1:56.82; 2. ჰანს გრუგერი (ავსტრია) 1:57.04; 3. ერიკ გაი (კანადა) 1:57.26; 4. დიდიე დეფაგო (შვეიცარია) 1:57.29; 5. პიერ-ემანუელ დალსენი (საფრანგეთი) 1:57.49; 6. კრისტოფ გრუბერი (ავსტრია) 1:57.60; 7. მარკ ბოტოლიელასკენი (საფრანგეთი) 1:57.61; 8. ანდრეას ბუდერი (ავსტრია) 1:57.73; 9. კლაუს კროლი (ავსტრია) 1:57.76; 10. პატრიკ შტაუდახერი (იტალია) 1:57.92...**

## ჩოგბურთი

ტურნირები

### ATP

#### ABN AMRO-ს ჩემპიონატი

როტერდამი (საემიროები). 19-25 თებერვალი. ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 782 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 1)**-მარკ ჟიკელი (საფ) 6:3, 6:3; **ტომი რობრედო (ესპ, 2)**-რიკ დე ვოესტი (ს. აფრ) 6:0, 6:4; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 3)**-ოლივიე როხუსი (ბელ) 6:3, 7:6(4); **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერ)-რადეკ სტეპანეკი (ჩეხ, 8) 7:6(12), 7:6(6); **მიხაილ იუჟნი (რუს)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 6:2, 6:4; **ფლორიან მაიერი (გერ)**-დენის ვან შეპინგენი (ჰოლ) 7:5, 6:2.

#### მორგან კიგანის ჩემპიონატი

მემფისი (აშშ). 18-24 თებერვალი. ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 757 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ენდი როდიკი (აშშ, 1)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 7:6 (4), 6:4; **ტომი ჰაასი (გერ, 2)**-ამერ დელიჩი (აშშ) 7:6 (2), 7:6 (5); **ენდი მარეი (ბრიტ, 3)**-კრისტიან პლესი (დან) 6:3, 7:6 (4); **მარდი ფიში (აშშ, 4)**-ხუან მარტინ დელ პოტრო 6:1, 7:6 (7); **იენ-ჰსუნ ლუ (ტაივ)**-იურგენ მელცერი (ავსტრია, 6) 7:6 (2), 1:1 მელცერის უარი; **სემ კერი (აშშ)**-ჟულიან ბენეტო (საფ, 7) 6:3, 6:4.

#### კოპა ტელმექსი

ბუენოს აირესი (არგენტინა). 18-24 თებ. თიხნარი
**საპრიზო ფონდი**: 445 000 დოლარი

**I ჯგუფი**

**ლუის ორნა (პერ)**-გილერმო კანიასი (არგ) 4:6, 6:2, 6:2.
**სატურნირო მდგომარეობა:** ორნა - 2 მოგება/0 წაგება; კანიასი - 1/1; ნალბანდიანი - 0/2.

**II ჯგუფი**

**ხუან მონაკო (არგ)**- კარლოს მოია (ესპ) 6:4, 6:7(3), 6:0.
**სატურნირო მდგომარეობა:** მონაკო - 2 მოგება/0 წაგება; მოია - 1/1; სტარაჩე - 0/2.

**III ჯგუფი**

**ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 4)**-სტეფანო გალვანი (იტა) 6:4, 7:6 (2).
**სატურნირო მდგომარეობა:** ალმაგრო - 2 მოგება/0 წაგება; ვასალო არგელო - 1/1; გალვანი - 1/1.

**IV ჯგუფი**

**ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 7)**-იგორ ანდრეევი (რუს) 3:6, 7:5, 6:3.
**სატურნირო მდგომარეობა:** ჩელა - 2 მოგება/0 წაგება; ანდრეევი - 1/1; მარტინი - 0/2.

**V ჯგუფი**

**კარლოს ბერლოკი (არგ)**-ალესიო დი მაურო (იტა) 6:1, 6:4.
**სატურნირო მდგომარეობა:** დი მაურო - 1 მოგება/1 წაგება; რამირეს იდალგო - 1/1; ბერლოკი - 1/1.

**VI ჯგუფი**

**ალბერტ მონტანიესი (ესპ)**-ფლავიო სარეტა (ბრა) 6:3, 6:3.
**სატურნირო მდგომარეობა:** მონტანიესი - 2 მოგება/0 წაგება; სარეტა - 1/1; ვანეკი - 0/2.

**VII ჯგუფი**

**დიეგო ჰარტფილდი (არგ)**-სერხიო როიტმანი (არგ) 5:7, 6:4, 7:6 (4).
**სატურნირო მდგომარეობა:** ჰარტფილდი - 2 მოგება/0 წაგება; როიტმანი - 1/1; აკასუსო - 0/2.

**VIII ჯგუფი**

**ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 2)**-ლუკაშ დლუჰი (ჩეხ) 6:3, 6:3.
**სატურნირო მდგომარეობა:** დევილდერი - 1მოგება /1 წაგება; დლუჰი - 1/1; ფერერო - 1/1.

### WTA

#### დუბაის ღია

დუბაი (საემიროები). 19-24 თებერვალი. ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 1 500 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ჟუსტინ ანენი (ბელ, 1)**-ელენი დანილიდუ (საბ) 6:0, 6:2; **ამელი მორესმო (საფ, 2)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 8) 6:3, 3:6, 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 3)**-პატი შნიდერი (შვეიც, 6) 6:3, 6:4; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 5)**-მარტინა ჰინგისი (შვეიც, 4) 7:6(3), 6:2.

#### მორგან კიგანის ჩემპიონატი

მემფისი (აშშ). 18-24 თებერვალი. ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 175 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**შაარ პეერი (ისრ, 1)**-ბეტანი მატეკი (აშშ) 6:0, 6:3; **ვინუს უილიამსი (აშშ, 7)**-ლაურა გრენვილი (აშშ) 7:6(2), 6:4; **მეილენ ტუ (აშშ)**-სოფია არვიდსონი (შვედ) 6:0, 6:2; **იოანა ოლარუ (რუმ)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 4) 5:1 სტოსურის უარი.

#### კოპა კოლსანიტასი

ბოგოტა (კოლუმბია). 19-25 თებერვალი. თიხნარი
**საპრიზო ფონდი**: 175 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ტატიანა გარბინი (იტა, 1)**-ხორხელინა კრავერო (არგ) 6:3, 6:0; **ფლავია პენეტა (იტა, 2)**-მარიანა დუკე მარინო (კოლ) 7:6(7), 6:2; **ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ, 3)**-გრეტა არნი (გერ) 6:4, 6:3; **ბარბორა ზაჰლავოვა სტრიჩოვა (ჩეხ)**-ჰანა სრომოვა (ჩეხ, 8) 6:4, 6:3.

## სხვადასხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჰოკეი**

### 100 წუთი საჯარიმო დრო

გრანდიოზული ჩხუბი მოხდა ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში, რომელშიც ერთმანეთს "ბაფალო" და "ოტავა" ხვდებოდნენ. მეორე პერიოდში, "სეიბრზის" კაპიტან **კრის დრურის** მეტოქე ფორვარდი **კრის ნილი** ეუხეშა და ტრავმა მიაყენა "ბაფალოს" ერთ-ერთ ლიდერს - დრურის შუბლი გადაეხსნა და მატჩის გაგრძელება ვერ შეძლო. ნილი მსაჯებმა არ დასაჯეს.

თამაში გაგრძელდა და მორიგი პაუზის დროს, "ბაფალოს" ცენტრფორვარდმა **ადამ მეირმა ჯეისონ სპეცას** თავში ჯოხი ჩაარტყა. სწორედ აქ დაიწყო ჩხუბი, რომელშიც ყინულზე მყოფი ყველა ჰოკეისტი ჩაება. მეკარეებმაც კი დაუშინეს ერთმანეთს მუშტები და **მარტინ ბირონისა** და **რეი ემერის** ორთაბრძოლა ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა, რის შემდეგაც, ოტაველ ემერის მეტოქე ფორვარდი **ენდრიუ პიტერსი** დაესხა თავს.

საბოლოოდ, მსაჯებმა მოჩხუბრებს საერთო ჯამში 100 წუთი საჯარიმო დრო გამოუწერეს, აქედან 63 წუთი "ბაფალოს" მოთამაშეებს ერგოთ. ბირონი, ემერი და პიტერსი კი, მოედნიდან გააძევეს.

**კალათბურთი**

### ილგაუსკასი ბრუნდება

"კლივლენდ კავალიერსის" მთავარი მწვრთნელის - **მაიკ ბრაუნის** ცნობით, გუნდის ძირითადი ცენტრი **ჟიდრუნას ილგაუსკასი** კვირას, "მაიამისთან" მატჩში დაუბრუნდება მოედანს. ლიტველმა კალათბურთელმა კლუბის ბანაკი 11 თებერვალს, ოჯახური პრობლემების გამო დატოვა.

### სონიქსი ჯერჯერობით სიეტლში რჩება

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბი "სუპერსონიქსი", მინიმუმ ერთი წელი კვლავ ქალაქ სიეტლში ითამაშებს. ამ გუნდის სხვა ქალაქში გადაბარგების საკითხი კარგა ხანია, რაც დღის წესრიგში დგას. საქმე ისაა, რომ "სონიქსისთვის" ახალი დარბაზის აშენების იდეამ ქალაქის მაცხოვრებელთა შორის ენთუზიაზმი ვერ ჰპოვა, რის შემდეგაც, კლუბის მფლობელებს შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ სიეტლს ეს გუნდი საერთოდ არ სჭირდება.

*"სხვა ქალაქში გადასვლის საკითხს ამ გაზაფხულზე არ განვიხილავთ, მაგრამ თუ სიეტლის მთავრობისგან ახალი არენის მშენებლობისთვის სათანადო ფინანსურ დახმარებას ვერ მივიღებთ, მაშინ კლუბი იძულებული გახდება, სხვა ქალაქში დაიდოს ბინა"*, - აცხადებს "სუპერსონიქსის" პრეს-ატაშე **ტომ სევიჯი**.

ერთ-ერთ ვარიანტად სახელდება "სონიქსის" ოკლაჰომა-სიტში გადასვლა. როგორც აღმოჩნდა, ამ ქალაქში კლუბის მფლობელ **კლეი ბენეტს** საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონია.

### დიამანტიდისი ათენში დარჩა

ათენის "პანათინაიკოსის" ძირითადი გამთამაშებელი **დიმიტრიოს დიამანტიდისი** მომდევნო სამ სეზონსაც ამ კლუბში გაატარებს. ბერძნული პრესის ცნობით, საბერძნეთის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა "პანათინაიკოსთან" სამი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც, ის ჯამში 5.4 მილიონ ევროს (1.7+1.8+1.9) მიიღებს.

27 წლის დიამანტიდისმა "მწვანეების" რიგებში ორი სეზონი ითამაშა და ორჯერ მოიგო ქვეყნის ჩემპიონატი. გარდა ამისა, მან ზედიზედ ორჯერ მოიპოვა ევროლიგის საუკეთესო დამცველის პრიზი. ამასთან ერთად, დიმიტრიოსი ერთი წლის წინათ, საბერძნეთის ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს.

**ჩოგბურთი**

### კლაისტერსი 14 ივლისს იქორწინებს

ბელგიელმა ჩოგბურთელმა **კიმ კლაისტერსმა** საკუთარი ქორწილის თარიღი გამოაცხადა. მსოფლიო კლასიფიკაციის მეოთხე ჩოგანი ამერიკელ კალათბურთელ **ბრაიან ლინჩთან** შეუღლებას უიმბლდონის ტურნირის შემდეგ, 14 ივლისს აპირებს.

*"როგორც არაერთხელ განვაცხადე, ამ სეზონში ჩემი მთავარი მიზანი უიმბლდონის მოგებაა. მთელი ყურადღება აქეთკენ მაქვს გადატანილი. როგორც კი იქ თამაშს მოვრჩები, მე და ბრაიანი ვიქორწინებთ"*, - აცხადებს კიმ კლაისტერსი, რომელიც წელს, თავის ბოლო სეზონს ატარებს კარიერაში.

**კრივი**

### ვალუევი ტიტულს 14 აპრილს დაიცავს

სუპერმძიმე წონაში WBA-ს ვერსიით, მსოფლიო ჩემპიონი, რუსი **ნიკოლაი ვალუევი** ტიტულის აუცილებელ დაცვას 14 აპრილს გამართავს. მისი მეტოქე უზბეკი **რუსლან ჩაგაევი** იქნება.

ამ უკანასკნელმა ვალუევთან ბრძოლის უფლება შარშან, ნოემბერში მოიპოვა, როცა ქულებით დაამარცხა ამერიკელი **ჯონ რუისი**. თავის მხრივ, სწორედ რუისს აართვა ორი წლის წინათ WBA-ს საჩემპიონო ტიტული ნიკოლაი ვალუევმა.

მსოფლიო ჩემპიონი ჩაგაევთან შესახვედრად მშობლიურ სანკტ-პეტერბურგში ემზადება, საბოლოო შეკრებას კი, ბერლინში ჩაატარებს. *"ამ ბრძოლისთვის სრული სერიოზულობით ვემზადები. შესანიშნავ ფორმაში ვიმყოფები და 14 აპრილს სრულ მზადყოფნაში შევხვდები"*, - აცხადებს ვალუევი.

**ცურვა**

### რუსი მსოფლიო ჩემპიონი დოპინგზე გამოიჭირეს

800 მეტრზე თავისუფალი სტილით მსოფლიო ჩემპიონს, რუს **ანასტასია ივანენკოს** ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება. ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ (FINA) გამოაქვეყნა სპორტსმენის დოპინგ-ტესტის შედეგი, რომლის მიხედვითაც, ივანენკოს აკრძალული პრეპარატის - "ფუროსემიდის" მიღება ბრალდება. დოპინგ-ტესტი 23 იანვარს არის ჩატარებული.

ახლა, 18 წლის მოცურავემ FINA-ს ახსნა-განმარტებები უნდა წარუდგინოს. მას შეუძლია განმეორებითი ანალიზის ჩატარებაც მოითხოვოს. თუმცა, ერთი რამ ცნობილია - რუსს მარტში, მელბურნში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატის გამოტოვება მოუწევს.

**მთის თხილამურები**

### კილდოუმ სეზონი დაასრულა

ამერიკელი სამთო მოთხილამურე **ლინდსი კილდოუ** სეზონის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს. სპორტსმენმა გადაწყვიტა, არ გარისკოს და მთლიანად ტრავმირებული მარჯვენა მუხლის მკურნალობაზე გადაერთოს. შეგახსენებთ, რომ 22 წლის ამერიკელმა დაზიანება შვედეთის ორეში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, სლალომში ვარჯიშის დროს მიიღო.

კილდოუს იმედი ჰქონდა, რომ იტალიის კურორტ ტარვიზიონში გასამართი მსოფლიო თასის მორიგი ეტაპისთვის მწყობრში ჩადგებოდა, მაგრამ ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ, ამერიკელმა სეზონის დასრულება გადაწყვიტა.

# ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-ოტავა 6:5 (ბ)**

1:2, 3:1, 1:2, 0:0

**გოლები:** 0:1 ალფრედსონი-21 (რედენი-18, ფიშერი-20), 0:2 ჰიტლი-34 (კ. ნილი-13, სპეცა-34), 1:2 დრური-33 (რაიანი-1, სტეფორდი-4), 2:2 ვანეკი-30 (პომინვილი-23, სტეფორდი-4), 3:2 ვანეკი-31 (დ. რუა-31, ტ. ნუმინენი-21), 3:3 ჰიტლი-35 (სპეცა-35, მეზაროში-23), 4:3 მაკარტური-1 (კალეტა-1, ბ. კემბპელი-29), 5:3 კალინინი-4 (ბრიერი-48, პომინვილი-24), 5:4 სპეცა-23 (რედენი-19, ჰიტლი-41), 5:5 ფიშერი-14 (ალფრედსონი-40).

**ბულიტები გაიტანეს:** სტეფორდი (ბაფალო).

**რეინჯერსი-ნიუ ჯერსი 2:3 (ბ)**

1:0, 1:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 მარსელო ჰოსა-8 (მალიკი-12), 2:0 პრუხა-15 (იაგრი-52, ნიულანდერი-46), 2:1 რაფალსკი-7 (ლანგენბრუნერი-28, მადენი-16), 2:2 პარიზე-25 (ზაიაცი-18, ლანგენბრუნერი-29).

**ბულიტები გაიტანეს:** პარიზე (ნიუ ჯერსი), ნიულანდერი (რეინჯერსი), ლანგენბრუნერი (ნიუ ჯერსი).

**კაროლინა-ფილადელფია 3:2**

2:0, 0:1, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ბრინდამორი-20 (ჰედიკანი-10, ტანაბე-10), 2:0 ლედი-7 (ჯასტინ უილიამსი-26, ე. სტაალი-33), 2:1 აფანასენკოვი-7 (რ. ჯონსი-13, პიკარი-14), 2:2 პიკარი-3 (მ. რიჩარდსი-14, აფანასენკოვი-6), 3:2 უესლი-1 (ჯასტინ უილიამსი-27, კომოდორი-17).

**ფინიქსი-კალგარი 3:2 (ო)**

0:1, 1:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ტანგეი-18 (ამონტე-16, ლომბარდი-20), 1:1 საპრიკინი-14 (რიონიკი-13, როუჩი-10), 1:2 იელი-6 (რეგერი-16, ნილსონი-9), 2:2 რაინპრეხტი-5 (ბოინტონი-6, ბ. ტომასი-1), 3:2 დოენი-20 (ბალარდი-14).

**კოლორადო-მინესოტა 3:4**

0:1, 0:3, 3:1

**გოლები:** 0:1 ჰოლი-6 (პერიში-17, ტ. უაიტი-24), 0:2 ვ. სმიტი-1 (ვეილო-9, ბ. ბარნსი-12), 0:3 ტ. უაიტი-10 (გაბორიკი-13, ფოსტერი-15), 1:3 კლი-2 (პ. შჩასტნი-33, ბრუნეტი-34), 2:3 რიჩარდსონი-8 (ბრუნეტი-35, საკიკი-47), 2:4 მ. კოივუ-14 (მ. პერიში-18), 3:4 სვატოსი-13 (პ. შჩასტნი-34).

**ნეშვილი-მონრეალი 5:6 (ბ)**

3:2, 1:1, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 სალივანი-22 (სატერი-13, ვოკოუნი-2), 2:0 შ. უებერი-11 (დუმონი-34, არნოტი-24), 2:1 რაიდერი-20 (ს. კოივუ-34, სურეი-31), 3:1 ჰარტნელი-22 (დუმონი-35, სალივანი-38), 3:2 შტრაიტი-7 (სამსონოვი-16, კასციცინი-1), 4:2 დუმონი-15 (არნოტი-25, სატერი-14), 4:3 გ. მიურეი-2 (კომისარეკი-9, მ. ჯონსონი-17), 4:4 პერეჟოგინი-6 (ს. კოივუ-35, შტრაიტი-19), 5:4 ლეგვანდი-21 (ჰარტნელი-15, ვიშნევსკი-10), 5:5 სამსონოვი-9 (პლეკანეცი-20, დანდენო-4).

**ბულიტები გაიტანეს:** კარია (ნეშვილი), პლეკანეცი (მონრეალი), ს. კოივუ (მონრეალი).

**ატლანტა-ტამპა ბეი 4:5 (ო)**

1:0, 2:3, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 მაკარტი-4 (მელანბი-19, მარიან ჰოსა-43), 2:0 ბელანჟე-10 (ვიაჩ. კოზლოვი-42, სატონი-10), 2:1 ბ. რიჩარდსი-21 (სენტ ლუისი-45, პროსპალი-34), 3:1 ბულტონი-3 (ჰოლიკი-14, მაკარტი-12), 3:2 პერენი-11 (სენტ ლუისი-46), 3:3 ლეკავალიე-40 (ბ. რიჩარდსი-33, ბოილი-35), 4:3 მარიან ჰოსა-35 (ბელანჟე-14), 4:4 ა. რუა-1 (რეინჯერი-21, ბოილი-36), 4:5 სენტ ლუისი-37 (ბ. რიჩარდსი-34).

**კოლამბუსი-ედმონტონი 0:4**

0:2, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ჰორკოფი-14 (რ. სმიტი-21, სტაიოსი-14), 0:2 რ. სმიტი-30 (ჰორკოფი-28, სიკორა-29), 0:3 შმიდი-1 (ტორესი-18, ლუპული-9), 0:4 ჰორკოფი-15 (რ. სმიტი-22, ჰემსკი-40).

**აილენდერსი-ტორონტო 3:2 (ბ)**

0:0, 1:2, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 სტაიანი-9 (სტინი-16), 0:2 პონიკაროვსკი-16, 1:2 ჰანტერი-16 (შ. ჰილი-21, ჰილბერტი-18), 2:2 ჰანტერი-17 (პოტი-21, ვიქ. კოზლოვი-20).

**ბულიტები გაიტანეს:** რ. რობიტაილი (აილენდერსი).

**ფლორიდა-პიტსბურგი 1:2**

0:1, 1:0, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ჯ. სტაალი-25 (მალკინი-39, კროსბი-70), 1:1 კოლნიკი-7 (გრეტონი-12, ბ. ალენი-14), 1:2 კ. არმსტრონგი-7 (ტელბოტი-7, რაიან უიტნი-34).

**ლოს ანჯელესი-ვანკუვერი 2:3**

1:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ზაილერი-1 (კოსტოპულოსი-10), 1:1 ბ. მორისონი-17 (ს. სალო-20, ნესლუნდი-30), 1:2 ლინდენი-9 (მიტჩელი-7, ბიეკსა-23), 2:2 ვიშნოვსკი-16 (კამალერი-36, კოპიტარი-38), 2:3 ბიეკსა-10 (ნესლუნდი-31).

**ჩიკაგო-სან ხოსე 0:2**

0:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ჯ. ტორნტონი-16 (მარლო-36, ბელი-6), 0:2 ჩიჩუ-22 (ჯ. ტორნტონი-61).

# კრივი

ზემძიმე წონა

## მორისონი გამარჯვებით დაბრუნდა



მორისონმა ჯერ შიდსი დაამარცხა და რინგზეც გამარჯვებით დაბრუნდა

ცაცია ჰუკი, რომლის წყალობითაც ერთხელ **ტომი მორისონი** ზემძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, კვლავაც მოქმედებს. მოკრივემ, რომელმაც 11 წელი იმის გამო იუქმა, რომ ერთ საბედისწერო დღეს, მის სისხლში შიდსის ვირუსი აღმოაჩინეს, ჯერ გამოჯანმრთელება შეძლო, მერე კი, როცა რამდენიმე ტესტმა უარყოფითი პასუხი დაადასტურა, კვლავ მიიღო საკრივო ლიცენზია და პროფესიულ რინგსაც დაუბრუნდა. თანაც, დაბრუნებისთანავე ნოკაუტით გაიმარჯვა.

38 წლის მორისონისთვის, ვინც სახელი იმითაც გაითქვა, რომ ფილმ "როკის" მეხუთე სერიაში ერთ-ერთი მთავარი როლი ითამაშა, სულერთი იყო, თუ ვინ დადგებოდა პირველ ბრძოლაში მის წინაშე. მთავარი იყო, რომ დაბრუნება გამარჯვებით აღენიშნა.

შტატ დასავლეთ ვირჯინიას ქალაქ ჩესტერში, რომელიც პიტსბურგიდან ჩრდილო-დასავლეთით, 100 კილომეტრში მდებარეობს, მორისონის პირისპირ ოთხრაუნდიან ბრძოლაში ვინმე **ჯონ კასტლი** დადგა, ვინც პირველ რაუნდში, კრივობაში კი აჯობა ნაჩემპიონარს, მაგრამ შემდეგ შეცდომა დაუშვა და სასტიკი მარცხიც ინვნია.

*"ბედნიერი ვარ. მართალია, ჯერაც ბევრ ელემენტში მოვიკოჭლებ, მაგრამ მთავარია, რომ დავბრუნდი. თანაც გამარჯვება მოვიპოვე. ამ სიხარულს ალბათ ვერაფერი შეედრება. რაც მეტს ვივარჯიშებ, მით უფრო დავხვეწავ საბრძოლო მანერას, ძველ ჩვევებს გავიხსენებ და ვინ იცის, იქნებ ერთხელ კიდევ მომეცეს მწვერვალის დაპყრობის საშუალება"*, - განაცხადა მორისონმა (47-3-1), ვინც WBO-ის ტიტულს 1993 წელს მას შემდეგ დაეუფლა, რაც ლეგენდარულ **ჯორჯ ფორმენს** მოუგო.

იმ დიდი ტრიუმფის შემდეგ, მორისონმა ტიტული მალე დაკარგა, რასაც ციხეში გატარებული ორი წელი მოჰყვა. გავიდა კიდევ ცოტა ხანი და (1996 წელს) მოკრივეს აივ-ვირუსი აღმოუჩინეს, რის გამოც სამუდამოდ აეკრძალა რინგზე გამოსვლა.

რაც შეეხება კასტლს, მორისონთან შეხვედრამდე მას საკრივო ხელთათმანი არ ჩაეცვა და ყოფილ ჩემპიონთან შეხვედრასაც მას შემდეგ დათანხმდა, რაც დაარწმუნეს, რომ მორისონს შიდსი აღარ სჭირს. კასტლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პირველი რაუნდი მან აშკარა უპირატესობით მოიგო, მაგრამ მეორეში ყურადღება მოადუნა და ამისთვის დაისაჯა კიდეც. ბრძოლის შემდეგ კი განაცხადა, დანახვაც კი ვერ მოვასწარი, მუშტი ისე სწრაფად მომხვდაო.

ნაბრძოლევს მორისონმა განაცხადა, რომ მარტში ორი მოკლე ბრძოლის ჩატარებას გეგმავს, მერე კი გამოჩნდება, რა გზას დაადგება.

მორისონის გარდა, ჩესტერში კიდევ ერთმა ცნობილმა ზემძიმეწონოსანმა, **ჯონ მეზიმ** იბრძოლა, ვინც პირველივე რაუნდში დაანოკაუტა **ჯორჯ ლინბერგერი**. შეგახსენებთ, რომ მეზიც რინგზე ახალი დაბრუნებულია. 2004 წელს რუს **ვასილი ჟიროვს** რომ ქულებით მოუგო, იმ ბრძოლაში მან თავის მძიმე ტრავმა მიიღო, რის გამოც საათლეტო კომისიამ დროებით ჩამოართვა საკრივო ლიცენზია.

# TV სპორტი

### 24 თებერვალი. შაბათი

**I არხი**

15:10 ავტორალი. საქართველოს ჩემპიონატი. I ეტაპი (LIVE).
15:45 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. თბილავიამშენი-აზოტი (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-რეალი (LIVE).

**მზე**

16:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-შეფილდი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:06 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ვილიარეალი.
09:56 სპორტინფორმი.
10:08 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
10:43 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. II მატჩი. მაკაბი-ცსკა.
12:28 სპორტკლუბი.
12:40 სპორტინფორმი.
12:51 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
13:20 მინი-ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
13:35 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
14:02 სპორტინფორმი.
14:17 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ანაჰაიმი.
16:00 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. კვალიფიკაცია. ს. აფრიკა (LIVE).
17:49 სპორტკლუბი.
18:06 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-აინტრახტი (LIVE).
20:23 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
20:50 მძლეოსნობა.
22:31 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სოსიედადი-დეპორტივო (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-რეალი (LIVE).
02:55 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
03:23 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. II მატჩი. მაკაბი-ცსკა.
05:05 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
05:33 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
05:56 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ჰერტა.

**EUROSPORT**

09:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. 2x15 კმ. გამოდევნებით. საპორო. იაპონია (LIVE).
10:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. HS134. კვალიფიკაცია. საპორო. იაპონია.
11:15 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. 2x15 კმ. გამოდევნებით. საპორო. იაპონია.
12:00 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. გამოდევნება. ბანსკო. ბულგარეთი (LIVE).
12:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. HS134. საპორო. იაპონია (LIVE).
14:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სწრაფდაშვება. გარმიშ-პარტენკირხენი. გერმანია (LIVE).
16:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა. სიერა ნევადა. ესპანეთი (LIVE).
16:45 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. 2x15 კმ. გამოდევნებით. საპორო. იაპონია.
17:15 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. გამოდევნება. ბანსკო. ბულგარეთი (LIVE).
18:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. დოჰა. კატარი.
19:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
20:45 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. 2x15 კმ. გამოდევნებით. საპორო. იაპონია.
21:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. HS134. საპორო. იაპონია.
22:15 მულტისპორტი.
23:00 ველოსპორტი. მსოფლიო თასი (ტრეკი). მანჩესტერი. ინგლისი (LIVE).
02:00 რესტლინგი.
03:30 ბრძოლა წესების გარეშე.
04:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. HS134. საპორო. იაპონია.
05:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი. ტრამპლინიდან ხტომა. HS134. გუნდური. საპორო. იაპონია (LIVE).

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
13:30 საფეხბურთო პროგრამა. TOP 24.
14:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ლისაბონი. პორტუგალია.
15:00 ახალი ამბები.
15:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩების მიმოხილვა.
16:30 ჰოკეი. ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი. ესპანეთი (LIVE).
18:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/4 ფინალი. I მატჩი. ფლენსბურგი (გერმანია)-ბარსელონა (ესპანეთი).
19:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/4 ფინალი. I მატჩი. ვეჟპრემი (უნგრეთი)-კილი (გერმანია) (LIVE).
21:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. მემფისი. აშშ (LIVE).
23:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/4 ფინალი. I მატჩი. ვალიადოლიდი (ესპანეთი)-გუმერსბახი (გერმანია).
00:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/4 ფინალი. I მატჩი. ვეჟპრემი (უნგრეთი)-კილი (გერმანია).
01:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. მემფისი. აშშ (LIVE).
02:45 ახალი ამბები.
03:15 მულტისპორტი.
04:00 ახალი ამბები.

### 25 თებერვალი. კვირა

**რუსთავი 2**

18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:40 მძლეოსნობა. გრან-პრი. სტოკჰოლმი. შვედეთი.
10:00 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. კვალიფიკაცია. ს. აფრიკა.
11:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. როტერდამი. ჰოლანდია.
13:23 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
13:51 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. კორინთიანსი-რიო ბრანკო.
15:37 ფიტნესი.
16:03 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-მონრეალი.
17:45 მინი-ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-რეჯინა (LIVE).
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ლევერკუზენი (LIVE).
21:57 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
22:29 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
03:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-სამპდორია.
01:25 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ბილბაო.
03:12 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ს. აფრიკა.
05:45 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. კორინთიანსი-რიო ბრანკო.
07:30 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

06:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. HS134. საპორო. იაპონია.
09:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 2x7.5 კმ. გამოდევნებით. საპორო. იაპონია (LIVE).
10:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი. ტრამპლინიდან ხტომა. HS134. გუნდური. საპორო. იაპონია.
10:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესტაფეტა 4x5 კმ. საპორო. იაპონია (LIVE).
11:30 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 2x7.5 კმ. გამოდევნებით. საპორო. იაპონია.
12:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. სლალომი. I ცდა. სიერა ნევადა. ესპანეთი (LIVE).
13:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. HS134. გუნდური. საპორო. იაპონია (LIVE).
15:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. სიერა ნევადა. ესპანეთი (LIVE).
16:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სლალომი. II ცდა. გარმიშ-პარტენკირხენი. გერმანია (LIVE).
16:45 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. ესტაფეტა. ბანსკო. ბულგარეთი.
17:15 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ესტაფეტა. ბანსკო. ბულგარეთი (LIVE).
18:30 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 2x7.5 კმ. გამოდევნებით. საპორო. იაპონია.
19:15 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესტაფეტა 4x5 კმ. საპორო. იაპონია.
19:45 ველოსპორტი. მსოფლიო თასი (ტრეკი). მანჩესტერი. ინგლისი (LIVE).
21:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. HS134. გუნდური. საპორო. იაპონია.
22:15 ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.
22:45 მოტოსპორტი.
23:00 სუმო.
00:00 კიკბოქსინგი. მანჩესტერი. ინგლისი (LIVE).
02:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. HS134. გუნდური. საპორო. იაპონია.
03:00 ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩების მიმოხილვა.
14:00 სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. დოჰა. კატარი.
15:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. დოჰა. კატარი.
16:00 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. რუმინეთი-მოლდოვა. სლოვენია (LIVE).
17:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/4 ფინალი. I მატჩი. ვეჟპრემი (უნგრეთი)-კილი (გერმანია).
18:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. სლაგელსე (დანია)-ბუდაპეშტი (უნგრეთი) (LIVE).
20:15 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხირონა-ბარსელონა.
21:45 ლაკროსი.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. მემფისი. აშშ (LIVE).
01:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. სლაგელსე (დანია)-ბუდაპეშტი (უნგრეთი).
02:00 ახალი ამბები.
02:15 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. სლოვენია-ბელგია. სლოვენია.
03:15 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი. ჩემპიონატი** | |
| კარდიფი-პრესტონი | 4:1 |
| **იტალია. სერია B** | |
| ლეჩე-ტრევიზო | 1:1 |
| **გერმანია** | |
| შტუტგარტი-ჰერტა | 0:0 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ბრაუნშვაიგი-ესენი | 0:1 |
| კარლ ცაისი-მიუნხენი | 3:1 |
| ოფენბახი-კობლენცი | 2:3 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| უნიონი-ლევერკუზენი II | 4:0 |
| ვუპერტალი-გლადბახი II | 0:3 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| კაიზერი II-ვეენი | 0:0 |
| **საფრანგეთი. II დივიზიონი** | |
| ბასტია-მონპელიე | 1:0 |
| ბრესტი-გინგამი | 2:3 |
| კაენი-ნიორი | 4:0 |
| გენიონი-შატორუ | 3:0 |
| ისტრი-ტური | 2:1 |
| ლიბურნი-ამიენი | 1:1 |
| რეიმსი-აიაჩო | 4:1 |
| სტრასბური-კრეტეი | 1:0 |
| მეცი-დიჟონი | 5:0 |
| **ჰოლანდია** | |
| უტრეხტი-ნიმეგენი | 3:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ვოლენდამი-ემენი | 6:1 |
| ცვოლე-ტელსტარი | 2:1 |
| ფორტუნა-როსენდალი | 2:2 |
| ჰაარლემი-კამბური | 3:1 |
| ჰელმონდი-გრააფსხაპი | 0:0 |
| მაასტრიხტი-აპელდოორნი | 5:0 |
| გოუ ესი-იგლზი | 4:0 |
| ვეენდამი-ომნივორლდი | 0:2 |
| ვენლო-დორდრეხტი | 1:3 |
| **ბელგია** | |
| ბრიუგე-ავეში | 1:0 |
| **პორტუგალია** | |
| სპორტინგი-ავეში | 0:0 |
| **თურქეთი** | |
| ერჩიესი-მანისა | 1:0 |
| გალათასარაი-დენიზლი | 1:1 |
| **უნგრეთი** | |
| პაქში-დებრეცენი | 0:1 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-პაკ | 86:64 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| აისბარენი-შტრაუბინგი | 5:2 |
| ჰამბურგი-დიუსელდორფი | 2:2 |
| ჰანოვერი-ისერლონი | 3:1 |
| დუისბურგი-მანჰაიმი | 4:4 |
| კრეფელდი-ინგოლშტადტი | 3:3 |
| კიოლნი-აუგსბურგი | 2:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-კოშიცე | 5:3 |
| მარტინი-სლოვანი | 3:2 |
| მიკულაში-პოპრადი | 6:7 |
| ნიტრა-სკალიცა | 2:1 |
| ტრენჩინი-ჟილინა | 4:3 |
| **ჩეხეთი** | |
| კარლოვი ვარი-ტრშინეცი | 1:3 |
| კლადნო-ზნოიმო | 2:3 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. ბუენოს აირესი** | |
| მონტანიესი-დი მაურო | 6:1, 4:6, 2:6 |
| ჰარტფილდი-დევილდერი | 6:4, 7:5 |
| **ATP. მემფისი** | |
| ფიში-გაბაშვილი | 6:2, 6:1 |
| ჰაასი-კერი | 6:2, 6:2 |
| **ATP. როტერდამი** | |
| იუჟნი-ფერერი | 6:2, 7:5 |
| ჯოკოვიჩი-რობრედო | 4:6, 6:4, 7:5 |
| ლუბიჩიჩი-მაიერი | 6:4, 6:2 |
| დავიდენკო-კოლშრაიბერი | 6:7, 6:4, 6:4 |
| **WTA. დუბაი** | |
| ანენი-კუზნეცოვა | 1:6, 6:4, 6:0 |
| მორესმო-იანკოვიჩი | 6:2, 6:0 |
| **WTA. ბოგოტა** | |
| დომინგესი-ზაკოპალოვა | 4:6, 6:3, 6:3 |
| ლუა-ვინჩი | 3:6, 6:4, 6:3 |
| გარბინი-სტრიუკოვა | 6:2, 7:5 |
| პენეტა-ვიერინი | 6:2, 6:2 |
| **WTA. მემფისი** | |
| პეერი-ტუ | 6:4, 7:5 |



ტარიელ ჟღენტი



თამაზ იმნაიშვილი და თემურ მატოიანი



ზურაბ მაჩხანელი

# დინოზავრის ნაკვალევი

გიორგი ჩოჩიშვილი

დრო ულმობელი ჯალათია. ვინ იცის, რამდენ რამეს ვკარგავთ დროის გასვლის კვალობაზე: მიღწევებს, ტრადიციებსა და ა.შ. ზოგი ძალიან იოლად იკარგება, ახალი და მით უმეტეს კარგი კი გაცილებით მეტი ტანჯვა-წვალებით შემოდის.

სულ რაღაც თხუთმეტიოდე წლის წინ, და უფრო ადრეც, გვყავდა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი სასტენდო სროლაში, მაგრამ დღეს, თითქოს დინოზავრების ნაკვალევიაო, მხოლოდ ძველი დიდება დაგვრჩა.

სამ ქართველ სპორტსმენს - ტარიელ ჟღენტს, თამაზ იმნაიშვილსა და თემურ მატოიანს მრგვალ სტენდზე სროლაში გამეორებული აქვს მსოფლიოს უმაღლესი, აბსოლუტური მიღწევა - 200 გაფრენილი თეფშიდან ორასივე დაამსხვრიეს.

როცა "ლელოში" სხვა სახეობებთან ერთად სასტენდო სროლის ამბების გაშუქებაც დამავალეს, თავიდან გაოცებული დავრჩი. ტყვიის მსროლელებს ადრეც ვიცნობდი - ისე დადიოდნენ თავის თავში ჩაკეტილები, გეგონებოდათ, მთელ მსოფლიოს დაემდურნენო. მესტენდურეები კი პირიქით, ლაღი, ხალისიანი და ცოტა ხმაურიანი ხალხი აღმოჩნდა, კარგი იუმორი ჰქონდათ და სადაც ისინი იყვნენ, იქ სიცილს არ მოგანატრებდნენ. ასეთი ქცევა ალბათ არა მარტო მათი ხასიათით, არამედ თვითონ სპორტის ამ სახეობების სპეციფიკით იყო გამოწვეული. ტყვიის სროლაში მხოლოდ გასროლის ყრუ ხმა ისმის, სხვა მხრივ სამარისებული სიჩუმეა სასროლეთზე. სტენდი კი ფეთქებადია: ისარივით გამოფრენილ თეფშს ჰაერში უნდა ესროლო - ხან ერთს, ხან ორს - სასროლი პოზიციის მიხედვით. საპირისპირო მხარეს, აქეთ-იქით მქროლავი თეფშების დამსხვრევა მართლაც ძალიან ლამაზი სანახაობაა, განსაკუთრებით ფინალურ ეტაპზე, როცა ფერად, მოყვითალო-ვარდისფერ თეფშებს იყენებენ და მათი დაზიანებისას ასეთივე ფერის კვამლი ჩნდება ჰაერში.

მესტენდურები, როგორც წესი, თავგადაკლული მონადირეები არიან. უფრო ფრინველზე ნადირობდნენ, რადგან შეიძლება ნადირზე წახვიდე და ერთხელაც არ მოგიწიოს გასროლამ. ნადირობა თავდავიწყებით იციან. ერთხელ, საბჭოთა კავშირის მაშინდელმა ჩემპიონმა იუნიორებში, არჩილ საბედაშვილმა ასეთი რამ მიამბო: თურმე მამამისს თავისი შვილი ნადირობის წინ სასოებით ჩაუბარებია ტარიელ ჟღენტისა და თამაზ იმნაიშვილისთვის - ბიჭი პირველად ნადირობს, გაუფრთხილდით, რაიმე ფათერაკი არ შეემთხვასო.

"მაგრამ როგორც კი მწყერები ამოფრინდნენ, ერთი ჩემი მეურვის საფანტმა ქოჩორი მარჯვენივ გადამივარცხნა, მეორისამ - მარცხნივ. იმ წამსვე მიწაზე დავწექი და თავი მანამდე არ ამიწევია, სანამ სროლა არ დამთავრდა". - ამბობდა პერსპექტიული მსროლელი.

**იმნაიშვილმა** შვიდჯერ მოიგო მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი, პირად პირველობაშიც გახდა დედამიწის უძლიერესი მესტენდურე, ევროპის ჩემპიონიც. რაც შეეხება ოლიმპიურ თამაშებს...

1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის დროს ქართველი მსროლელი შესანიშნავ ფორმაში იყო, მაგრამ დიდმა ხელმძღვანელმა გაუფუჭა საქმე.

ორასიდან ყველა, ან თუნდაც 197 თეფშის ჩამოგდებას განსაკუთრებული ყურადღება და მობილიზება სჭირდება. უნდა ნახოთ, ეს ხალისიანი ადამიანები, მხარზე მოგდებული, ჩახმახთან გადახსნილი თოფებით, სერიებს შორის (თითო სერია 25 გასროლაა) როგორ უხმოდ, ფიქრებში ჩაძირულები დადიან. ამ დროს არა მარტო მათთან გამოლაპარაკება, ისიც კი არ შეიძლება, რომ თვალებში შეეჩხირო, რადგან შეიძლება ყურადღება შენზე გადმოიტანოს და გაეფანტოს. შეჯიბრების შემდეგ კი მათზე უკეთეს თანამოსაუბრეებს ვერ იპოვი.

თამაზ იმნაიშვილს ფინალის წინ 150 გასროლიდან 148 სამიზნე აქვს დაზიანებული და ლიდერია. ფინალის პირველ სერიაში ერთი თეფში უვნებლად გაუფრინდა და 172 ქულით მაინც პირველ პოზიციას ინარჩუნებდა: თუ ბოლო სერიაში 25-ვე თეფშს დაამსხვრევდა, უდავოდ ხდებოდა ოლიმპიური ჩემპიონი. თუ მხოლოდ 24-ს, მაშინ ოქროსთვის დამატებითი სერია მოუწევდა ერთადერთ მეტოქესთან, ვერცხლი ხომ უკვე ჯიბეში ექნებოდა.

სწორედ ამ დროს მოხდა ჩინოვნიკური ვერაგობა: სპორტკომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელი პეტროვი თამაზს მიუახლოვდა და უთხრა: ძალიან აგვიანებ სროლისთვის მომზადებას. შენს შემდეგ ორი იაპონელი ისვრის და მათი მწვრთნელები სულ წამზომებით დარბიანო.

პეტროვის ანგარიში გასაგები იყო. იგი მთელ საბჭოთა კავშირში ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონი გახლდათ სასტენდო სროლაში (მეხიკო, 1968 წელი) და არ უნდოდა მოცილე გამოსჩენოდა, თანაც ქართველი. მან სასტენდო სროლის ყველა ნიუანსი, ცხადია, კარგად იცოდა და თამაზი წონასწორობიდან გამოიყვანა.

"პეტროვის სიტყვამ სულ მომშალა, იაპონელებზე დავიწყე ფიქრი. იმ იაპონელებს ვინ რას ეკითხებოდა, მსაჯები არაფერს ამბობდნენ, თანაც ბოლო სერია იყო. მე ხომ სასროლად მომზადებისთვის დაწესებულ 11 წამში ყოველთვის ვეტეოდი. მოკლედ, მომზადების ჩვეული რიტმი დავარღვიე, ავჩქარდი და 25-დან მხოლოდ 23 თეფში გავტეხე. ჩემპიონობის ნაცვლად მხოლოდ მეოთხე ადგილზე გავედი". - მიამბობდა შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი. თვითონ იმდენად შეწუხდა, რომ ხელფასის ასაღებად აღარ მიდიოდა - ხალხს რა ვუთხრაო.

ტარიელ ჟღენტიც ისეა დახუნძლული მედლებითა და სხვა ჯილდოებით, რომ აჰკიდო, ალბათ ვერ დაძრავს. ორჯერ აქვს მოპოვებული ევროპის ჩემპიონობა პირად პირველობაში, სამჯერ გუნდთან ერთად გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონატზე და სხვა უამრავ ტურნირში. იმნაიშვილისგან განსხვავებით, ჟღენტი ვერც ერთ ოლიმპიადაზე ვერ მოხვდა, თამაზი კი მოსკოვის შემდეგ სეულშიც იყო და ბოლოს - ატლანტაში, უკვე საქართველოს ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში.

"ოლიმპიური უილბლობის" გარდა, ტარიელ ჟღენტს სასტენდო სროლის მოსკოველი თუ არამოსკოველი ბოსებიც უშლიდნენ ხელს. მათგან ბევრი გენერალი იყო - იარაღთან სიახლოვე თავისთავად განაპირობებდა ასეთ ტენდენციას. არც თემურ მატოიანს უყურებდნენ კარგი თვალით საკავშირო ნაკრებში და არასტაბილურობას სწამებდნენ. ეს შესანიშნავი სპორტსმენი და ადამიანი ორი წლის წინ გარდაიცვალა.

**მესტენდურეები** ყოველთვის ერთი პატარა ოჯახის წევრებივით იყვნენ. მატოიანიც, ჟღენტიც და იმნაიშვილიც სწორედ "ოჯახურ ნიადაგზე" მოხვდნენ სასტენდო სროლაში, ცნობილ მწვრთნელ ზურაბ მაჩხანელთან. მათი მამები ბატონი ზურაბის მეგობრები იყვნენ, ნადირობაც უყვარდათ, ხოლო თამაზის ძმა თენგიზი თვითონაც კარგი მსროლელი გახლდათ.

მაჩხანელმა ვარჯიში 1948 წელს დაიწყო და შემდეგი წლიდან მოყოლებული, საქართველოს თითქმის ყველა ჩემპიონატი მოიგო, რამდენჯერმე - საბჭოთა კავშირის და 8 საკავშირო რეკორდიც დაამყარა. მელბურნის ოლიმპიადაზეც მიემგზავრებოდა, მაგრამ აპენდიციტის მწვავე შეტევამ თბილისში დატოვა. მოსკოვის ოლიმპიადიდან ჩამოსვლის შემდეგ, სადაც პეტროვმა მისი მოწაფის წინააღმდეგ ბინძური ხერხი გამოიყენა, მაჩხანელს, ამ სალ-სალამათ კაცს, ინფარქტი დაემართა და კარგა ხანს იავადმყოფა...

დამოუკიდებელი სახელმწიფო ცოტა ადრე რომ ვყოფილიყავით, საქართველოს უძლიერესი გუნდი ეყოლებოდა სასტენდო სროლაში, ისეთი როგორც, ვთქვათ, იტალია იყო იმავე წლებში. ჟღენტი, იმნაიშვილი და მატოიანი, სამივე ერთად, არავის არაფერს დაუთმობდნენ. მესტენდურთა შემდეგი თაობაც - გია შენგელია, დავით ქვათაძე, დავით მანჯგალაძე და ცხადია, თამაზ იმნაიშვილი, ისეთ ძალას წარმოადგენდა, მსოფლიო ელიტაში უნდა დარჩენილიყო. მაგრამ, როცა ჩვენმა მესტენდურეებმა უფლება მიიღეს დამოუკიდებლად ესპარეზათ საერთაშორისო შეჯიბრებებში, სადღა იყო ვარჯიშის პირობები?! ეს დიდი პოტენციალი დაიკარგა, თუმცა, თამაზ იმნაიშვილმა 1993 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე, უკვე საქართველოს სახელით მოიპოვა ვერცხლის მედალი.

შემდეგ ყველაფერი გაქრა: აღარ არის სასროლეთები თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ბათუმში... დინოზავრის ნაკვალევის მსგავსიც კი. საქართველოს ცენტრალურ ბაზას, ვარკეთილის სასროლეთს დღეს სპორტულ ბაზას ვერ უწოდებ, უფრო მონადირეები ერთობიან. სასტენდო სროლა ძვირი სპორტია, უცხოეთში მას საკმაოდ ბევრი მილიონერი მისდევს. თამაზ იმნაიშვილი, რომელიც ახლა სროლის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია ნინო სალუქვაძესთან ერთად, ამბობს, რომ ვარჯიშზე თითო გასროლა საშუალოდ ერთი ლარი უჯდებათ, მესდენტურემ კი დღეში ასჯერ მაინც უნდა გაისროლოს. იანგარიშეთ...

"სადღაა ის დრო, როცა რუსეთიდან ეშელონებით მოგვდიოდა თეფშები და ვაზნები, საწყობში ადგილი აღარ იყო. დღევანდელი რეალობა სულ სხვა პირობებს გვიყენებს". - ამბობს მსოფლიო ჩემპიონი და იმედით უყურებს ამ წელს, რადგან მათი ფედერაციის პრეზიდენტი, საფინანსო პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი ლევან მხეიძე მცხეთაში ახალი სასროლეთის აშენებას დაპირდა.

**90-იანი** წლების დასაწყისში თამაზ იმნაიშვილი პოლიციამ დააკავა. სახლში დაადგნენ - მთელი შენი იარაღიანად ჩვენთან უნდა წამოხვიდეო. მიზეზი არ უთქვამთ, მერე შეიტყობო. პოლიციის სამმართველოში დაბლა, საკანში ჩაჯდომა არ აკადრეს სახელოვან მსროლელს, მაღლა, ოთახებში ჰყავდათ სამი დღე, გარეთ გასვლაზე კი უარს ეუბნებოდნენ: აქ შენი პატივისცემის გამო გინახავთ, გარეთ რომ ვინმემ დაგვინახოს, ყველას მოგვხსნიანო.

თურმე რა ყოფილა: პრეზიდენტის დაცვას ეჭვი შეუტანია, რომ იმნაიშვილი ტერაქტს ამზადებდა... ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ! მათი ლოგიკა იმას ეყრდნობოდა, რომ მაშინ სროლის ფედერაციის პრეზიდენტი, გვარდიის სარდალი, უკვე ოპოზიციაში გადასული თენგიზ კიტოვანი იყო.

ბრალდება რომ მოისმინა, იმნაიშვილი გაოცდა. "ჯერ ერთი, როგორ უნდა ესროლო ცოცხალ ადამიანს, მით უმეტეს, საქართველოს პრეზიდენტს. ამასთან, თუ მართლა ვინმეს დაჭერა გინდათ, ნინო სალუქვაძე დაიჭირეთ. "უძრავ საგნებს ზუსტად ეგ ესვრის, მე კი, თუ ვინმეს ჰაერში ამიგდებთ, მაშინ მოვარტყამ". - უთქვამს სახელოვან მესტენდურეს. "ლელოს" ყოფილმა რედაქტორმა არჩილ გოგელიამ ქვეყანა შეძრა, რომ ამ ბრალდების უაზრობა დაემტკიცებინა და თამაზი გამოუშვეს.

მერე, როცა გაურჩებული გვარდია თბილისის ზღვაზე იყო დაბანაკებული, ვიღაცეებმა მაინც სცადეს თამაზ იმნაიშვილის გამოყენება - სნაიპერები გვაწუხებენ და მოგვეხმარეო. რა თქმა უნდა, კატეგორიული უარი მიიღეს...

მსროლელები ძირითადად უწყინარი ხალხია, მაგრამ ქურდებს ვურჩევ, მათ მაინც მოერიდონ. ერთხელ, ერთი მსროლელის მამამ შეამჩნია, რომ მათ გარაჟს ტეხდნენ და შვილს დაუძახა, ჩქარა თოფიო. ქურდი გაიქცა, მაგრამ ვიდრე მეორე კანჭსაც გაიტანდა კედლის მიღმა, სწორედ იქ უწია განაფული მესტენდურის ნასროლმა. ერთხელაც, ერთი მსროლელი თოფით კარგა ხანს იგერიებდა რამდენიმე ავტომატიანი, ყაჩაღი გვარდიელის იერიშს, რომლებიც მისი მანქანის გატაცებას აპირებდნენ. ჯერ ფეხებთან ესროდა, მერე იძულებული გახდა სამი მათგანი დაეჭრა...

ლელო
ეროვნული ბიბლიოთეკა
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალთაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ბეჟანიძე
პაატა თოთიძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტეხაშვილი
ირაკლი ითაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზურაბ შათირიშვილი
კოკა ხაბიაშვილი
გაგი ჯანგაძე

უცხოური სპორტი
მამუკა ზიბზიშვილი
გოგა ახალაძე
გოდფრიდ დუმბი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თეთრაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრიძე, ვასილ ბელკაძე, ვაჟა ბოკერიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარსაველიძე, ნიკო კაკულიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოკა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი ალადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი);
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა